

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
Gori State Teaching University



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
Tbilisi Teaching University



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
Tbilisi Open Teaching University



გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
Guram Tavartkiladze Teaching University

სტუდენტთა მეოთხე გაერთიანებული საუნივერსიტეტო კონფერენცია
„საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნეში“

The Fourth Student United University Conference
„Sustainable Development Perspectives of Georgia in the XXI century“



17 ივნისი, 2016, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
June 17, 2016, Gori State Teaching University

წინამდებარე კრებული მოიცავს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2016 წლის 17 ივნისს ჩატარებულ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისა და შპს გურამ თავართქილადის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეოთხე გაერთიანებულ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე „საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნეში“ წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
კომიტეტის თავმჯდომარე

სოლომონ პავლიაშვილი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
კომიტეტის წევრი

ნოდარ პაპუკაშვილი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
კომიტეტის წევრი

გიორგი მათიაშვილი, გურამ თავართქილადის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი, კომიტეტის წევრი

გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი

ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების,
საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ფილოლოგიის
დოქტორი, კომიტეტის წევრი

ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

დავით გუბელაძე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

სოლომონ პავლიაშვილი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
კოლეგიის წევრი

ნოდარ პაპუკაშვილი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი,
კოლეგიის წევრი

გიორგი მათიაშვილი, გურამ თავართქილადის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი, კოლეგიის წევრი

ISBN 978-9941-27-622-4

ლაიპაპაღა



გაბომონაილოპ
სამ შობდომ

თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90

The current proceedings comprise the scientific papers presented at the LEPL – Gori State Teaching University, LTD Tbilisi Teaching University, LTD Tbilisi Open Teaching University and LTD Guram Tavartkiladze Teaching University Fourth Student United University Conference “Sustainable Development Perspectives of Georgia in the XXI century” held on June 17, 2016 at LEPL Gori State Teaching University.

ORGANIZATIONAL COMMITTEE:

Giorgi Sosiashvili, Rector of Gori State Teaching University, Professor, Head of the Committee

Solomon Pavliashvili, Rector of Tbilisi Teaching University, Professor, Member of the Committee

Nodar Papukashvili, Rector of Tbilisi Open Teaching University, Professor, Member of the Committee

Giorgi Matiashvili, Guram Tavartkiladze Teaching University, Professor, Member of the Committee

Giorgi Khorbaladze, Head of Administration of Gori State Teaching University, Associate Professor, Member of the Committee

Ana Imnadze, Head of Strategic Development, International and Public Relations Service of Gori State Teaching University, Doctor of Philology, Member of the Committee

Levan Midodashvili, Head of Quality Assurance Service of Gori State Teaching University, Professor, Member of the Committee

Davit Gubeladze, Head of Quality Assurance Service of Tbilisi Teaching University, Professor, Member of the Committee

EDITORIAL BOARD:

Giorgi Sosiashvili, Rector of Gori State Teaching University, Professor, Head of the Editorial Board

Solomon Pavliashvili, Rector of Tbilisi Teaching University, Professor, Member of the Board

Nodar Papukashvili, Rector of Tbilisi Open Teaching University, Professor, Member of the Board

Giorgi Matiashvili, Guram Tavartkiladze Teaching University, Professor, Member of the Board

ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

ალისა ბოკუჩავა – სადაზღვევო ბაზრის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში <i>Alisa Bokuchava – INSURANCE MARKET PROBLEMS AND PROSPECTS OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA</i>	6
ნათია ილურიძე – კრიმინალური შემთხვევები სადაზღვევო ურთიერთობებში <i>Natia Iluridze – CRIMINAL CASES IN INSURANCE RELATIONS</i>	11
სოფიკო კობერიძე – საინვესტიციო სფეროს რისკი და მისი მახასიათებლები <i>Sophiko Koberidze – RISK OF INVESTMENT FIELD AND ITS CHARACTERISTICS</i>	15
ანა ლოლაძე – მდგრადი განვითარება - საქართველოს ტურიზმის მომავალი <i>Ana Loladze – SUSTAINABLE DEVELOPMENT – THE FUTURE OF GEORGIAN TOURISM</i>	20
ქეთევანი ჩაფიძე – PR და თანამედროვე ტურისტული ინდუსტრია <i>Ketevani Chapidze – PR AND MODERN TOURISM INDUSTRY</i>	24
ნინო ჭანტურია – როდის გავყიდოთ წარმატებით ბიზნესი? <i>Nino Tchanturia – WHEN SHOULD WE SELL BUSINESS SUCCESSFULLY?</i>	26
ნიკა ჭაღალიძე – სახელმწიფოს დეფოლტი და მისი გამომწვევი მიზეზები <i>Nika Chaghalidze – STATE DEFAULT AND REASONS THAT CAUSE IT</i>	31
სალომე ხუნაშვილი – საქართველოში ეკონომიკის აღმავლობის პერსპექტივები <i>Salome Khunashvili – PROSPECTS OF ECONOMIC REVIVAL IN GEORGIA</i>	35

აგრარული მეცნიერებები

Agricultural Sciences

ნათია გვენეტაძე – გენმოდიფიცირებული საკვების გლობალური გავრცელება და მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია <i>Natia Gvenetadze – GLOBAL SPREAD OF GENETICALLY MODIFIED PRODUCTS AND THE SITUATION IN THE WORLD</i>	41
თეონა ფოლადაშვილი – სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში <i>Teona Poladashvili – PROSPECTS OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN GEORGIA</i>	46

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

Social Sciences and Law

გვანცა ბერუაშვილი – ქორწინება და მისი საკანონმდებლო რეგულირება <i>Gvantsa Beruashvili – MARRIAGE AND ITS LEGISLATIVE REGULATION</i>	52
მარი კაპანაძე – ჟურნალისტური ეთიკა - საზოგადოების ნდობის გარანტი <i>Mari Kapanadze – JOURNALISM ETHICS – THE GUARANTEE OF PUBLIC CONFIDENCE</i>	56
სოფიკო მარიამიძე – პირადი ცხოვრების ამსახველ მონაცემთა დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები <i>Sophiko Mariamidze – CONSTITUTIONAL AND LEGAL ASPECTS OF PRIVATE LIFE DATA PROTECTION</i>	62
გურამ ტალახაძე – მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას <i>Guram Talakhadze – THE REIMBURSEMENT OF MORAL DAMAGES CAUSED TO HONOR, DIGNITY AND BUSINESS REPUTATION</i>	67
თამარ ხატიაშვილი – კამათის ხელოვნება <i>Tamar Khatiaashvili – ART OF DEBATE</i>	72

ჰუმანიტარული მეცნიერებები
Humanities

თამთა თავართქილაძე – ჩინეთი, როგორც 21-ე საუკუნის შესაძლო წამყვანი სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში Tamta Tavartkiladze – CHINA AS THE 21 ST CENTURY POTENTIAL LEADING STATE IN INTERNATIONAL RELATIONS	75
თამთა კაპანაძე – ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები Tamta Kapanadze – NIKOLOZ BARATASHVILI PERSONAL LETTERS	80
მარიამ ოქროპირიძე – სოფელ ქორდის ანთროპონიმია (მეტსახელები) Mariam Okropiridze – ANTHROPONYMY (NICKNAMES) OF VILLAGE KORDA	86
დავით ჯინჭარაძე – ისრაელის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში Davit Jincharadze – ISRAEL'S FOREIGN POLICY IN THE MIDDLE EAST	91

ინჟინერია
Engineering

თინათინ ფოლადაშვილი – პროგრამირება, როგორც პროფესია, ხელოვნება და მეცნიერება Tinatin Poladashvili – PROGRAMMING AS A PROFESSION, ART AND SCIENCE	96
---	----

ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration

ალისა ბოკუჩავა
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: არჩილ ცერცვაძე, პროფესორი

სადაზღვევო ბაზრის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

დაზღვევა, ეს არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. დაზღვევა აუცილებელი ელემენტია წარმოებითი ურთიერთობებისა, იგი დაკავშირებულია წარმოების პროცესში ზარალის მიღებასთან და ამ ზარალის ანაზღაურებასთან. კვლავწარმოების მთავარი პირობა კი მისი უწყვეტობა და შეუფერხებლობაა. დაზღვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს არახელსაყრელი გარემოებების დადგომით მიყენებული გარკვეული ზარალის მინიმიზაცია. დაზღვევა, ფინანსური სისტემის აუცილებელი ელემენტია, რომელიც, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, აწარმოებს მოგებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ საქმიანობას და ამავედროულად თავისი დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. მართალია დაზღვევა ვერ ანაზღაურებს ყველა შემთხვევისაგან მიყენებულ ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივ თუ სხვა დანაკარგებთან. არსებობს სპეციალური პირობები (სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებული), რომლის გარეშე არც დაზღვევა ხდება და არც ზარალის ანაზღაურება. როგორც ეკონომიკური კატეგორია, დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას, რომლითაც ხდება ფულადი ფონდების ფორმირება და მათი გამოყენება დანაკარგების ანაზღაურებისას სხვადასხვა არახელსაყრელი შემთხვევების დადგომისას, ასევე ის მიმართულია, იმისაკენ, რომ დაეხმაროს მოქალაქეებს არახელსაყრელი შემთხვევების დაძლევაში, რომელიც შეიძლება მოხდეს მათ ცხოვრებაში.

დაზღვევა ისტორიულ ჭრილში

დაზღვევის გარკვეული ნიშნები საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს შეინიშნებოდა. XX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე არსებობდა გარკვეული სადაზღვევო ურთიერთობანი, ზედაპირული სახით, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის სადაზღვევო ბაზრთან, სადაც 1912 წელს კანონთა კრებული იქნა მიღებული, დასაქმებულთა უბედური შემთხვევის დაზღვევის კუთხით, საერთო მასშტაბები დაზღვევისა საკმაოდ მცირე იყო. შესაძლებელია, ითქვას რომ საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა 1916 წლიდან, მას შემდეგ რაც ქ. ბაქოში შეიქმნა კავკასიის რეგიონში ფუნქციონირებადი სადაზღვევო სტრუქტურა - დაზღვევის ამხანაგობა. შესაბამის სტრუქტურაში ერთიანდებოდნენ მეწარმეთა ცალკეული ჯგუფები. საქართველოს რეგიონიდან გაერთიანებული იყო 80-ზე მეტი ობიექტი. საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარება შესაძლებელია დაიყოს სამ ძირითად ეტაპად:

- პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს.
- მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე.
- მესამე ეტაპი 2007 წლიდან დღემდე.

პირველ ეტაპზე ეროვნულ ბაზარზე ხდებოდა სადაზღვევო საქმისათვის საფუძვლის ჩაყრა. განხორციელდა საკანონმდებლო ბაზისა და ზედამხედველობის სამსახურის ჩამოყალიბება. სწრაფი ტემპებით იქმნებოდა სადაზღვევო კომპანიები, ამის შედეგად 1998 წელს საქართველოში უკვე რეგისტრირებული იყო 36 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან ოთხის სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოება იყო, ხოლო დანარჩენი ფუნქციონირებდა

როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მეორე ეტაპზე, რომელიც სათავეს 1998 წლიდან იღებს, შეინიშნებოდა შედარებით გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური გარემო. განვითარების მესამე ეტაპზე მოხდა ძირეული ცვლილებები სადაზღვევო ბაზარზე. იცვლება ზედამხედველობა დაზღვევისა (გადაეცემა ეროვნულ ბანკს), მესამე ეტაპის დასაწყისშივე სათავეს იღებს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები, ჯანმრთელობის დაზღვევის ფართოდ გავრცელებამ გამოიწვია სადაზღვევო დავების მომრავლება, რის დასარეგულირებლად იქმნება სადაზღვევო მედიაციის სამსახური. 2013 წლის 20 მარტის ბრძანებით კვლავინდებურად იქმნება დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური და იბრუნებს სადაზღვევო ბაზრის მონიტორინგის ფუნქციას.

სადაზღვევო პრემიის სახეები და გაანგარიშების საფუძვლები

სადაზღვევო პრემია, რაც შემთხვევაში სადაზღვევო შენატანად მოხსენიებული, არის პოლისში მითითებული დამზღვევის მიერ მზღვეველთან გრაფიკით შეთანხმებული, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადასახდელი დაზღვევის საფასური, სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფისათვის. თანხა გადაიხდება ხელშეკრულებაში ჩადებული პირობების მიხედვით. დამზღვევის თვალსაზრისით ეს ფინანსური გარიგება ხელსაყრელია თუნდაც იმიტომ, რომ ათავისუფლებს მას განუსაზღვრელობისაგან და მომავლის ზუსტი ფინანსური დაგეგმვის საშუალებას აძლევს. ცხადია, ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ პრემია, განსხვავებით მომავალი განუსაზღვრელი ზარალისაგან, თავიდანვე ზუსტად განსაზღვრულია და დაზღვევის მოქმედების პერიოდის განმავლობაში თითქმის არასოდეს არ იცვლება. დამზღვევისაგან განსხვავებით, სადაზღვევო ხელშეკრულებების დადების შედეგად მზღვეველი რისკებით “იტვირთება”. სხვა სიტყვებით, მას უჩნდება მრავალი ვალდებულება დამზღვევების წინაშე, რომლებიც მან მომავალში პირნათლად უნდა შეასრულოს. სადაზღვევო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მზღვეველი ქმნის სადაზღვევო ფონდს, რომელშიც ამ მიზნისათვის საჭირო თანხების აკუმულირება ხდება. დაზღვევა მხოლოდ მაშინაა მისაღები, როგორც ფინანსური რისკებისაგან თავდაცვის საშუალება, როდესაც სადაზღვევო პრემიის სიდიდე ნაკლებია იმ ზარალის ოდენობაზე, რომელიც განუსაზღვრელია, მაგრამ შეიძლება დადგეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც მზღვეველს მოუწევს ფინანსური ანაზღაურების გაწევა. სადაზღვევო პრემიის სიდიდემ უნდა უზრუნველყოს:

დაზღვეულის ზარალის ანაზღაურება მთლიანად ან ნაწილობრივ; დაზღვეულის რეზერვების შექმნა; მოგების ფორმირება. სადაზღვევო მომსახურების ფასი, როგორც ყველა საბაზრო ფასი მოთხოვნა-მიწოდების კანონების მოქმედებით ცვალებადია. იგი იცვლება განსაზღვრულ ინტერვალში, რომლის ქვედა ზღვარი განისაზღვრება ტოლობით: სადაზღვევო შემოსულობები = სადაზღვევო ანაზღაურება + კომპანიის ხარჯები. ნეტო პრემია - სადაზღვევო შენატანის ნაწილი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო გადახდებისათვის დროის გარკვეულ მონაკვეთში დაზღვევის ამა თუ იმ სახეობისათვის.

სადაზღვევო ბიზნესის რეალობა საქართველოში

სადაზღვევო ბიზნესში მოქმედი მზღვეველებისათვის შესაძლოა მრავალმა პრობლემამ იჩინოს თავი, პრობლემები შესაძლოა წარმოქმნილ იქნას, როგორც კომპანიის შიდა (მაგ.: სადაზღვევო ტარიფის დადგენა, სადაზღვევო შემთხვევისას დამდგარი ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსური ხარჯების წინასწარი პროგნოზირება) და სადაზღვევო ბიზნესში წარმოქმნილი მოვლენებიდან (მაგ.: საბაზრო კონკურენცია) ასევე ზოგადი მაკროეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მაგ. ინფლაციის დონე, საპროცენტო განაკვეთი). სწორედ აქედან გამომდინარე წარმოიშვება სადაზღვევო ბიზნესში აქტუარისა და ანდერრაიტერის არსებობის აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში აქტუარია შესულია სადაზღვევო ბაზრის საზედამხედველო, მაკონტროლებელ ორგანოებშიც. აქტუარული ანგარიშგების ამოცანებია: აუცილებელი სარეზერვო ფონდების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა და მათი ფორმირების წყაროების დადგენა. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობის მათემატიკური განსაზღვრა, ზარალის სიმძიმის ხარისხის და სიხშირის განსაზღვრა როგორც ცალკეულ სარისკო ჯგუფებში, ასევე მთელი სადაზღვევო ერთიანობის მიხედვით. რისკების შესწავლა და კლასიფიკაცია მათი ცალკეული ნიშნების (ჯგუფების) მიხედვით სადაზღვევო მთლიანობის ფარგლებში. ანდერრაიტერი კი – ეს არის პირი, რომელიც სადაზღვევო კომპანიის მიერ უფლებამოსილია გააანალიზოს, მიიღოს დასაზღვევად (გადასაზღვევად) და უარყოს ყველა სახის

რისკები, აგრეთვე, კლასიფიცირება გაუკეთოს შერჩეულ რისკებს მათზე ოპტიმალური სადაზღვევო პრემიის მისაღებად. ანდერრაიტერი პასუხისმგებელია სადაზღვევო პორტფელის ფორმირებაზე. მას უნდა გააჩნდეს აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკა რისკის შესაბამისი ხარისხის, პრემიის განაკვეთის და დაზღვევის პირობების დასადგენად. ანდერრაიტინგის ეტაპები შესაძლებელია შემდეგნაირად დავყოთ: რისკის შესწავლა, რისკის მიღება. დღეისათვის, საქართველოში აქტუარიისა და ანდერრაიტინგის, პროფესიული განვითარების მხრივ საკმაოდ მიმე მდგომარეობაა, რადგან საქართველოში არ არსებობს „აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია“, არ არსებობს არანაირი ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს პროფესიულ გადამზადებებსა და სწავლებაზე შესაბამისი პროფესიების კუთხით.


სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოში

სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, რაც დაკავშირებულია სადაზღვევო რისკებთან, სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობასთან, სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეთა კეთილსინდისიერებასთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს, დაზღვეული პირის სამართლებრივ დაცვას და აძლევს ზარალის დროულად და სრულად ანაზღაურების გარანტიას. სადაზღვევო საქმის სახელმწიფო ზედამხედველობა, როგორც წესი, ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანიზაციის - სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. დაზღვევის რეგულირების სირთულე დაკავშირებულია პირველ რიგში, არსებული ბიზნესის სპეციფიკურობასთან, რაც ითვალისწინებს, სხვადასხვა დისციპლინური აპარატის გამოყენებას, მთავარი მიზანი, სადაზღვევო საქმიანობის რეგულირებისა არის მომხმარებელთა უფლებების და საზოგადოების ინტერესების დაცვა. საჭიროა გამოიყოს სადაზღვევო საქმიანობის რეგულირების ხუთი კონკრეტული მიზანი: სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ხელშეწყობა, სამართლიანობისა და პროდუქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა, ნაციონალური სადაზღვევო კომპანიების მხარდაჭერა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. სადაზღვევო საქმიანობა ეროვნულ ბაზარზე რეგულირდება საქართველოს კანონით „დაზღვევის შესახებ“ (თბილისი, 1997 წლის 2 მაისი). სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი სამსახური, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება ამავე კანონით, ხოლო მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, მთავრობას თავის მხრივ ძალა შესწევს არსებული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმოს ან შეაჩეროს თუ არსებული გადაწყვეტილება არამართლზომიერი ხასიათისაა.


დაზღვევის სახეები და პრობლემები სადაზღვევო ბაზარზე

ქონების დაზღვევა - განისაზღვრება როგორც დაზღვევის დარგი, სადაც სამართალურთიერთობების ობიექტის რანგში გამოდის ქონება სხვადასხვა სახით. მისი ეკონომიკური დანიშნულებაა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო შემთხვევისას. დაზღვეული შეიძლება იყოს როგორც დამზღვევის საკუთრებაში, ისე მის მფლობელობასა და განკარგვაში მყოფი ქონება. დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც ქონების მესაკუთრე, ასევე სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც პასუხს აგებენ მის შენახვაზე.

ქონების დაზღვევის პრცენტული წილი ბაზრის სტრუქტურაში, მოზიდული პრემიების მიხედვით სხვადასხვა წლებში.




ავტო დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ობიექტის დაზღვევას ისეთ რისკებზე, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ მისი დაზიანება (ხანძარი, აფეთქება, სხვადასხვა საგნების დაცემა, ავტოსაგზაო შემთხვევა) ასევე ქურდობის, ძარცვასა და ყაჩაღობის შემთხვევებზე. შესაძლებელია ასევე ავტომობილით გადასატანი ტვირთის დაზღვევაც, შესაბამისი დაზღვევა აღინიშნება ესპანური წარმოშობის სიტყვით და უწოდებენ კარგო (cargo) დაზღვევას.



ჯანმრთელობის დაზღვევა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაზღვევის ფორმაა, სიცოცხლის დაზღვევის პოლისები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: ვადიანი დაზღვევის პოლისი; სიცოცხლის სრული დაზღვევის პოლისი; სიცოცხლის მოქნილი დაზღვევის პოლისი; სიცოცხლის უნივერსალური დაზღვევის პოლისები; სიცოცხლის დაზღვევა ბიზნესის სფეროში; სიცოცხლის ჯგუფური დაზღვევა; ძირითადი თანამშრომლების დაზღვევა.

სამოგზაურო დაზღვევა ტურისტული მოგზაურობისას მოქალაქეთა ქონებრივი (მატერიალური) ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. დაზღვევის ეს სახე მიეკუთვნება დაზღვევის სარისკო სახეობებს, რომლის მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება მისი ხანმოკლეობა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროის განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხი და შესაძლოა ზარალის სიდიდე. ტურისტების დაზღვევაში იგულისხმება:

მოგზაურთა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა.



პასუხისმგებლობის დაზღვევის შესამჩნევი განვითარება იწყება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში ზარალის მიყენებლის ქონებრივი პასუხისმგებლობის პრინციპები უფრო ფართოდ გავრცელდა ზარალის მიყენების უდანაშაულო შემთხვევებზე. მთელ რიგ ქვეყნებში სავალდებულოა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა თანამშრომლებისადმი მუშაობის პროცესში მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალისათვის, გადამზიდავების პასუხისმგებლობის დაზღვევა, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები და სხვა. ისინი ვალდებული არიან მოახდინონ მიყენებული ზარალის კომპენსაცია. პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება უზრუნველყოფს იმ პირთა სადაზღვევო დაცვას, რომლებიც საჭიროებს ზარალის სამართლებრივ ანაზღაურებას.

სადაზღვევო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და ხელისშემშლელი ფაქტორები

დაზღვევა, ისევე როგორც სხვა სახის ბიზნესი, მუდამ დგას სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე. მიუხედავად, ბაზრის განვითარებადობისა, ყოველთვის, ნებისმიერ ბაზარზე, არსებობს პრობლემები,

რომელთა აღმოფხვრის შემთხვევაშიც, უფრო მეტად მოხდება ბიზნესის ამ სეგმენტის წინა პოზიციებზე გადმოწევა, რამაც საბოლოო ჯამში ასახვა უნდა ჰქონდეს როგორც მომხმარებლის, ისე ბიზნესმენების საერთო კეთილდღეობის ზრდაზე, ანუ ბაზარზე უნდა გაჩნდეს ის ჰარმონიული დამოკიდებულება მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რომლის დროსაც მომხმარებელი მომსახურების დონით (პროდუქტით) კმაყოფილებას გრძნობს, ხოლო მწარმოებელი ყიდის საკმარის მომსახურებას, რათა მიიღოს დაგეგმილი მოგება. ძლიერი ბიზნესი თავის მხრივ „მეტი ფულის“ გარანტია როგორც მეწარმისათვის ასევე მთავრობისათვის, რაც გაზრდილი, ამოღებული გადასახადებით შეიძლება განისაზღვროს. დღეისათვის, როდესაც სადაზღვევო ბიზნესი, საქართველოს ეროვნულ ბაზარზე განვითარებადი სახის ფორმითაა წარმოდგენილი, არსებობს მრავალი პრობლემა, რომელთა აღმოფხვრის შემთხვევაშიც შესაძლებელია დადებითი ტენდენციების გაფართოება, რაც ბიზნესის ამ სახეობის ზრდაზე მოახდენს გავლენას. აუცილებელია, საბოლოოდ აღინიშნოს სახელმწიფოს ჰუმანიტარულ გამორჩეული როლი სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაში. დაწვრილებით, თუ რა ინსტრუმენტები გააჩნია ბაზრის სამართავად შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და, თუ როგორია ეროვნულ ბაზარზე სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა, ამ ყოველივეზე საუბრამდე აუცილებელია, მთლიანად ჩავუღრმავდეთ დაზღვევას, როგორც ბიზნესს, რომლის კეთილდღეობაზეც შესაძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება იყოს დამოკიდებული.

დასკვნა

ამ თემით მინდოდა წარმომეჩინა დაზღვევის დადებითი მხარეები, მისი უპირატესობები და განვითარების პერსპექტივები. უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევა XXI საუკუნეში აუცილებელი ელემენტია წარმოებითი ურთიერთობებისათვის, იგი დაკავშირებულია წარმოების პროცესში ზარალის მიღებასთან და ამ ზარალის ანაზღაურებასთან. კვლავწარმოების მთავარი პირობა კი მისი უწყვეტობა და შეუფერხებლობაა. აღსანიშნავია, რომ დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლის ზრდის დადებითი ტენდენციები, რომელიც გამოწვეულია იქიდან რომ სადაზღვევო კომპანიები აუმჯობესებენ როგორც მენეჯმენტს, ასევე ახორციელებენ სწორ მარკეტინგულ ღონისძიებებს. იზრდება საზოგადოების სადაზღვევო ბიზნეს - კულტურის დონეც, ეს კი აუცილებელი წინაპირობაა, სადაზღვევო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ლიტერატურა:

ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., „სადაზღვევო საქმე“, თბილისი, 2016.

გოგილაშვილი გ., „სადაზღვევო საქმე“, თბილისი, 2011.

შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., „სადაზღვევო საქმე“, თბილისი, 2011.

ჯაყელი კ., „სოციალური ეკონომიკა - დაზღვევა“, თბილისი, 2000.

www.isurance.gove.ge

www.insurance.org.ge

www.moh.gov.ge

www.ssi.ge

Alisa Bokuchava

Tbilisi Teaching University

Supervisor: Archil Tsertsvadze, Professor

INSURANCE MARKET PROBLEMS AND PROSPECTS OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA SUMMARY

Insurance is a means of protection from financial loss. It is a form of risk management primarily used to hedge against the risk of a contingent, uncertain loss. An entity which provides insurance is known as an insurer, insurance company, or insurance carrier. A person or entity who buys insurance is known as an insured or policyholder. The insurance transaction involves the insured assuming a guaranteed and known relatively small loss in the form of payment to the insurer in exchange for the insurer's promise to compensate the insured in the event of a covered loss. The loss may or may not be financial, but it must be reducible to financial terms, and must involve something in which the insured has an insurable interest established by ownership, possession, or preexisting relationship. all developed countries main part is depend on insurance business, so if we want to have successful economics this is the one thing we have to care about.

კრიმინალური შემთხვევები სადაზღვევო ურთიერთობებში

დაზღვევა დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი სფეროა. მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო მეტად იზრდება დაზღვეულთა პროცენტული რაოდენობა ქვეყნებში. ამ ყველაფერს თავის მიზეზები აქვს, რომლებიც უამრავ ნათელ თუ შავზნელ ისტორიას მალავს თავის განვითარების წიაღში. საინტერესოა დაზღვევის ინსტიტუტის არსი, მისი წარმოშობა, მექანიზმები და სხვა მრავალი ასპექტები. ინდივიდების ყოფა საკმაოდ მძლავრ ჯაჭვშია ჩაბმული, ამ ჯაჭვს დღეს დაზღვევა ეწოდება. საზოგადოება უკვე მიხვდა, რომ გამუდმებით რისკის ქვეშაა. რისკი არსებობს ყველგან და ყოველთვის, ხოლო მასთან ბრძოლა შეუძლებელია ეულად. მეტიც, რისკები ისეთივე თანამდევია, როგორც წარმატება თუ წარუმატებლობა, სწორედ ამიტომ შეიქმნა დაზღვევა. ესაა ინსტიტუტი, რომელიც ცდილობს მართოს რისკი ხალხის სასარგებლოდ. ოღონდ ამ ყველაფერს ისე ახერხებს, რომ თვითონაც მოგებულნი დარჩეს. დაზღვევა საინტერესო ფენომენია ისტორიაში. მით უფრო საინტერესოა მისი ანალიზი, განსჯა და პრობლემებზე საუბარი. სადაზღვევო ურთიერთობებში მრავალი პრობლემა არსებობს, როგორც საქართველოში, ასევე ევროპაში, აშშ-სა და სხვა მრავალ ქვეყანაში. ამ პრობლემებს შორის ერთერთ მნიშვნელოვანი გახლავთ კრიმინალური შემთხვევები სადაზღვევო ურთიერთობებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია სრული და მრავლისმომცველი ინფორმაციის მოძიება, თუმცა, ამის მიუხედავად, შევეცდებით დაგანახოთ ამ საკითხის აქტუალურობა. კრიმინალური შემთხვევები სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოადგენს მზღვეველის ქონების უკანონო მისაკუთრებას მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების მიზნით. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება. 1. იგი შეიძლება განხორციელდეს სად. ხელშეკრულების დადგომამდე. ამ დროს დამზღვევი მაღალი ღირებულებისაგან, შესაბამისად მაღალი სად. თანხის განცხადებას აკეთებს. ზარალის დადგომისას დამზღვევი მიიღებს ზარალზე მეტი ოდენობის ანაზღაურებას. დაზღვევა იქცევა უსაფუძვლო გამდიდრების წყაროდ. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მანიშნებელია იმის, რომ დამზღვევი გეგმავს სად. შემთხვევის ინსცენირებას, ან პროვოცირებას. 2. შემდეგი ფორმა გახლავთ: რისკის სიდიდის განსაზღვრისათვის სად. ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება: აყალბებს სად. ზარალების ისტორიას; აცხადებს არარსებული სიგნალიზაციის ან დაცვითი სისტემის შესახებ; მალავს ინფორმაციის ობიექტის დაზიანების შესახებ. 3. ორმაგი დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება-ერთდროულად ერთი და იგივე ობიექტი ერთი და იგივე რისკებისაგან ეზღვევა რამოდენიმე სად. ორგანიზაციაში. 4. არარსებული ობიექტის დაზღვევა-დაზღვევის ობიექტი არ არსებობს და საზ. ხელშეკრულება იდება გამოგონილ ობიექტზე. 5. იმ ობიექტის დაზღვევა, რომლის მიმართ დამზღვევს არ აქვს სად. ინტერესი - ამ დროს იზღვევა ისეთი ობიექტი, რომელზეც დამზღვევს არ აქვს არანაირი უფლება, ანუ არ აქვს არანაირი ფინანსური სარგებელი ამ ობიექტის არსებობიდან. მაგრამ სად. შემთხვევის ინსცენირებისას, შესაძლოა, მიიღოს მოგება სად. ანაზღაურების სახით. კრიმინალური შემთხვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს სად. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. ამ დროს ზარალის დადგომისას სად. შემთხვევის ინსცენირება ან პროვოცირება ხდება, კერძოდ, სად. შემთხვევა არ მომხდარა, მაგრამ დამზღვევი მასზე წარადგენს პრეტენზიას. მაგალითად: პრეტენზია წარდგენილია ავტომობილის მოპარვაზე სინამდვილეში ის დამზღვევმა გაყიდა საზღვარგარეთ; პრეტენზია წარდგენილია სახლის შიგთავსის დაკარგვაზე. სად. პოლისი ფარავდა რისკს მხოლოდ ქურდობის გატეხვით, მაგრამ მოხდა ქურდობა გატეხვის გარეშე. დამზღვევი ახდენს სახლის გატეხვის ინსცენირებას; პრეტენზია წარდგენილია სახლის ხანძრით განადგურებაზე. რეალურად ხანძარი გააჩინა დამზღვევმა, რადგან ამ სახლის გაყიდვა განაცხადში დაფიქსირებულ ფასად შეუძლებელია; დეტექტივების ერთ-ერთ საყვარელი თემა გახლავთ, როდესაც პიროვნება ყიდულობს სიცოცხლის დაზღვევის პოლისს საკმაოდ მაღალი დაფარვით და შემდეგ ხდება ამ პიროვნების სიკვდილის ინსცენირება დაზღვეულის მიერ, ან მკვლელობა ბენეფიციარის მიერ. ამრიგად ყველა ეტაპზე შესაძლებელია, არაკეთილსინდისიერმა დამზღვევმა სად. ორგანიზაციას წარუდგინოს გაყალბებული დოკუმენტაცია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით ნათლად დავინახავთ, რომ კრიმინალური შემთხვევა, შესაძლოა, ერთი დამზღვევის ქმედება იყოს, ან განხორციელდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ. ბუნებრივია,

დამზღვევს ესაჭიროება ყიდვა-გაყიდვის, ექსპერტიზის, ზარალების შეფასების, სად. შემთხვევის გარემოებებისა და სხვა ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ცრუ ჩვენებები.


თუ გავითვალისწინებთ იმ მწირ ინფორმაციას კრიმინალური შემთხვევების შესახებ, რომლის მოძიებაც ჩვენ შევძელით, სხვა ქვეყნების მწარე გამოცდილების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ის სერიოზული პრობლემა, რომელსაც რეალურად დიდი ზარალი მოაქვს სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის. მაგალითად: სადაზღვევო თაღლითობის საწინააღმდეგო კოალიციის შეფასებით 2006 წელს აშშ-ში ასეთ შემთხვევებზე გაცემული იყო 80 მილიარდი ამერიკული დოლარი. სად. ინფორმაციის ინსტიტუციის შეფასებით აშშ-ში ქონებისა და უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის სახეობებში ანაზღაურების 10 პროცენტი, ანუ დაახლოებით 30 მილიარდი დოლარი გაიცემა კრიმინალური შემთხვევებზე. სად. თაღლითობის ბიუროს შეფასებით დიდ ბრიტანეთში დანაშაულზე წლიურად გაიცემა 3 მილიარდი დოლარი. კანადის სად. ბიუროს მონაცემებით მხოლოდ უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის სახეობაში წლიურად კრიმინალური შემთხვევებზე გაიცემა 5 მილიარდი ამერიკული დოლარი. მისი მასშტაბების დასანახავად საკმარისია მხოლოდ ის ფაქტი, რომ სხვადასხვა შეფასებით სად. ორგანიზაციათა მიერ გაცემული სად. ანაზღაურების 6-15 პროცენტამდე გადაიხდება კრიმინალური შემთხვევებში. როგორც ვხედავთ, ეს არის პრობლემა, რომელსაც სერიოზული ზარალის მოტანა შეუძლია სადაზღვევო კომპანიებისათვის და ასევე დამნაშავეებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, ფაქტი იქნება გამოვლენილი. მაგალითად: სად. თაღლითობაში ექვმიტანილი დიდი ჯგუფი იქნა გამოვლენილი ფლორიდაში 2012 წლის 21 მარტს. ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს 12 ადამიანი. სად. თაღლითობას ადგილი ჰქონდა პერსონალური ტრამვების დაზღვევისას. კერძო კლინიკების მფლობელებს დაეკისრათ ყოველწლიურად 22,5 მილიონ დილარამდე აღნიშნულ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა. ასევე გახმაურებული ფაქტია 2013 წელს ევროპაში ექიმების და სამედიცინო ორგანიზაციების ფართო ქსელის დაპატიმრება. ადგილი ჰქონდა უმიზეზო ცეკეტომიას, რის შედეგადაც კრიმინალურმა ჯგუფმა სადაზღვევო კომპანიას მიაყენა 302 მილიონი ევროს ზარალი.




საქართველოში დაზღვევა არც თუ ახალი დარგია. სადაზღვევო კომპანიები 19 საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა, რაც შემდეგ ჩანაცვლებულ იქნა „გოსსტრახის სისტემის“ მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გარკვეულ მუხლებში ჩამოყალიბებულია სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა ვალდებულებები, რომელთა შორის ზოგიერთი მათგანი ხშირად ხდება კრიმინალის ობიექტი. მაგალითად: მუხლი 802 - სადაზღვევო მოწმობა (პოლისი). მზღვეველი მოვალეა ჩააბაროს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა - პოლისი). როგორც 802-ე მუხლიდან ჩანს, დაზღვევის პოლისი უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას დაზღვევის რისკის შესახებ და პოლისის ფასს. ხელშეკრულების დადების მომენტში არაკეთილსინდისიერ აგენტს შეუძლია კლიენტთან ერთად შეავსოს პოლისი უტყუარი ინფორმაციით მხოლოდ მასზე გადასაცემად, ხოლო სადაზღვევო კომპანიისთვის წარსადგენი ხელშეკრულების ასლის შესახებ ახსნის, რომ მას აქვს ყველა ინფორმაცია და კლიენტის გარეშე შეავსებს. აქ თითქოს არაფერია საგანგაშო, მაგრამ, როდესაც ფორმდება ავტოტრანსპორტის დაზღვევა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტომანქანის ძრავის სიმძლავრეს, ექსპლოატაციის ტერიტორიას, რომელთა მიხედვით დაანგარიშდება დაზღვევის პრემია. აგენტი კომპანიისთვის წარსადგენ პოლისში შეიტანს ისეთ მონაცემებს, რომელიც შეამცირებს დაზღვევის პრემიის სიდიდეს და გადახდით პრემიასა და კომპანიის კუთვნილ პრემიას შორის სხვაობას თვითონ დაიტოვებს. ამ თაღლითობის გაგება დამზღვევს არ შეუძლია მანამ, სანამ არ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო ანაზღაურება მცდარი ინფორმაციის საფუძველზე დაუანგარიშდება, მაგრამ ამ მომენტისთვის შეიძლება აგენტი, რომელთანაც გააფორმა ხელშეკრულება, ძალიან შორს აღმოჩნდეს. ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით დამზღვევმა აგენტს უნდა მოსთხოვოს პოლისის ორივე პირის ადგილზე გაფორმება და კარგად გაეცნოს, რას აწერს ხელს. საინტერესოა რა ხდება საქართველოს შრომის ბაზარზე უფრო კონკრეტულად კრიმინალის კუთხით. ჩვენდა სამწუხაროდ, ან და საბედნიეროდ, ქართულ საბაზრო რეალობაში (მისი ზომებისა და ინფორმაციული გავრცელებულობის, ასევე სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის გამო) კრიმინალური შემთხვევები არ არის ხშირი, ძირითადად გაუთვითცნობიერებულობის და სადაზღვევო კულტურის დაბალი დონის გამო. თუმცა ცნობილი ფაქტია: სოციალურად დაუცველთა ხარჯზე მოპოვებული მილიონები. კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების უკანონოდ მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო 2011 წელს სამართალდამცველებმა 16 ადამიანი დააკავეს. მათ შორის იყვნენ სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები. დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა ყალბი დოკუმენტების დამზადებითა და გამოყენებით, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო

კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების უგულვებლყოფით და მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი სადაზღვევო პოლისები არ დაარიგეს და, შესაბამისად, თავი აარიდეს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, რის შედეგადაც სადაზღვევო პროგრამისთვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხა - 5 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი მიითვისეს.

კრიმინალთან დაპირისპირება საკმაოდ რთული საქმეა. როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი შეიძლება მრავალნაირად გამოვლინდეს. კერძოდ: შეიძლება განპირობებული იყოს თავად სად. ორგანიზაციის მიერ, მისი წარმომადგენლების, თანამშრომლების მიერ. ასევე შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევებიც, რომელიც ორგანიზებულია თავად მზღვეველის მიერ და ლახავს დამზღვევის ინტერესებს. თაღლითობის დაპირისპირებისას სად. ორგანიზაცია სხვადასხვა პრობლემებს აწყდება, მისი დამტკიცება არც თუ ისე ადვილი საქმეა. სად. ბიზნესი ეყრდნობა ეთიკის პრინციპებს და ხანდახან სად. ორგანიზაციები თავს ხუჭავენ მცირე ტყუილზე. ხშირად პატიოსანი დამზღვევები ცუდად განეწყობიან ხოლმე მზღვეველის მიმართ, მათ უჩნდებათ გაცდა, რომ თვითონაც ეჭვმიტანილები არიან. ამ დროს იზრდება ზარალების რეგულირების პერიოდი, რაც უარყოფითად განაწყობს კლიენტებს. ხანდახან კრიმინალის ფაქტის გამოძიება და გამოვლენა უფრო ძვირია, ვიდრე პრეტენზიაში განცხადებული თანხა. პატიოსან კლიენტებზე ეჭვის მიტანის 1 ფაქტიც კი უარყოფითად მოქმედებს სად. ორგანიზაციის რეპუტაციაზე. სად. ორგანიზაციამ არ უნდა დაუშვას კრიმინალური შემთხვევების ფაქტები. იგი უნდა ეცადოს მათი რაოდენობის და გაცემული თანხების შემცირებას. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თავი დაიცვას არსებობს შემდეგი გზები: ეთიკის მოთხოვნების დაცვა; სად. ორგანიზაციების პოლიტიკის დაცვა, თანამშრომლობა სხვა სადაზღვევო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, საკუთარი სტატისტიკური საინფორმაციო ბაზების შექმნა და ა.შ. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადაზღვევო ობიექტის მრავალფეროვნება, დაზღვეულთა დიდი რაოდენობა, სადაზღვევო ბაზრის დიდი გეოგრაფიული მოცვა, მაღალი ფინანსური მაჩვენებლები, სადაზღვევო ანაზღაურების დაცემის სისწრაფე, ნდობისა და კეთილსინდისიერების მაღალი დონე - წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც მეტყველებენ სადაზღვევო ორგანიზაციების სიძლიერეზე, მაგრამ ამავე დროს იგივე გარემოებები შეიძლება გახდეს კარგი ნიადაგი სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში, რომელთაგან მიყენებული ზარალის ოდენობით ყველაზე მასშტაბური და პრობლემატური გახლავთ სწორედ კრიმინალური შემთხვევები სადაზღვევო ურთიერთობებში.

დანართი





Natia Iluridze
Gori State Teaching University
Supervisor: Davit Tchiotashvili, Professor
CRIMINAL CASES IN INSURANCE RELATIONS
SUMMARY

The Insurance is one of the most developing areas, because the world market is increasingly growing percentage of the insured. The Society is constantly under the risks. There are risks everywhere, always and it is impossible to fight them alone. This insurance is an institution, that seeks to manage the risk of people.

There are many problems in insurance relationships. Among these problems is one of the most important: criminal cases of insurance relations. Criminal cases of insurance relations are: illegally misappropriate of insurer's property or abuse of confident. It is manifested in various forms. 1. it can be implemented Before the contract and also during the contract period. For example: During the loss, we may notice a stage or provoking of Insurance case. this means: Insured event did not happen, but the insurer will present a claim on it. This is a problem ,that can bring serious losses for insurance companies.

Confrontation with crime and its approval is very difficult. In this process, the organization faces to different problem. Sometimes, criminal investigation and detection is more expensive, than the amount stated in the claim. However, organizations should not allow the facts of criminal cases. He must try to reduce their number and issued amounts. How to protect themselves? There are the following ways: defense of ethical requirements, policy organizations, cooperation with other insurance organizations, state agencies, and creating their own statistical databases.

სოფიკო კობერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი**, პროფესორი

საინვესტიციო სფეროს რისკი და მისი მახასიათებლები

ინვესტიციური სფერო იმ ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენს, სადაც ინოვაციები წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პირველხარისხოვან საშუალებად გადაიქცევა ხოლმე. სიტყვა „ინვესტიცია“ ლათინური წარმოშობისაა (investire - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. ინვესტიციებია: ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაზღაურებები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ტექნოლოგიები, ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ღირებულებები. ამის გათვალისწინებით, მისი როლი შეუცვლელია ეკონომიკური სისტემის კვლავწარმოებასა და განვითარებაში.

ინვესტიციების სასიცოცხლო ციკლში განასხვავებენ სამ ეტაპს:

1. წინასაინვესტიციო ეტაპზე მართვის მიზანია საინვესტიციო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება, რომლებიც მოიცავს: მათი რეალიზაციის მექანიზმს, სარესურსო უზრუნველყოფასა და დაზღვევას, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმებას;
2. საინვესტიციო ეტაპზე გეგმავენ ინვესტიციების განთავსებას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზებას, გამოყოფილ ვადებში ინვესტიციების ეფექტიან ათვისებას;
3. საექსპლუატაციო ეტაპი მოიცავს პროდუქციისა და მომსახურების წარმოების ორგანიზაციას, მოგების მიღებასა და საინვესტიციო დანახარჯების სრულად ანაზღაურებას.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე განსაზღვრავს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა და ა. შ. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით

განხორციელებული მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაშინ, როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციების ზრდაზე.

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, უცხოური კაპიტალის შემოდინებას დადებითი მომენტები გააჩნია. ის ხელს უწყობს ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შემოდინებას, რაც ზრდის ექსპორტს და, ასევე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ არსებობს უმკაცრესი კონკურენცია პირდაპირი ინვესტიციების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, საქართველოს ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელსაც უცხოური ინვესტიციების გარეშე არ შეუძლია საკუთარი ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება. საქართველოს ხელისუფლება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად სისტემატურად ატარებს ეკონომიკურ რეფორმებს. ქვეყანაში იქმნება ყველა პირობა ინვესტიციების მოზიდვისთვის ეკონომიკის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და საერთაშორისო ეკონომიკაში სათანადო ადგილის დამკვიდრებას. ამ მხრივ საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დარგებია ტურიზმი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. ეს დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში, გარკვეული შეღავათების სისტემის დაწესებაში, იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების გაფართოვება.

საქართველოში საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესება. ეს კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ნებისმიერ ინვესტიციაზე. გარდა ამისა, 2011 წელს შეიქმნა საპარტნიორო ფონდი, რომელსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის რეიტინგი BB.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის 2015 წლის მონაცემებით საქართველოში განხორციელდა 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციების მოზიდვა, რაც 2014 წლის მონაცემებთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ სექტორულ ჭრილში 2015 წლამდე ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ლიდერობდა ენერჯეტიკის სექტორი, რომელიც 55 %-ით შემცირდა. ინვესტიციების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება ექსპორტისა და ფულადი გზავნილების შემცირებასთან ერთად ეროვნული ვალუტის გაუფასურება.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1,117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1,758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015	1,351.1	185.2	370.1	527.9	267.9

2015 წელს ინვესტიციების შემცირება საქართველოს 10 უმსხვილესი დარგიდან 5 დარგში მოხდა. ესენია:

- ენერჯეტიკა - 100 მლნ. \$ - 52%-იანი კლება;
- დამამუშავებელი მრეწველობა - 91 მლნ. \$ - 55%-იანი კლება;
- მშენებლობა - 129 მლნ. \$ - 59%-იანი კლება;
- უძრავი ქონება - 48 მლნ. \$ - 65%-იანი კლება;
- სასტუმროები და რესტორნები - 61 მლნ. \$ - 51%-იანი კლება;

სამაგიეროდ, ინვესტიციების 27%-იანი ზრდა შეიმჩნევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში, სოფლის მეურნეობაში 59%-იანი ზრდა; საფინანსო სექტორში 40%-იანი ზრდა და ჯანდაცვის სექტორში 8%-იანი ზრდა.



რაც შეეხება ინვესტიციების განხორციელებას ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი 542 მლნ. დოლარით, ხოლო მეორე ადგილზე კი გაერთიანებული სამეფო – 198 მლნ. დოლარით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა აზიური ინვესტიციები, რომლებსაც დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით არ აშინებთ პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში ინვესტიციების ჩადება. უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ძირითადად იზიდავს იაფი მუშახელი, გამართული ინფრასტრუქტურა და ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა.

თუმცა უნდა აღინიშნოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მხარეც, კონკრეტულად კი შესაძლებელია გაიზარდოს ინვესტორი ქვეყნის გავლენა იმ ქვეყანაზე, სადაც მან განახორციელა ინვესტიცია. ეს ფაქტორი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

თუ გადავხედავთ ბოლო წლების სტატისტიკას საქართველოში წელიწადში საშუალოდ 1 მლრდ. დოლარის ინვესტიცია შემოდის. თუმცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის არასაკმარისია და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ინვესტიციების დეფიციტია.

ინვესტიციების მოზიდვის მთავარი მიზეზია ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, გამოაცოცხლოს და წახალისოს კრიზისში მყოფი საწარმოები, უზრუნველყოს შიდა წარმოება ფინანსური სახსრებით, ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესში ჩართვას. საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციური რეფორმები და მისი შედეგები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან რეფორმები ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივებზე. აქედან გამომდინარე ხელისუფლების გააზრებული, თანმიმდევრული პოლიტიკა ინსტიტუციური რეფორმების დარგში შეიძლება საქართველოს შემდგომი განვითარების თუ ეკონომიკური წინსვლის საწინდარი გახდეს.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

თუმცა არსებობს რისკები, ინვესტიციურია ის ნებისმიერი რისკი, რომელიც საინვესტიციო საქმიანობის პროცესში ჩნდება და ინვესტიციების განხორციელების შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ მიუღებლობის შესაძლებლობა ან ალბათობა ახასიათებს. ინვესტიციების რისკის დონე პირდაპირაა დამოკიდებული მათი მოსალოდნელი შემოსავლიანობის დონეზე. ნებისმიერ ფორმის

ინვესტიციებიდან, რაც უფრო მეტი დონის შემოსავლიანობას მოელის ინვესტორი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალი იქნება მისი თანმხლები რისკის დონე და – პირიქით.

საინვესტიციო საპროექტო რისკების ძირითადი სახეები საქართველოს პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით:

გადახდისუუნარობის რისკი - უკავშირდება ბიზნესში პარტნიორების მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე საბრუნავი სახსრების ლიკვიდობის დონის დაწევას.

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის რისკი - ცალკეული წყაროებიდან ინვესტიციური რესურსების დაგვიანებით შემოსვლას, არასრული დაფინანსების საშიშროებას იმ კაპიტალის ღირებულების მომატების გამო, რომელიც პროექტის განხორციელებისათვისაა საჭირო.

საწარმოს ფინანსური არამდგრადობის რისკი. მას ახასიათებს ინვესტირებული საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ნაკადისა და ინვესტიციის პროექტით განპირობებული შემოსულობებისა და გადახდების ნაკადების დაუბალანსებლობა.

ინფლაციის რისკი უკავშირდება საინვესტიციო პროექტიდან მოსალოდნელი შემოსავლების გაუფასურებისა და ნომინალური ღირებულებით გამოხატული კაპიტალური დანახარჯების გაძვირების შესაძლებლობას. თანამედროვე პირობებში ინფლაციის რისკი მუდმივი ხასიათისაა და პროექტის რეალიზების ოპერაციების უმრავლესობას ეხება.

ინფლაციის რისკს უკავშირდება საპროცენტო რისკი. საქართველოში მას თავისი სპეციფიკა აქვს, რაც ფინანსური ბაზრის ფორმირების თავისებურებებითა და მისი განუვითარებლობითაა განპირობებული.

მარკეტინგული რისკი არის პროექტის რეალიზაციის სტადიაზე ინვესტიციებიდან შემოსავლების არასრული მიღების რისკი რეალიზაციის მოცულობებსა და ექსპლუატაციის ხარჯზე მოქმედი გარემოებების მიზეზით. რაც უფრო ხანგრძლივია პროექტის რეალიზაციის ვადები, მით უფრო მეტია ამ სახის რისკის მომატების ალბათობა.

კრიმინოგენული რისკი განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ინვესტორის კერძო საკუთრების უფლებათა ჯეროვნად დაცვის უქონლობით, რაც ყველაზე უფრო ხშირად ვლინდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

რისკი ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და მის ყველა ფორმასა და სახეობას უკავშირდება. შესაბამისად, არსებობს რისკის დონეები: ურისკო ინვესტიციები; დაბალრისკიანი ინვესტიციები; საშუალო რისკიანი; მაღალრისკიანი ინვესტიციები.

ინვესტიციები ეკონომიკურ ბაზარზე, თავისი რისკების მიუხედავად, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, აქვს ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები: ეკონომიკური მართვის ობიექტი; დაგროვილი კაპიტალის ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის აქტიური ფორმა; სამეწარმეო საქმიანობის ეფექტის გენერირების წყარო; საბაზრო ურთიერთობათა ობიექტი; დროითი მჯობინების ობიექტი; რისკის ფაქტორის მატარებელი; ლიკვიდობის ფაქტორის მატარებელი.

საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე ინვესტიციური პროცესების თეორიული საფუძვლებისა და ინვესტირების პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული ინვესტიციური კრიზისის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია დავსახოთ ინვესტიციური სფეროს განვითარების გარკვეული პერსპექტივები. სახელდობრ, ინვესტიციური პროცესის გააქტიურებისა და სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი წინადადებების დაყენება:

პირველი, აუცილებელია ისეთი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც დღენიადაგ საინვესტიციო პოლიტიკით იქნება დასაქმებული;

მეორე, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში დაგროვების ნორმის ოპტიმიზაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რომლის განსაზღვრა ქვეყნის წინაშე არსებულ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაზე დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოების მოცულობის დაქვეითებით, საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობითა და შრომის მწარმოებლობის კრიტიკული დონით ხასიათდება, არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს დაგროვების ნორმის გადიდებისათვის. დაგროვების ნორმაზე მოქმედი ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა კაპიტალური აღჭურვილობა, კაპიტალური უკუგება და ა.შ. ეკონომიკური რეფორმების პერიოდში მკვეთრად შემცირდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დაგროვების მაღალი ნორმის პირობებში (80-იანი წლების შუა პერიოდი) სსრკ-ში მატერიალური წარმოების სფეროში ფონდალჭურვილობის დონე განვითარებული ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლის 50%-საც არ აჭარბებდა, კიდევ უფრო დამაფიქრებელ სურათს მივიღებთ.

მსოფლიოში მაღალ დონედაა მიჩნეული დაგროვების ნორმის მთლიანი შიდა პროდუქტის 30-35%-მდე გადიდება. ეკონომიკის აღმავლობასა და რეალური ინვესტიციების წარმოქმნის მიზნებიდან გამომდინარე, დაგროვების ამგვარი ნორმა სავსებით დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ მაღალ დონეზე დაგროვების ნორმას სახელმწიფო უნდა ინარჩუნებდეს რეგულირების უპირატესად არაპირდაპირი და პირდაპირი ეკონომიკური მეთოდებით. აუცილებელია შიდა კერძო ინვესტიციების მოზიდვის წახალისება, რადგან სწორედ მათ უნდა შექმნან ქვეყანაში ინვესტიციური პროცესის ფინანსური საფუძველი და ეს ორიენტირი სავსებით ესადაგება ინვესტიციების მსოფლიო პრაქტიკას. სახელმწიფომ ინვესტიციური პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებითა დაკრედიტებით, მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი დაგროვების ფონდის ზრდას.

მესამე, სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. მართლაც, პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება სახელმწიფოს სამრეწველო და საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა. ეკონომიკური რეფორმების პერიოდში ეს პრობლემა პირველად, ჯერ კიდევ, 1993 წელს დაისვა. პრიორიტეტებს მიაკუთვნეს ის მიმართულებები, სადაც ე.წ. „ზრდის წერტილებია“. მათ შეუძლიათ მაღალტექნოლოგიური და მსოფლიო კრიტერიუმების მიხედვით კონკურენტუნარიანი სამრეწველო კომპლექსის ინტენსიური განვითარება. პრიორიტეტი იმ დარგებმაც უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ - პოლიტიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობა და ა.შ.). და ბოლოს, ეს ის წარმოებებია, რომლებსაც ქვეყნისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ.

მეოთხე, როგორც ცნობილია, სახელმწიფო ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს დაფინანსების ან დაკრედიტების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ბიუჯეტიდან არადაბრუნებად დაკრედიტებაზე გადასვლა. ბიუჯეტიდან მიზანშეწონილია ძირითადად სოციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაფინანსება. თანაც სახელმწიფო დაფინანსების არსებული ფორმებიდან ყველაზე აქტიურად უნდა ვიყენებდეთ სუბვენციებს, რომლებიც სახსრების დაბრუნებას გულისხმობს მათი არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში. გარდა ამისა, შეზღუდული ცენტრალიზებული ინვესტიციური რესურსების განთავსება უნდა ხდებოდეს მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამებთან მკაცრი შესაბამისობით და კონკურსის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პრიორიტეტულ მიმართულებებზე მათ წარმართვას.

ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით მიზანშეწონილია საქართველოში შეიქმნას ინვესტიციების (როგორც სამამულო, ისე უცხოური) ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანო. მართალია, დღეისათვის შექმნილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებულ ობიექტების რესტრუქტურისა და მენეჯმენტს. ჩვენი აზრით, ეს სრულებით არა არის საკმარისი. სასურველია მას დამატოს შემდეგი ფუნქციები: ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; ინვესტირების უფლებების დაცვა; ინვესტიციური და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია; ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე კონტროლი; ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში.

ლიტერატურა:

1. <http://www.ecomony.ge>
2. <http://www.geostat.ge>
3. <http://www.nbg.gov.ge>
4. <http://www.nepr.gov.ge/source/>
5. <http://www.ecomony.ge>
6. <http://www.iereporter.ge>
7. <http://www.forbs.ge>
8. <http://www.tabula.ge/ge/topic>
9. <http://www.investigeorgia.org>
10. <http://www.heritage.org>
11. <http://www.doingbusiness.org>

Sophiko Koberidze
Gori State Teaching University
Supervisor: Tea Khorguashvili, Professor
RISK OF INVESTMENT FIELD AND ITS CHARACTERISTICS
SUMMARY

Risk is the most important characteristic of investment and connects its all forms and varieties. Investments are carrier of risk factor as source of income which is received from production activity by the investor. During the investment activity investor must consciously run economic risk, which connects possible decrease or lose of possible investment income, also, possible total or partial loss of invested capital. Consequently, concepts of investment risk and investment income are closely connected with each other in investor's production activity.

In country's investment field opportunities of effectiveness increase of economy are still little, but they are growing, especially at the expense of foreign capital formation. Therefore, necessity of effective use of these resources are expanding. At the moment, unfortunately, investment processes in segregate field of economy are still being chaotic.

ანა ლოლაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: გაიოზ ნადირაშვილი, პროფესორი

მდგრადი განვითარება - საქართველოს ტურიზმის მომავალია

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის უმსხვილესი სექტორია. მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაინტერესებული ტურიზმის განვითარებით, ბევრმა მათგანმა ტურიზმის ბიზნესში ფენომენალურ წარმატებას მიაღწია. ტურიზმს მსოფლიოში ლიდერის პოზიცია უკავია ეკონომიკის სფეროში. მას კონკურენციას მხოლოდ ნავთობის მოპოვებისა და ავტომშენებლობის დარგები უწევენ. მისი გავლენა მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანია და სისტემატურად იზრდება. საერთაშორისო ტურიზმი თავისი ეკონომიკური აქტივობების სფეროში აქცევს ბუნებრივ, კულტურულ-ისტორიულ და სხვა სახის რესურსებს.

ტურიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენენ ეკონომიკური, მარკეტინგული, პოლიტიკური და ბუნებრივი ფაქტორები.

ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ადამიანების ბუნებისადმი დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავებულია, კაცობრიობის განვითარების თითქმის მთელ მანძილზე და XX საუკუნემდეც კი, ბუნებასა და საზოგადოებას შორის წონასწორობის დარღვევის ძირითად გამომწვევ მიზეზს მოსახლეობის ჭარბწარმოება წარმოადგენდა. XXI საუკუნიდან ვითარება არსებითად შეიცვალა და ტექნოგენეზი მძლავრად განვითარდა. ამ ტემპმა, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებამ, ტექნოლოგიის განვითარების მომატებულმა ტემპმა და სხვა ფაქტორებმა მსოფლიოში აშკარა გახადა მოსახლეობის რაოდენობის ზრდის, ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პროცესების ურთიერთმჭიდრო კავშირი და სამივეს ექსპონენციალური ზრდა.

კაცობრიობა გარემოს გადარჩენის გზებსა და საშუალებებს დღემდე ეძებს, ეს არის ისეთი პრობლემა, რომელსაც ცალკეული ქვეყნები საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებიან და კაცობრიობის გადასარჩენად მსოფლიოს სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალისხმევაა საჭირო.

„მდგრადობის“ და „მდგრადი განვითარების“ ცნებები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დასახასიათებლად გამოიყენება: მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მდგრადი ბუნებათსარგებლობა, ფირმის საქმიანობის მდგრადობა, საბანკო სისტემის მდგრადობა, ეკონომიკისა და წარმოების მდგრადი განვითარება და ა.შ. სპეციალისტების აზრით, ამ ტერმინების ასეთი ფართო გავრცელება აიხსნება არა იმდენად მათი უნივერსალური ხასიათით, არამედ იმით, რომ არ არსებობს მათი

ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი შეფასების მეთოდები, აგრეთვე მდგრადი კონცეფციისა და განვითარების ხარისხის რაოდენობრივი შეფასების მექანიზმი. როგორც სამეცნიერო კატეგორიები, „მდგრადობა“ და „მდგრადი განვითარება“ ფართოდაა გამოყენებული მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, როგორცაა მაგალითად: მექანიკა, გენეტიკა, ტექნიკა-ტექნოლოგიის სფეროები და ა.შ.

ცნება „მდგრადი განვითარება“ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სისტემისადმი მიმართებაში XX საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ბუნებასთან უკონფლიქტო თანაარსებობის შემდეგ, კაცობრიობამ თავისი საქმიანობით დაარღვია ბიოსფეროს ბუნებრივი თვითრეგულირების შესაძლებლობა, რამაც ერთიან ბუნებრივ გარემოში გლობალური ცვლილებები და ცხოვრების ხარისხის გაუარესება გამოიწვია.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს რომის კლუბის წევრებმა მიზნად დაისახეს შეესწავლათ კაცობრიობის განვითარების მიმართულებებთან დაკავშირებული მსხვილმასშტაბიანი გადაწყვეტილებების ახლო და შორეული პერიოდის შედეგები. მეცნიერებმა გადაწყვიტეს სისტემური მიდგომით გლობალური პრობლემატიკის შესწავლა მათემატიკურ-კომპიუტერული მოდელირების მეთოდის გამოყენებით. მიღებული შედეგები 1972 წელს გამოქვეყნდა რომის კლუბში წარდგენილი პირველი მოხსენებით, რომლის სახელწოდებაც „ზრდის ზღვარი“. მოხსენების მკვლევარები ამერიკელი მეცნიერის, დენის მედოუზას, ხელმძღვანელობით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ მოსახლეობის რიცხოვნობის, ინდუსტრალიზაციის, ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანების, სურსათის წარმოებისა და რესურსების გამოფიტვის თანამედროვე ტენდენციები გაგრძელდება, მაშინ 21-ე ასწლეულში მსოფლიო ზრდა-განვითარების ზღვარს მიაღწევს, მოხდება მოსახლეობის მოულოდნელი და არაკონტროლირებადი რაოდენობის დაცემა და წარმოების მკვეთრი შემცირება. მოხსენების ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ზრდის ტენდენციის შეცვლა, ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგრადი გრძელვადიანი პერსპექტივის უზრუნველყოფა. მეცნიერთა აზრით, გლობალური წონასწორობის მდგომარეობა უნდა შეჩერდეს ისეთ დონეზე, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ადამიანის მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება და პირადი პოტენციალის რეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ პლანეტის თანამედროვე რთული მდგომარეობა გამოწვეულია არამარტო რესურსების შეზღუდვით და ჭარბმოსახლეობით, არამედ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობითაც.

დ. მედოუზას ჯგუფის მკვლევართა მიერ ჩატარებული სამუშაოების მონაცემებზე გამოქვეყნებული ნაშრომის „ზრდის ზღვარი“ ძირითადი შედეგები მდგომარეობს შემდეგში: მათემატიკური მოდელის პროგნოზით 75 წლის შემდეგ ნედლეულის რესურსები ამოიწურება, სურსათის უკმარისობა მიაღწევს კატასტროფულ შედეგს, თუ მსოფლიოს ეკონომიკური განვითარება სასწრაფოდ არ გადავა მარტივი კვლავწარმოების მოდელზე და დედამიწის მოსახლეობის ზრდა მკაცრ კონტროლს არ დაემორჩილება.

მოხსენების ავტორებს „ახალი მალთუსინელები“ შეარქვეს, შეახსენეს, რომ თომას მალთუსი და ჯონ სტიუარდ მილლი წინასწარმეტყველებდნენ ცივილიზაციის გაქრობას დედამიწის ჭარბმოსახლეობით. ცნობილი ეკონომისტი რობერტ მასლოუ წერდა, რომ „ჩვენ თუ ავტომობილებს დავამზადებთ ისე, როგორც ამას 30 წლის წინათ აკეთებდნენ, უკვე დახარჯული გვექნებოდა მთელი ფოლადი, მაგრამ მოხდა მასალების შეცვლა. სიმართლეა, რომ ჩვენ აუცილებლად მოვიხმართ მთელი ნავთობის მარაგს, მაგრამ ნაადრევია, რომ ჩვენ ენერჯიას ამოვწურავთ“. მოხსენება „ზრდის ზღვარი“ დასაწყისი გახდა რომის კლუბის სხვა მრავალი მოხსენებისთვის, რომლებშიც განხილულია კაცობრიობის განვითარებისთვის მეტად აქტუალური საკითხები, ისინი მოიცავდნენ ეკონომიკური ზრდის, განვითარების, სწავლებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, გლობალური აზროვნების პრობლემატიკას.

გარემოს მდგომარეობით გამოწვეულ მსოფლიო თანამეგობრობის ღრმა შემფოთებასა და ცივილიზაციის მომავალზე წუხილს, 1984 წელს შედეგად მოჰყვა გაეროს გენერალური ანსამბლეს გადაწყვეტილება, რომლითაც გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისია (გგსკ) შეიქმნა, კომისიას დაევალა მოხსენების მომზადება ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმომოხაზე, მათი ურთიერთკავშირის ხასიათზე, გადაჭრის მიმართულებებსა და საშუალებებზე. კომისიაში გაერთიანდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, თავმჯდომარეობა დაევალა ნორვეგიის პრემიერმინისტრს, ქ-ნ გ. ბრუნტლანდს.

გაეროს მიერ შექმნილმა კომისიამ გ. ბრუნტლანდის თავმჯდომარეობით მოამზადა მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი“, რომელიც 1987 წელს გამოქვეყნდა და მასში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია გარემოს წონასწორობასთან მიმართებაში პირველადაა წარმოდგენილი. თუმცა მდგრადი განვითარების პრინციპი ოფიციალურად 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაცხადდა. მისი მთავარი არსი შემდგომში მდგომარეობს: კაცობრიობა წარმოებით, დემოგრაფიული პროცესებითა და სხვა ძალებით ძლიერ ზეწოლას ახდენს პლანეტის ეკოსისტემაზე, რაც მის დაშლა-დეგრადაციას იწვევს.

მხოლოდ მდგრად განვითარებაზე გადასვლას შეუძლია არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მომავალი თაობების უზრუნველყოფა. გ. ბრუნტლანდის მოხსენებაში მოტანილია შემდეგი განსაზღვრა: მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, როდესაც მოცემული პერიოდის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. თუმცა საფრთხის წინაშე არ ტოვებს მომავალი ახალგაზრდობის უნარს დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები.

გაეროს მიერ მიღებული პროგრამით საერთაშორისო კომისიას ევალება, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს და მხარი დაუჭიროს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მდგრადი განვითარების ცენტრების შექმნას, რომლებიც ადგილობრივი მართვის ორგანოებს კონსულტაციას გაუწევენ „XXI საუკუნის დღის წესრიგის“ განხორციელებაში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გლობალური ფონდის შექმნას, საშიშ ზონებში მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ადგილების აღდგენა-განვითარების დასაფინანსებლად, ახალგაზრდობისთვის მდგრადი განვითარების სასწავლო ცენტრების მოსაწყობად და ა.შ. საყურადღებოა, რომ მდგრადი განვითარების პროგრამების სფეროში ფაქტიურად ჩართული აღმოჩნდება მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნების მცირე ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ ახალი „ეკოლოგიური“ ტექნოლოგიების შექმნა-გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ტერმინი „ოქროს მილიარდი“, რაც უკავშირდება მაღალი კეთილდღეობის პირობებში მცხოვრებ ქვეყნებს და რომლის შედეგად „ცხოვრების დონე“ „ცხოვრების ხარისხმა“ შეცვალა. თუმცა ყველა ადამიანი ხომ ერთ პლანეტაზე ცხოვრობს, ამიტომ თეზისი იმის შესახებ, რომ დედამიწა ჭარბად დასახლებულია, უფრო და უფრო ძნელად შესაცნობი ხდება. დემოგრაფიისა და უღმობელი ლოგიკის წყალობით ჭარბმოსახლეობა პლანეტის მომავალს მძიმე ტვირთად აწევს.

მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს დღეისათვის მხოლოდ „ოქროს მილიარდი“ ადამიანების კეთილდღეობას. ამიტომ ჩამოყალიბდა კაცობრიობის გადარჩენის სტრატეგია, როგორც მდგრადი განვითარების კონცეფციის შემადგენელი ნაწილი, რომლის ძირითადი ელემენტებია: პროდუქციის ერთეულზე ნედლეულისა და ენერჯის შემცირებული დანახარჯით მეტი პროდუქტის წარმოება ეფექტიანობის გაზრდის, აღდგენილი რესურსის გამოყენებას, ტექნოლოგიის გამოყენებას, ნარჩენების უტილიზაციის გზით.

უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გაეროს კონცეფცია გარემოსა და განვითარების საკითხებზე, რომელიც 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა. ეს კონფერენცია მსოფლიოს მონაწილე ქვეყნებისა და მთავრობების რაოდენობით ყველაზე წარმომადგენლობითი აღმოჩნდა, კონფერენციამ მოქმედებათა ამომწურავი პროგრამა „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ მიიღო, რომელშიც „ზრდის ზღვარის“ საპირისპირო კონცეფციაა მოცემული: „ჩვენ შეგვიძლია ადამიანის მოქმედების შეთანხმება ბუნების კანონებთან და საყოველთაო აყვავების მიღწევა“.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია 1996 წელს მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ, მომხმარებლებისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ და ორგანიზაცია „მწვანე მსოფლიომაც“ შეიმუშავეს, რომლის მიხედვით მდგრადი განვითარება ისეთი პროცესია, რომლის განხორციელებით ტურისტული რესურსები არ ზიანდება. 2002 წელს ქალაქ იოჰანესბურგში ჩატარდა უმაღლესი დონის მსოფლიო შეხვედრა მდგრადი განვითარების საკითხებზე. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მდგრადი ტურიზმის განვითარებას და იგი შეფასდა, როგორც ტურისტული რესურსების ათვისების უპირატესი საშუალება ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით, მდგრადი ტურიზმის განვითარებით ტურისტებისა და მიმღები რეგიონების მიმდინარე მოთხოვნილებები დაკმაყოფილდება, გათვალისწინებულ იქნება მომავლის პრობლემებიც.

ამჟამად მდგრადი განვითარების პრობლემებით პრაქტიკულად ყველაა დაინტერესებული, კერძოდ მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ინსტიტუტები და ა.შ.

ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობით საქართველო ევროპის პატარა სახელმწიფოებს ეკუთვნის. ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული წინაპირობები სხვადასხვა დარგების, მათ შორის ტურისტული კომპლექსის მდგრადი განვითარებისათვის: ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა; სატრანსპორტო კომუნიკაციები და საწარმოო ინფრასტრუქტურა; ნაყოფიერი მიწის, წყლისა და ტყის რესურსები, ზოგიერთი სახის მნიშვნელოვანი წიაღისეული, მინერალურ-სანედლეულო და მდიდარი წყლის ენერგეტიკული რესურსები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანის ხელით იავარქმნილია; ჯერ კიდევ დაუზიანებელი ეკოსისტემისა და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების გადარჩენილი ნაწილი, მოსახლეობის მაღალი ზოგადი საგანმანათლებლო დონე და იაფი მუშახელი, კვალიფიციური კადრების მეტნაკლებად ჩამოყალიბებული სისტემა; მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, საკმარისი სამრეწველო და შიდარესპუბლიკური რეგიონების განვითარების კომპლექსურობა, მრავალმხრივი შიდაეკონომიკური კავშირები და სხვა.

ბოლო 4-5 წლის განმავლობაში სტატისტიკური მაჩვენებლები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის მდგომარეობა მზარდია და აღმავლობით ვითარდება, მაღალია ზრდის ტემპი. ეს ფაქტები შეუმჩნეველი არ დარჩენილა ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, რომლის ანგარიშში 2013 წელს აღინიშნა, რომ საერთაშორისო შემოსავლების ზრდა ტურიზმიდან ყველაზე მაღალი იყო საქართველოში, გაიზარდა საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, ათ საუკეთესო მოსანახულებელ ქვეყანას შორის მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა და მოხსენიებულია თურქეთისა და ბრაზილიის შემდეგ. ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივა ასევე საკმაოდ ოპტიმალურია, ამდღა საქართველოს ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა ნაკლოვანებებიც საკმარისად ბევრია. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში საერთაშორისო შემოსავლების 88% მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა და სხვა ქვეყნებიდან - მხოლოდ 12% ტურისტია შემოსული.

საქართველო ტურისტური რესურსებით უნიკალური ქვეყანაა, რომელიც საფუძველს იძლევა მთის, ზღვის, ზამთრის, სამკურნალო, ეკოლოგიური, ექსტრემალური, კულტურული, რელიგიური, საქმიანი, აგრარული ტურიზმის და სხვა მრავალი მიმართულების სწრაფი განვითარებისათვის. გარკვეული წინსვლა არსებობს, თუმცა მოლოდინმა სრული სახით ჯერ ვერ გამართლა. საქართველოში ტურიზმის განვითარების დონე, მასშტაბები და მომსახურების ხარისხი ბევრად ჩამორჩება ევროპის, ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, აზიის განვითარებულ ტურისტულ ქვეყნებს. პრობლემები განსაკუთრებით ბევრია მდგრადი ტურიზმის განვითარების მიმართულებით, რომელთა გამოსწორებაც უზარმაზარ თანხებსა და ძალისხმევას მოითხოვს.

მდგრადი ტურიზმის კონცეფცია შესაძლებლობას იძლევა დავძლიოთ ზრდადი წინამდებეობა, ერთი მხრივ, ტურისტების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობას, რაც ასტიმულირებს ტურიზმის ინდუსტრიას და, მეორე მხრივ, შეზღუდული რაოდენობის ბუნებრივ, სოციალური და ეკონომიკურ რესურსებს შორის, რომლებსაც დესტინაციები ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში იღებენ. მსოფლიო ტურიზმის დღევანდელი მართვის პირობებში მდგრადი ტურიზმის აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას, რაც მოითხოვს მისი განვითარებისთვის შესაფერისი პირობების შექმნას, ტურისტული საქმიანობით წარმოებული ნეგატიური შედეგების შემცირებასა და დადებითის მაქსიმალურ გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., ვერბერცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოტურიზმის საფუძვლები, თბ., 2012.
2. Петрасов В., Концепция устойчивого развития применительно, к мировому. М., 2005.
3. Хравченко В., Экологический туризм. М., 2014.
4. Щимова О., Основы устойчивого туризма. М., 2011.
5. The Economics of Tourism and Sustainable Development eds: A.Lanra, A. Markandaya, F. Piyliaru. Vol, 42 N3, 2004

Ana Loladze

Tbilisi Teaching University

Supervisor: Gaioz Nadirashvili, Professor

SUSTAINABLE DEVELOPMENT – THE FUTURE OF GEORGIAN TOURISM SUMMARY

The work has outlined the essence of sustainable development, the history of arising the problem and forming the sustainable development concept, ways of transition to the development phase, governing factors.

In 1984 the UN General Assembly session passed a resolution on establishment of the World Commission on Environment and Development (WCED). G. H. Brundtland (the former Prime Minister of Norway) was elected as the commission chairperson.

The commission has developed the report on “Our Common Future”, where the term of Sustainable Development was used for the first time, as well as the social-economic development concept in balance with environment. The essence of this concept promulgates that the humankind makes huge influence on the planet's ecological system and provokes its degradation through manufacturing, demographic processes and other forces. Only rush transition to sustainable development can satisfy the public requirements and ensure the future generations with the same opportunities (G. H. Brundtland). On the global level, biosphere protection principles were formulated at the 1992 Rio De Janeiro international Conference for Environment Protection and Development.

PR და თანამედროვე ტურისტული ინდუსტრია

საზოგადოებასთან ურთიერთობა (Public Relations) - ეს არის სფერო, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული და მნიშვნელოვანი XXI საუკუნეში გახდა. მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო არა მარტო მიეჩნია მას, არამედ PR-ი გახდა ეფექტური მეცნიერება და ხელოვნება საზოგადოებასა და სხვადასხვა სუბიექტს შორის ურთიერთგაგების, მათ შორის კავშირის და შეთანხმების მისაღწევად.

საზოგადოებასთან ურთიერთობას მრავალი მიმართულება აქვს, მაგრამ უმთავრესი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, მასებზე ზემოქმედება და კრიზისული სიტუაციების მართვაა, რომლის გარეშეც ვერ იარსებებს ვერც სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი და ვერც დამოუკიდებელი კომერციული სტრუქტურა.

PR-ი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ტურისტულ სექტორში. იქედან გამომდინარე, რომ ტურიზმი არის მომსახურებაზე დამყარებული ინდუსტრია, ხელშესახები პროდუქციისაგან განსხვავებით უფრო რთულია მისი მარკეტინგი. ამიტომაც სწორედ PR-ი და სარეკლამო კამპანიის მართვებად შერჩევა, რომელიც მიმართული იქნება ზოგადად მოსახლეობის, ან რომელიმე გარკვეული სეგმენტის მიმართ, შეიძლება გახდეს ტურიზმის აყვავების მიზეზი, რაც ქვეყანას მნიშვნელოვან წინსვლას მოუტანს.

ტურიზმის სფეროში შეგვიძლია გამოვყოთ სახელმწიფო პიარი და კერძო კომპანიების პიარი.

სახელმწიფო პიარი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, უსაფრთხოების გარანტიას, სამედიცინო დაზღვევის მაღალი ხარისხით მუშაობას, ტოლერანტულ გარემოს, ლიბერალურ ფასებს ტრანსპორტზე და თავისუფალი შემოსავლის საშუალებას.

ქვეყნები ტურიზმის სფეროს განვითარების მიხედვით შესაძლებელია დაჯგოვდნენ სამ ნაწილად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება:

1. ქვეყნები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული მხოლოდ ტურიზმის ბიზნესით, რადგან ეს არ წარმოადგენს მათ მთავარ შემოსავალს;

ისეთი ქვეყნები, როგორცაა ერაყი, აზერბაიჯანი და სხვა, რომლებიც არ ახდენენ საკუთარი ქვეყნის ტირაჟრებას ტურიზმის ჭრილში და რომელთა ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები ე.წ. „შავი ოქრო“ ანუ ნავთობპროდუქტებია.

შემდეგ ჯგუფს მიეკუთვნება:

2. ქვეყნები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ტურიზმის ბიზნესში, ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი, ამერიკა, იტალია. რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან მასობრივი ტურიზმის ობიექტები. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ქვეყნების მთავრობები არ მიმართავენ აქტიურ პიარ კამპანიას, ვინაიდან, მათ ტურისტულად მიმზიდველ იმიჯზე ჯერ კიდევ შუა საუკუნეების არქიტექტორებმა და საზოგადო მოღვაწეებმა იზრუნეს. თუმცაღა, ფორსმაჟორულ სიტუაციებში ისინიც აქტიურ პიარ კამპანიას ეწევა.

3. მესამე ჯგუფის ქვეყნებს მიეკუთვნება ქვეყნები, რომლებიც ძირითადად ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი და, შესაბამისად, ამ ქვეყნების ეკონომიკის განმსაზღვრელი სწორედ რომ ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს. თუმცაღა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ქვეყნები განეკუთვნებიან ეგრეთ წოდებულ რისკ ჯგუფებს პოლიტიკური და ეკონომიკური არამდგრადობის გამო. მაგრამ მიუხედავად ამ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობისა, აღნიშნული ქვეყნები უამრავ ტურისტს იზიდავს. აღნიშნულ შემდეგ კი სწორედ რომ სერიოზული პიარკამპანიებისა და ქსელური მარკეტინგის ძალისხმევით აღწევენ.

განსაკუთრებული პიარ აქციები აუცილებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რისკ ჯგუფებს განეკუთვნებიან, მაგალითად: ისრაელი, ეგვიპტე, ტაილანდი და, მათ შორის საქართველოც. ასეთი ტიპის ქვეყნები მუდმივ რეკლამასა და იმიჯის გამყარებას უნდა ცდილობდნენ. მაგალითისათვის შემიძლია მოგიყვანოთ ეგვიპტე, რომელმაც 2010 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ მიმართა პიარ აქციას და ფასი ტურისტებისთვის გაანახევრა.

ნებისმიერი ქვეყნის რეკლამირებისათვის მნიშვნელოვანია პიარ ტექნოლოგიისა და ქვეყნის იდეოლოგიის თანხვედრა.

მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესმა ტურიზმის პიარშიც შეაღწია და ბოლო წლებში გვევლინება ერთფეროვანი, ერთგვაროვანი პიარ საშუალებები. ამიტომ დასვენების და გართობის მესვეურთ მართებთ კონცეპტუალურად ახალი მეთოდების შემუშავება. უნდა გვახსოვდეს, რომ სპას, ეგზოტიკურ კერძს, გართობის ანიმაციურ საშუალებებს და მომხიბვლელ ფასს და სხვა მომსახურებებს გვთავაზობს უკლებლივ ყველა კურორტი.

კონკრეტული სეგმენტის მიმზიდველობაზე, ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობაზე აქცენტები შეიძლება მომგებიანად იქნას მიმართული სწორად შერჩეული პიარ კამპანიებით.

აქედან ნათლად ჩანს, რომ პიარის მიერ სწორად წარმართულ რეკლამირებასა და მარკეტინგს შეუძლია შეგავლენა მოახდინოს რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეკლამირების მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ის, რომ ადამიანს გაუღვიძოს სურვილი იმოგზაუროს სწორედ ისეთ ადგილებში, რომლებიც მას ჰპირდება განსხვავებულ შეგრძნებებსა და დაუფიქრად, მანამდე უცნობ შთაბეჭდილებებს.

პიარ სამსახურმა სწორად უნდა განსაზღვროს რეკლამის სახე და კონკრეტული სეგმენტი. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირდაპირი რეკლამა, არამედ გარკვეული შინაარსის შემეცნებითი გადაცემა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტელეკომპანიის „თრეველ ჩენელი“ - ის გადაცემა „საუკეთესო აგილები, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ“. მსგავსი გადაცემები საშუალებას იძლევა პოპულარიზაცია გაუკეთდეს კონკრეტულ ადგილებს არა კონკრეტული რეკლამით, არამედ ზოგადი ხასიათის გადაცემის მეშვეობით.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, თუ რა როლი უჭირავს პიარს ტურისტულ ინდუსტრიაში, მინდა შემოგთავაზოთ, მსოფლიო მასშტაბით წარმატებულ ერთ - ერთი საუკეთესო პიარკამპანიას „ვირტუალური კურორტი“, რომელიც შექმნა კომპანია Hyatt Resorts-მა.

კომპანია Hyatt Resorts წლების განმავლობაში ქმნიდა საკუთარ რეპუტაციას, პოზიციონირებდა, როგორც მაღალხარისხიანი დასვენების გარანტი, ორიენტირებული მოგზაურობაზე, გოლფის მოყვარულებზე, ოჯახურ დასვენებაზე, წყლის სპორტისა და თავგადასავლების მოყვარულებზე. კომპანია რამდენიმე პრობლემის პირისპირ აღმოჩნდა,

ეს იყო:

- ✓ კონკურენციის ზრდა საკრუიზო კომპანიებისა და ტუროპერატორების მხრიდან;
- ✓ დასვენების დროის შეზღუდვა;
- ✓ მოგების შემცირება.

კომპანიამ დასახმარებლად მიმართა ერთ-ერთ წამყვან პიარ სააგენტოს, მრავალწახნაგოვანი პიარ სტრატეგიის შესამუშავებლად, რაც მას შეუნარჩუნებდა ლიდერის სტატუსს და მის პრესტიჟს გაზრდიდა.

Hyatt Resorts საჭიროებდა პროდუქტიულ მოვლენას, რათა ნიუ - იორკის მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩენილიყო. მოვლენას უნდა მოეცვა 17 კურორტი კარიბიდან ჰავაის კუნძულებამდე. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელი იქნებოდა ყველა მასმედიის, ტურისტული სააგენტოსა და მსხვილი მომხმარებლის 17-ვე კურორტზე ჩაყვანა, გადაწყვიტეს „მთა მიეყვანათ მუჰამედთან“ და გაუკეთეს ორგანიზება ვირტუალურ კურორტს, რომელიც ახდენდა 17-ვე კურორტზე დასვენების იმიტირებას მანჰეტენიდან გაუსვლელად.

მოვლენას ადგილი ჰქონდა UN Plaza Park Hyatt - ის უზარმაზარ ლობიში (2000 მ.კვ. ფართი), საცურაო აუზებში, ჩოგბურთის მოედნებსა და ფიტნეს - ცენტრებში. წარმოდგენილი იყო სათითაო კურორტის სპეციფიკა. მოვლენა იქმნებოდა ავია გადაფრენის იმიტირებით ბიზნეს კლასის სალონში, სტუმრებს ხვდებოდა American Airlines - ის პერსონალი. 17 კურორტს 17 ოთახი წარმოადგენდა. ყოველი მათგანი იყო დეკორირებული შესაბამისი ატრიბუტივით.

120 მასმედიის საშუალებამ მიიღო მონაწილეობა ამ ორგანიზებულ მოვლენაში და საკუთარ თავზე გამოსცადა Hyatt Resorts - ის ყოველი შეთავაზება. ამის შედეგად, თითქმის ყველა ტელეარხმა და რადიოსადგურმა გააშუქა ვირტუალური კურორტი, ასევე უამრავი ინფორმაცია დაიბეჭდა ყველა მოწინავე ჟურნალსა თუ გაზეთში ქვეყნის მასშტაბით.

მარტო ბეჭდურმა მედიამ მოიცვა 77 მილიონი მკითხველი. განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობდა ელექტრონული გამოცემები. 16 მილიონი მაყურებელი პირაპირ ჩართვებს უყურებდა. წარმატებული კამპანიის შედეგად Hyatt Resorts - მა დაიმკვიდრა ლიდერის პოზიცია გასართობ და დასასვენებელ კურორტთა შორის. მედიის მხრიდან ინტერესი კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა. ხშირად იყო მიმართვა გადაცემაში და დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ან კომენტარის გასაკეთებლად Hyatt Resorts - ის ხელმძღვანელების მიმართ. ამავდროულად, გაიზარდა გაყიდვები მხოლოდ პიარ საშუალებების გამოყენებით ზამთრის სეზონზე - 9%-ით, ხოლო ზაფხულში - 10%-ით.

მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიარი არის დღევანდელი ცხოვრებისა და ნებისმიერი სფეროს განუყოფელი ნაწილი. დღეისათვის წარმოდგენილია წამყვანი დარგების არსებობა პიარის გარეშე, ყველა ქვეყანაში არსებობს ამ დარგის სპეციალისტთა მოსამზადებელი ცენტრები, რომ არაფერი ვთქვათ საუნივერსიტეტო სწავლებაზე. პიარი ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის საქმიანობისთვის ეფექტიანი მართვის განუყოფელი ნაწილია.

ლიტერატურა:

1. ელიზაბედ ხახუტაშვილი, ლია კაპანაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა, 2007.
2. რა არის პიარი, სიმართლე პიარის შესახებ. 8-ე გამოცემა; გვ. 2 / This is PR, the realities of Public Relation, 8th edition/ Thomson Wadsworth; 2008; California, USA;
3. ვილსონ ოკაკა, მედია კომუნიკაციების როლი ტურიზმის განვითარებაში, გვ. 2, 34th International Institute of Peace through Tourism conference; 2010;
4. <http://www.grin.com/en/e-book/public-relations-as-a-tool-of-tourism-marketing>
5. <http://ezinearticles.com/?Public-Relation-in-Tourism&id=5136769>
6. <http://kdpaine.blogs.com/themeasurementstandard/2007/07/public-relation.html>

Ketevani Chapidze
Guram Tavartkiladze Teaching University
Supervisor: Sopiko Tevdoradze, Professor
PR AND MODERN TOURISM INDUSTRY
SUMMARY

Public Relations is the sphere that has become especially popular and significant in the XXI century. Modern civilization not only got used to PR, but it has become an effective science and art for reaching the understanding and agreement and union between individuals and society.

PR plays special role in tourism sector. The development of tourism as of the industry is vital for the economic development of the counties. Particularly, for raising their income, employment possibilities and other social and cultural transformations. Considering the fact that tourism is service industry, in difference from tangible products, its marketing is much complicated. Therefore, right PR and promotion campaign that will be directed towards the population in general or its certain segment, may become the reason for tourism prosperity that will bring the significant advancement to the country.

ნინო ჭანტურია

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ლალი ჩაგელიშვილი**, პროფესორი

როდის გავყიდოთ წარმატებით ბიზნესი?

მსოფლიოში როგორც წესი, მთელი კვირის განმავლობაში ხორციელდება ასეულობით შერწყმისა და შთანთქმის ოპერაციები. არსებობს სხვადასხვა მიზეზი თუ რატომ ყიდიან მფლობელები კომპანიებს, შეისწავლიან ახალ სტრატეგიებს ან ეძებენ სხვა ახლებურ გზებს კაპიტალის მოსაზიდად.

რთულია გადაწყვიტო და მიყიდო კომპანია სხვას, როდესაც შენზე ბევრი ადამიანია დამოკიდებული: მომუშავე პერსონალი, პარტნიორი ორგანიზაციები და ა.შ. გამოცდილმა ინვესტორებმა

იციან, თუ როგორ უნდა მოახდინონ ფაქტორების გადახარისხება, როდესაც საქმე ეხება ახალი ბიზნესის დაწყებას ან წილის შექმნას. მათ ესმით, რომ კომპანიის წარმატებაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს და ამ ფაქტორების გაანალიზება საჭირო. თუ რაციონალურად შევხედავთ, გაყიდვის სწორი სტრატეგიის ქონა კომპანიის მფლობელისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. რამდენიც არ უნდა იფიქროს ინვესტორმა ამა თუ იმ ბაზარზე შესვლის შესახებ, რამდენი ალტერნატივაც და რისკიც არ უნდა შეაფასოს, ან თუნდაც მოიძიოს დაფინანსება, ის არანაირად არაა დაზღვეული, რომ ერთ დღეს ბიზნესი დაღმავლობას არ დაიწყებს. წარმატებული სტარტის და უშეცდომო მართვის მიუხედავად არ ვართ დაზღვეული გარე ფაქტორებისგან, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, გლობალური კრიზისი და ა.შ.

ხშირად მეწარმეები ფიქრობენ: “როდის გავყიდოთ წარმატებით ბიზნესი?” მფლობელები, რომლებიც საკუთარ თავს ამ შეკითხვას უსვამენ, ყოველთვის არ იღებენ გადაწყვეტილებას ფინანსური პრობლემების ან კრიზისული სიტუაციის გამო, არამედ მათ სურთ ახალი გამოწვევების მიღება და მათი რესურსების სხვა საქმიანობაში გამოცდა და გამოყენება.

არსებობს სამი მიზეზი, რომელთა მიხედვითაც უნდა ვიხელომდვანელოთ იმ შემთხვევაში, თუ გადავწყვეტთ ბიზნესის გაყიდვას.

1. ბიზნესის ღირებულება;
2. მუდმივი რისკები;
3. ცვლილებების დრო.

ჯონ ჰამეტის აზრით, ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი კომპანიის ლიკვიდობის მიღებისა, როდესაც ვხელმძღვანელობთ ბიზნესს, უნდა გავითვალისწინოთ თითოეული ნაბიჯი, რაც უფრო დიდხანს ვინარჩუნებთ ერთ ბიზნესს, მით უფრო ძლიერები ვხდებით, შესაბამისად კი მატულობს რისკიც, რომელსაც ვერ გავექცევით.

არ არსებობს ფასი შენი ბიზნესისა და ვერ მიიღებ ლიკვიდობას, სანამ არ გაივლი სრულ გზას შენი კომპანიის მყიდველამდე.

ხშირად ბიზნესის მფლობელები უშევენებენ შეცდომას და სწორედ იმ დროს იწყებენ ფიქრს ბიზნესის გაყიდვაზე როდესაც მათთვის მომგებიანი არაა. მაგალითად, კრიზისში მყოფი ბიზნესის სწრაფად მოშორება ზუსტად საპირისპიროა იმისა, რაც გამჭრიახმა ინვესტორმა უნდა გააკეთოს. კრიზისის დროს ბიზნესის საბაზრო ფასი ყველაზე დაბალია და ისიც სავსებით შესაძლებელია, მყიდველებისგან მხოლოდ მკვეთრად შემცირებული შემოთავაზებები მოდიოდეს. ასეთ დროს სხვებიც ერიდებიან ინვესტირებას. კომპანიის ფასი მაშინაა მაღალი, როდესაც მაკროეკონომიკური და ინდუსტრიის პერსპექტივები ოპტიმისტურია; ბიზნესი მოწესრიგებული და წარმატებულია და მაშინ როცა პოტენციურ მყიდველებს ადვილად და შედარებით იაფად შეუძლიათ მოიზიდონ დაფინანსება.

სწორედ ამიტომ რისკების თავიდან აცილების მიზნით, მეწარმე რეგულარულად უნდა იღებდეს განახლებულ ინფორმაციას მაკრო და მიკრო გარემოში მიმდინარე პროცესების შესახებ, პერიოდულად ადგენდეს საკუთარი ბიზნესის საბაზრო ღირებულებას და მზად უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში ბაზრიდან გასვლისთვის.

წარმატებული გარიგების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია Facebook-ის მიერ WhatsApp-ის შექმნა: ეს მაშინ მოხდა, როდესაც WhatsApp-ი განვითარების საწყის ეტაპზე იყო და კომპანიას მხოლოდ 55 თანამშრომელი ჰყავდა. ტრანზაქციის ჯამურმა მოცულობამ \$19 მილიარდი შეადგინა – აქედან 4 მილიარდი Facebook-მა ფულადი ფორმით გადაიხადა, დანარჩენი კი – აქციების სახით. WhatsApp-ის დამფუძნებლები მილიარდერების სიაში აღმოჩნდნენ. თანხამ პროგნოზირებულ გაყიდვებს (Leading P/E ratio) 19-ჯერ გადააჭარბა.

საპირისპირო მაგალითია რონალდ ვეინის მიერ 1976 წელს დადებული გარიგება. მან Apple-ის 10% \$800-ად გაყიდა. კომპანიის შემოსავალი 1980-ში უკვე \$100 მილიონს აღემატებოდა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კი აქციონერთა კაპიტალის საბაზრო ღირებულება \$722.3 მილიარდი იყო და 1-წლიანმა უკუგებას (აქციის ფასის ზრდა) 37.3% შეადგინა. ვეინს რომ თავისი წილი შეენარჩუნებინა, დღეს მისი ქონება \$72 მილიარდი იქნებოდა.

ეს ორი შემთხვევა აჩვენებს, რამდენად დიდი განსხვავება შეიძლება მიიღოს იმის მიხედვით, სწორად შეარჩევ გასხვისების მომენტს, თუ არასწორად.

რაც შეეხება რისკებს, ადრეულ ეტაპზე მფლობელები არ ერიდებიან რისკს, რადგან მათ ჯერ არ აქვთ შექმნილი რაიმე ისეთი ღირებულება, რომლის დაკარგვაც მათ ზიანს მიაყენებს. „აღების შანსი“, ეს არის შესაძლებლობა რომელიც უნდა გამოიყენოს მფლობელმა, რომ მისი ბიზნესი იყოს უფრო მეტად წარმატებული და საწყის ეტაპზე მოხდეს მისი სწორი სტრატეგიული განვითარება.

როდესაც კომპანია იზრდება, მის მფლობელს უჩნდება შიში უფრო მეტი რისკისა. მას აღარ აქვს დიდი დრო დასვენებისთვის და მისი დროის უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია ბიზნესის შენარჩუნებასა და რისკისგან თავის დაზღვევაზე.

მსხვილი კომპანიის მფლობელები ხშირად ეძებენ ინვესტიციებს და გზებს თუ როგორ გავიდნენ ბაზრიდან, ეს თავის დაძვრენის ერთ-ერთი შანსი კი ჭკვიანური ბიზნეს გადაწყვეტილება არაა, რომლითაც ისინი იზღვევენ თავს. ასევე არსებობს 8 მიზეზი, თუ რატომ უნდა შევისყიდოთ უკვე არსებული ბიზნესი:

1. **აწყობილი სისტემა:** ერთ-ერთ სირთულეს ბიზნესის დაწყებისას წარმოადგენს სისტემის შექმნა, რომელიც შეიძლება გახდეს ბიზნესის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, და ეს მარცხი საკმაოდ ძვირი უჯდება კომპანიას. მსგავსი პრობლემა არსებულის შემდგომ არ გვხვდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს სულ მცირე ცვლილებების შეტანა, რასაც ნამდვილად არ სჭირდება ბევრი რესურსი.

2. **არსებული თანამშრომლები:** კიდევ ერთი სირთულე ბიზნესის დაწყებისას – თანამშრომლების შერჩევა, მათი ტრენინგი და დრო, რომელიც მათ ჭირდებათ ყველაფერში გასარკვევად. არსებული ბიზნესის შექმნა ამ რესურსებს დაგიზოგავთ.

3. **რეპუტაცია:** კიდევ ერთი უპირატესობა არსებული ბიზნესის გაგრძელების შემთხვევაში არის რეპუტაცია. როდესაც ყიდულობთ არსებულ ბიზნესს, ჩათვალეთ, რომ უკვე გყავთ მომხმარებელი და ხალხმა უკვე იცის თქვენი კომპანიის შესახებ.

4. **ფაქტები თეორიების წინააღმდეგ:** არსებული ბიზნესის შემდგომ, თქვენ უკვე გაქვთ ფაქტები, როგორცაა: წლიური საშუალო წლიური შემოსავალი, წმინდა მოგების მარჟა, ახალი მომხმარებლების სტატისტიკა და ა.შ. რაც უფრო მეტი ფაქტი გაქვთ, მით ნაკლები თეორიაა და ნაკლებად გიწევთ ვარაუდებზე აგებული გადაწყვეტილებების მიღება.

5. **არსებული მომხმარებლები:** როდესაც ყიდულობთ ბიზნესს, მას მოყვება უკვე არსებული მომხმარებლები. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ მოგიწევთ თვეობით ოცნება, თუ როდის გამოჩნდება ერთი მომხმარებელი მაინც.

6. **უკეთესი შესაძლებლობები ფინანსების გარე წყაროდან მოსაძიებლად:** ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები მეტად „მეგობრულები“ არიან იმ ბიზნესებთან, რომელთაც უკვე გააჩნიათ მინიმუმ ორი წლის ფინანსური მონაცემები, ვიდრე მათთან, ვინც ახლახანს დაიწყო და ჯერ-ჯერობით ერთი წლიური უწყისიც კი არ გააჩნია.

7. **მფლობელის გამოცდილება:** თუ თქვენ იყიდით არსებულ ბიზნესს, თქვენ ასევე მიიღებთ გამოცდილებას. ბიზნესის გამყიდველი ითვლება თქვენს მომავალ „მასწავლებლად“. ის გიხსნით ბიზნესის სპეციფიკას, რას საჭიროებს იგი, რას უნდა მიაქციოთ მეტი ყურადღება და რას ნაკლები და ა.შ. მაშინ, როდესაც ახალი ბიზნესის დაწყებისას, ყველაფერს სწავლობთ დახმარების გარეშე და უშვებთ ბევრ შეცდომას.

8. **ნაკლები რისკი:** გამომდინარე ზემოთ მოყვანილი მიზეზებიდან, არსებული ბიზნესის შექმნა ნაკლებად რისკიანია, ვიდრე ახლის დაწყება.

როდის უნდა გავყიდოთ ბიზნესი? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია – ბიზნესი უნდა გავყიდოთ მაშინ როდესაც ის მაქსიმალურ ფასს მიაღწევს. ამ წერტილის ზუსტად გამოთვლა კი შეუძლებელია. ბიზნესს საკუთარი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია და დროის სხვადასხვა მონაკვეთში მისი ღირებულება იცვლება, გასაყიდად სწორედ ის მომენტი უნდა შევარჩიოთ, როდესაც ფასი აღმავლობის პიკს მიაღწევს.

მანამ, სანამ გავყიდით საკუთარ ბიზნესს, უნდა ვუპასუხოთ 10 კითხვას:

1. მზად არის თუ არა ბიზნესი გასაყიდად?
2. როგორ და რა ფასად შეაფასებს მყიდველი ბიზნესს?
3. ვინ უნდა იყოს გუნდში, როდესაც ბიზნესს გავყიდით?
4. შევარჩიეთ თუ არა გასაყიდად სწორი დრო?
5. შევარჩიეთ თუ არა სწორად ბაზარი?
6. შევძლებთ თუ არა გავუმკლავდეთ ცვლილებებს?
7. „აყვავდება“ თუ არა ბიზნესი ძირითადი მომხმარებლის გარეშე?
8. იქნებ დავრჩეთ ამ პოზიციაზე თუ მყიდველსაც ეს სურს?
9. ვინ არიან პოტენციური ბროკერები?
10. რა ალტერნატივების წინაშე ვდგავართ გაყიდვების მხრივ?

საქართველოში ბიზნესების უმრავლესობა არასწორ დროს გამოდის გასაყიდად. ჩვენი დაკვირვებით, მეწარმეები ხელიდან უშვებენ მომენტს, როდესაც შეიძლება ყველაზე სარგებანი გარიგება დადონ.

დღეისათვის საჯარო წყაროებით საქართველოში სულ ცოტა 500-მდე გასაყიდი ბიზნესის განცხადებაა გავრცელებული (businessforsale.ge, saqme. ge). აქედან ყველაზე იაფი 200 ლარი ღირს (მეფუტკრეობის ბიზნესი), ყველაზე ძვირი კი — ღვინის ქარხანა — \$30 მილიონად არის შეფასებული. აუქციონზე გამოტანილი რუსთავის ავტობაზრობა, რომლის საწყისი ფასი \$30 მილიონ დოლარს შეადგენს და ვაჭრობის ბიჯი \$100,000-ით განისაზღვრება. გასაყიდი ბიზნესების ჯამური პორტფელი მსხვილი მიმართულებების მიხედვით ასე გამოიყურება:

ბიზნესების 40% მომსახურების სფეროდანაა, სადაც სარესტორნო ინდუსტრია ლიდერობს, შემდეგ 23%-ით წარმოებაა წარმოდგენილი, ვაჭრობის სფეროს გასაყიდი ბიზნესების 18% ეკუთვნის და მას 12%-ით აგროინდუსტრია მოჰყვება, ხოლო 7%-ს მშენებლობა, უძრავი ქონება, განათლება და სხვა დარგები ინაწილებენ.

ამ კომპანიების უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის გამო კრიზისს განიცდის. ხოლო კრიზისის მიზეზების გასარკვევად ჩავატარეთ მცირე კვლევა, რომელმაც შემდეგი სურათი მოგვცა. უმეტეს შემთხვევაში კომპანიის მფლობელები ცდილობენ ბიზნესი თვითონ გაყიდონ. ძირითადად ისინი იყენებენ სარეკლამო საიტებსა და პორტალებს, იმისათვის, რომ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგოს მათ შესახებ. საქართველოში ასევე არსებობს ბიზნესის ყიდვა-გაყიდვის პორტალი (<http://businessforsale.ge/>), რომელიც კლიენტებს სთავაზობს ბიზნესის შეფასებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სწორედ ამ პორტალზე 277 განცხადებაა განთავსებული.

უმეტესად საქართველოში ბიზნესი იყიდება ფინანსური პრობლემის გამო. კვლევამ ცხადყო, რომ ფინანსური პრობლემები კომპანიებს წარმოექმნათ ბიზნესის არასწორი მართვით (52%), დანარჩენ 48%-ს კი თავიდანვე არ ქონდათ სწორად შემუშავებული ბიზნეს სტრატეგია ან საერთოდ არ გააჩნდათ ის. აღნიშნული დასტურდება იქიდანაც, რომ ბიზნესის მფლობელთა 45% არის დამფუძნებელი არაპროფესიონალი, რომელთაც აქვთ ფინანსური კაპიტალი; 37% არიან პიროვნებები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ბიზნესში, მაგრამ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსები; ხოლო სულ 18%-ს შეადგენს იმ დამფუძნებელთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ გამოცდილება და ფინანსებიც ბიზნესის წარმოებისათვის.

ბიზნესის კრაზის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის სამეწარმეო უნარი. ჩატარებული კვლევიდან გაირკვა, რომ გასაყიდად გამოტანილ ბიზნესთა 76 %-ისთვის სამეწარმეო ფაქტორი გათვალისწინებული არ არის ბიზნესის განხორციელებაში. 21%-თვის კი ბიზნესი და მეწარმეობა ერთი და იგივეა. საქართველოში, იმ ბიზნესთა რაოდენობა, რომელთა მიზანსაც არ წარმოადგენს სიახლეებისაკენ სწრაფვა და ბიზნესში მათი დანერგვა, 77%-ია და ისინი მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებენ. ეს ციფრი მეტყველებს საქართველოში სამეწარმეო კულტურის ჯერ კიდევ დაბალ დონეზე და არაპროფესიონალიზმზე, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი მიზეზია მცირე და საშუალო ბიზნესში კრაზისა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მყიდველთა 90%-მა მკაფიოდ არ იცის, რა უნდა. მათი დარწმუნება მხოლოდ პროფესიონალთა უნარებზეა დამოკიდებული; **90%-სთვის** ბიზნესის შეძენა დიდი მნიშვნელობის ინვესტიციაა და მათ ძალიან უჭირთ რისკზე წასვლა; **დაინტერესებული** პირების უმრავლესობა 35-დან 55 წლამდე ასაკისაა; მყიდველთა ყველაზე ფართო სეგმენტს ხელი მიუწვდება \$15,000 - \$60,000-იან დაბანდებაზე.

აღნიშნულს ისიც ემატება, რომ გასაყიდი ბიზნესებიდან ბიზნესის შეფასება ხდება მხოლოდ 12%-ში, დანარჩენს კი ბიზნესი გასაყიდად გამოაქვს ბაზარზე არსებული ფასები, რაც რაღა თქმა უნდა არასწორი ნაბიჯია, რადგან ბიზნესის რეალური ფასი შესაძლოა ბევრად მაღალი აღმოჩნდეს, ვიდრე დღეს ბაზარზე გასაყიდი ფასია და, ამ შემთხვევაში, ბიზნესის გაყიდვა არარეკომენდირებულია.

ამის მიზეზი ძირითადად მათი სუბიექტური დამოკიდებულება და ბიზნეს ბროკერის სერვისის გამოუყენებლობაა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში, რომლებიც შეზღუდულ გაყიდვის არხებს იყენებენ. თუ ბიზნესს არა აქვს შიდა რესურსი გაყიდვის რაციონალური სტრატეგიის შესამუშავებლად (კომპანიების უმრავლესობას კი ასეთი რესურსი არა აქვს), მენეჯერმა შეიძლება განიხილოს პროფესიონალური სერვისის გამოყენება. ბროკერი არა მხოლოდ განსაზღვრავს გაყიდვისთვის სწორ დროსა და ფასს, არამედ ეხმარება ბიზნესმენს გაყიდვის არხების დადგენასა და მოლაპარაკების პროცესში, რომ მყიდველმა შემოთავაზების ყველა უპირატესობა დაინახოს და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კრიზისის პერიოდში კარგი გამოსავალი ბიზნესის წარმართვაში კორექტივების შეტანა ან ანტიკრიზისული ელემენტის გამოყენებაა, რომ ბიზნესმა დაძლიოს კრიზისი და თავი აარიდოს გაყიდვას. ამდენად, ბიზნესის ხელმძღვანელებმა და მფლობელებმა გაყიდვამდე ყველა ეკონომიკური მექანიზმი უნდა გამოიყენონ კრიზისის დასაძლევად.

ეს მხოლოდ მცირე მაგალითებია იმ ტიპის ინფორმაციის, რაც ბიზნესის უკეთ გაყიდვისთვის შეიძლება გამოიყენოთ.

და ბოლოს, თუ არ გინდათ მილიონების მიერ დაშვებული შეცდომები გაიმეოროთ, როდესაც ბიზნესს დაიწყებთ:

1) მაშინვე იფიქრეთ გასვლის სტრატეგიაზე. ეს არა იმიტომ, რომ აუცილებლად უნდა გახვიდეთ ბაზრიდან, არამედ იმიტომ, რომ ალბათობა იმისა, რომ არასწორი ნაბიჯების გადადგმით აუცილებლად მოგიწევთ ბაზრიდან გასვლა, მუდმივად ფხიზელ მდგომარეობაში გაყენებთ და გაიმულებთ იფიქროთ განვითარებაზე და არა გასვლაზე სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასვლის სტრატეგია ერთგვარი მოტივატორია განვითარებისა და სრულყოფისაკენ სწრაფისთვის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის დაწყებისთანავე გასვლის სტრატეგიაზე ფიქრი სულაც არ ნიშნავს პესიმისტურ განწყობას და ბიზნესის კრახს, პირიქით, კარგ ხელმძღვანელს ყოველთვის წინასწარ უნდა ქონდეს სწორად განსაზღვრული და გათვლილი გასვლის სტრატეგია, რათა ასეთი ნაბიჯის გადადგმის დროს გადაწყვეტილება არ იყოს სპონტანური და არასწორი, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ ზარალთან იქნება დაკავშირებული.

2) იცოდეთ, რომ არსებობს საუკეთესო დრო და შეეცადეთ, სწორად შეარჩიოთ იგი. გაითვალისწინეთ პროფესიონალური დახმარების შესაძლებლობა. ბევრ რჩევას უსასყიდლოდაც მიიღებთ. ყველაზე დიდი შეცდომა, რაც შეიძლება დაუშვათ კი ის არის, რომ კომპანიამ თქვენს ხელში დაასრულოს სიცოცხლე, როდესაც სხვას მისი გადარჩენა შეეძლო. გაითვალისწინეთ ისიც, რომ სწორ დროს გაყიდვაზე უარის თქმით შესაძლოა მნიშვნელოვანი მოგება დაკარგოთ და სხვების წარუმატებლობა და უმუშევრობაც კი განაპირობოთ.

ლიტერატურა:

- 1) <http://www.forbes.com/sites/kateharrison/2013/12/13/how-do-you-know-when-it-is-time-to-sell-your-company/#174bb0b9161f>
- 2) <http://www.investopedia.com/articles/08/sell-side.asp>
- 3) <http://forbes.ge/news/837/rodis-gavyidoT-biznesi>
- 4) <https://www.entrepreneur.com/article/225984>

Nino Tchanturia

Guram Tavartkiladze Teaching University

Supervisor: Lali Chagelishvili, Professor

WHEN SHOULD WE SELL BUSINESS SUCCESSFULLY? SUMMARY

1. At which stage of company life cycle is possible to sell successfully;
2. In what case should you sell business;
3. The best examples of a successful transaction;
4. Mistakes which are made by business owners and when do they make decisions about selling;
5. 8 reasons why you should buy an existing business;
6. 10 questions to ask before selling your business;
7. What is the reason, that in most cases Georgian entrepreneurs are losing the chance to profitably sell business.
8. according to public sources what situation is in Georgia and what kind of business applications prevails;
9. What case the company is experiencing a crisis and how can a team of professionals help us;
10. Examples of the types of information that can be used for selling the business better;
11. what you need to do not make the same mistakes of other companies;
12. If you say no to sell at the right time you can lose a significant profit, also others resulted Failures and Unemployment.

სახელმწიფოს დეფოლტი და მისი გამომწვევი მიზეზები

დეფოლტი ესაა ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე უარის გაცხადება. ეს ხდება მსესხებლის მხრიდან კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამ დროს ვალის გადამხდელს უნარი არ გააჩნია დროულად დაფაროს სავალო ვალდებულებები ან შეასრულოს სასესხო შეთანხმების სხვა პირობები. ამ ტერმინით აღნიშნავენ სავალო ვალდებულებების ნებისმიერი სახეობის შესრულებაზე უარის თქმას და „გაკოტრების“ სინონიმია. როგორც წესი, მას უფრო ვიწროდ იყენებენ და ცენტრალური, ან მუნიციპალური მთავრობების მხრიდან საკუთარი ვალდებების დაფარვაზე უარს გულისხმობენ. დეფოლტი ცხადდება როგორც სახელმწიფოს მხრიდან („სუვერენული დეფოლტი“), ასევე კომპანიებისა და კერძო პირების მიერ, რომლებსაც არ შეუძლიათ შეასრულონ აღებული ვალდებულებები მთლიანად, ან ნაწილობრივ.

დეფოლტი ორი სახეობისაა: უბრალოდ დეფოლტი (გაკოტრება) და ტექნიკური დეფოლტი. დეფოლტის პირველი სახეობა ნიშნავს მსესხებლის გაკოტრებას, ანუ მისი მხრიდან კრედიტორის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. იმ შემთხვევაში, თუკი ეს კომპანიაა, ინიშნება გარე მმართველი, რომელიც შემდგომ ნაბიჯებს განსაზღვრავს – იგულისხმება კომპანიის მთლიანად, ან ნაწილობრივ გაყიდვა. თუ დეფოლტს ფიზიკური პირი აცხადებს, ეს სიტუაცია ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება, რომლის უფლებები როგორც წესი კანონით არის დაცული. თუ დეფოლტს სახელმწიფო აცხადებს, ამ ვალდებისა და სხვა სადაო საკითხების მოგვარება საერთაშორისო დონეზე ხდება. **მეორე სახეობაა** – ტექნიკური დეფოლტი. ეს არის სიტუაცია, როცა მსესხებელმა კრედიტორის წინაშე საკუთარი დავალიანების კონტრაქტის პირობები დაარღვია, მაგრამ ამ კონტრაქტის შესრულება შეუძლია. შეთანხმების დარღვევა შეიძლება გულისხმობდეს პროცენტების, ვალდებულებების ძირითადი, ან ერთი ნაწილის დაფარვაზე, დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნაზე უარის თქმას, სადაც, მაგალითად, წლიური ანგარიშია ასახული. ამ და შეთანხმების სხვა პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორი მსესხებელს ტექნიკურ დეფოლტს უცხადებს. მათ შორის სადაო საკითხების მოგვარება დამოკიდებულია ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზებზე და კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ კორპორატიულ კანონმდებლობაზე. საკმაოდ ხშირად ასეთი სიტუაცია მსესხებლის გაკოტრებით არ მთავრდება.

კორპორატიულ დეფოლტებს ადგილი ხშირად აქვს. მსოფლიო ბიზნესის გრანდები ოდესღაც ტექნიკური დეფოლტის მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ. ექსპერტების აზრით, ტექნიკური დეფოლტი ამერიკისა და განვითარებული ბაზრების მთლიან პერიმეტრზე ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. შემცირდება ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ფინანსური აქტივების ღირებულება. იგივე ინსტიტუტები აღმოჩნდებიან გადახდისუუნარონი, რასაც გადახდების ვადების დარღვევა და კლიენტების მიერ ბანკებთან დიდი რიგები მოჰყვება. დეფოლტის მდგომარეობა ნებისმიერი ქვეყნისათვის სწორედ ამიტომაც არის უფსკრული და ხუმრობა ნამდვილად არ გახლავთ.

სახელმწიფოს დეფოლტი ქვეყნის საკრედიტო რისკის შეფასებისადმი მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდება საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისაგან. როგორც ცნობილია, კერძო ან კორპორატიული მსესხებლის გაკოტრების დროს კრედიტორს უფლება ეძლევა დააყადალოს მევალის აქტივები, ახდენს რა ამით თავის დანაკარგის ნაწილობრივ კომპენსირებას. უმეტეს ქვეყანაში გაკოტრების ოფიციალური პროცესი წარმოადგენს კომპანია-ბანკოტის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნის გადაწყვეტის პროცესს, რომელიც დაიყვანება სასამართლოს გადაწყვეტილებით მევალის ქონების დაყადალებაზე, აქტივების საკონკურსო მასად გაერთიანებაზე და ამ აქტივების კრედიტორებს შორის გადაწილებაზე კანონით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

ამ სახის გაკოტრების პროცესი მიუღებელია სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული დეფოლტის შემთხვევაში, რამდენადაც ქვეყანა-მევალის ქონების დაყადალება თავის ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. უკეთეს შემთხვევაში კრედიტორებმა შეიძლება მიაღწიონ ქვეყნის გარეთ განთავსებული სახელმწიფო აქტივების დაყადალებას, უძრავი ქონების და უცხოურ ბანკებში ჩადებული ფულადი სახსრების ჩათვლით. ყოველივე ეს სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალის მიმართ დეფოლტის გამოცხადების საშუალებას იძლევა არა იმიტომ რომ არ შეუძლია ფაქტობრივად თავისი ვალდებულების

შესრულება, არამედ იმიტომ, რომ მას ეს არ სურს. აქედან, კერძოდ, გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ვალის აღდგენის დონე უნდა იყოს კორპორატიულ დავალიანების აღდგენის დონეზე დაბალი.

საწარმოსაგან განსხვავებით სახელმწიფოს არ გააჩნია ზოგადი გაგებით „ფინანსური ანგარიშგება“, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა დეფოლტის პროგნოზირებისათვის. ამ შემთხვევაში აუცილებელია ჩატარდეს ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფილი ფუნდამენტალური ანალიზი, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების ფარდობას, ვალის თანხის (და ცალკეული საპროცენტო გადახდების) ფარდობას წლიურ ექსპორტთან, დაფარვის ვადების მიხედვით დავალიანების სწრაფ სტრუქტურებს, ასევე ისეთ საბაზისო მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, როგორცაა მშპ-ს ზრდა ან დაწევას, ინფლაციის ტემპს და ოქრო-სავალუტო რეზერვებს. ასეთი ანალიზის ჩატარებისას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სიზუსტე უფრო მწვავედ დგას, ვიდრე კორპორატიული მსესხებლის საბუღალტრო ანგარიშგების ანალიზის დროს, განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ვლინდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიმართ.

ამ ფაქტორების გამო ქვეყნის საკრედიტო რისკის შეფასება უფრო სუბიექტურადაა მიჩნეული კორპორატიულ ვალდებულებების რისკის შეფასებასთან შედარებით, ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს შედარებით უფრო საიმედო მაჩვენებელს კორპორატიულ რეიტინგთან შედარებით. ამავე დროს სახელმწიფოს დეფოლტის რისკის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იყოს საბაზრო მიდგომა, რომელიც ამ ქვეყნის და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობების სპრედების ანალიზზეა დაფუძნებული.

სახელმწიფოების მხრიდან ვალების (მათ შორის უცხოელი კრედიტორებისათვის) დაუბრუნებლობის ისტორია ხანგრძლივია და ფესვები შორეულ საუკუნეებში აქვს გადგმული. სახელმწიფო დეფოლტები სხვადასხვა მიზეზებით ხდებოდა: იყო მხოლოდ ეკონომიკური მიზეზი, როცა მსესხებელი მართლაც გადახდისუუნარო აღმოჩნდა. ამას ემატებოდა პოლიტიკური მოტივიც, როცა ძლიერი სუსტს ვალს არ უბრუნებდა. ხდებოდა ისედაც, რომ ახალი მთავრობა არ აღიარებდა წინა ხელმძღვანელობის მიერ აღებულ ვალებს და პილატესავით ხელეხს იბანდა! ამ საკითხით დაინტერესდნენ ამერიკელი კარმენ რაინჰარტი, მერილენდის უნივერსიტეტის ეკონომისტი და კენეტ როგოფი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი მთავარი ეკონომისტი. ისინი აღნიშნავენ, რომ რვა საუკუნის განმავლობაში, 1300-დან 1799-წლის ჩათვლით, დასავლეთ ევროპის ქვეყნები: საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი ვალების გასტუმრებაზე უარს რეგულარულად აცხადებდნენ. სახელმწიფო დეფოლტის კლასიკური მაგალითია ისტორია, რომელიც ინგლისის მეფეს ედუარდ მესამეს უკავშირდება. მან 1327 წელს იტალიელ ბანკირებს თავისი წინამორბედის მიერ დატოვებული ვალების გადახდაზე უარი განუცხადა. ვალების გადაუხდელობა სამეფო კარის წარმომადგენელთათვის ყოველთვის უმტკივნეულოდ არ სრულდებოდა. საფრანგეთის მეფე, იოანე მეორე (კეთილი) ასწლიანი ომის დროს, 1356 წელს ტყვედ ინგლისელებმა ჩაიგდეს. იგი გამოსასყიდის შესაგროვებლად გაათავისუფლეს. იგი იძულებული შეიქმნა ბრიტანელებთან დაბრუნებულიყო, რადგანაც გამოსასყიდი თანხის ნაწილის შეგროვება ვერ შეძლო. საფრანგეთის მეფე, იოანე მეორე ბრიტანელთა ტყვეობაში გარდაიცვალა. ესპანეთის იმპერატორმა, კარლოს მეხუთემ გერმანელ ბანკირებს – ფუგერებს ვალი ვერ გადაუხადა. სწორედ ამიტომ ვენესუელა დროებით „ექსპლუატაციაში“ გადასცა. მისმა ვაჟმა, ფილიპე მეორემ, თავისი მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ვალების გადახდა სამჯერ შეაჩერა. მოკლედ, „ბნელი შუასაუკუნეების“ პერიოდში, სამეფო კარის წარმომადგენელთა მხრიდან ვალების გადახდა უფრო მეტად გამონაკლისი იყო, ვიდრე მყარი წესი და კანონი.

ახალ დროში, საკრედიტო-ფულადი ურთიერთობანი სახელმწიფო დონეზე გაფორმებული ნორმატიული აქტებით „დამძიმდა“. სწორედ ამიტომ მთავრობათა „საგადასახადო დისციპლინა“ შესამჩნევად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს ეპოქაც სახელმწიფო ვალების გადაუხდელობის შემთხვევებით „საკმაოდ მდიდარია“. 1650-იან წლებში, ოლივერ კრომველს ირლანდიის დასაპყრობად წარმოებული სამხედრო კამპანიისათვის ფული დაჭირდა, რომელიც ლონდონელი მდიდრებისგან და ევროპელი პროტესტანტებისგან შეაგროვა. კრედიტორებისთვის, აგრეთვე საკუთარი არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის ვალის გასტუმრებას კრომველი იმ მიწებით აპირებდა, რომელიც ირლანდიელ კათოლიკეებს ჩამოართვა.

დაპყრობილი მიწები, ბუნებრივია, ყველასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომაც კრომველს უცხოელთა ვალების გასტუმრება უბრალოდ „დაავიწყდა“. უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში, დეფოლტების მხრივ ლიდერი საფრანგეთია. ამ სახელმწიფოში მსგავსი უბედურება რვაჯერ დაფიქსირდა, მათ შორის ოთხჯერ მეთვრამეტე საუკუნეში – 1701, 1715, 1770 და 1788 წლებში. ბოლო ორი

საუკუნის განმავლობაში, მსოფლიომ ხუთი მასშტაბური და გაჭიანურებული „დეფოლტური ეპიდემია“ გადაიტანა.

პირველი ნაპოლეონის მიერ წარმოებული ომების პერიოდს დაემთხვა, მეორე 1820-1840 წლებში დაფიქსირდა, მესამე 1870 წლიდან დაიწყო და 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დეფოლტების მეოთხე გლობალურმა ტალღამ ამერიკას დიდი დეპრესიის დროს გადაუარა, რომელიც 1950-იან წლებამდე გაგრძელდა. ბოლო ეპიდემია კი 1980-1990-იან წლებში დაფიქსირდა.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებში გაკოტრებულ ევროპული ქვეყნების სიაში შედიან ავსტრია-უნგრეთი, რომელმაც დეფოლტი ხუთჯერ გამოაცხადა, ესპანეთი, რომლის „ანგარიშზეც“ ამავე პერიოდში 8 დეფოლტი მოდის, გასათვალისწინებელია წინა საუკუნეებში, ამავე ქვეყანაში დაფიქსირებული კიდევ 6 დეფოლტი. საბერძნეთი თავისი თანამედროვე ისტორიის განმავლობაში (1829 წლიდან) „სატირალ“ მდგომარეობაში 5-ჯერ აღმოჩნდა (აცხადებდა დეფოლტს, ან ვალების რესტრუქტურისაზიას ახორციელებდა), რაც დამოუკიდებლობის პერიოდის ნახევარს გულისხმობს. მეცხრამეტე საუკუნეში გაკოტრებულ სახელმწიფოთა გეოგრაფია ლათინოამერიკული ქვეყნების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა: „წყალწაღებულთა“ რიცხვს კოლუმბია, დომინიკის რესპუბლიკა, გვატემალა, მექსიკა დაემატნენ, რომლებმაც დეფოლტი ოთხჯერ (თითოეულმა!) გამოაცხადა. მათ „გადაუსწრო“ ვენესუელამ და გაკოტრებული, როგორც სახელმწიფო, 6-ჯერ აღმოჩნდა. 1875 წელს ოტომანის იმპერია გაკოტრდა. მეცხრამეტე საუკუნის კიდევ ერთი, გახმაურებული დეფოლტი ეგვიპტეში 1875 წელს დაფიქსირდა, რის შემდეგაც სუეის არხის ზონა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან ფაქტობრივად ანექსირებული აღმოჩნდა. მეოცე საუკუნეში დეფოლტს ძირითადად არაევროპული ქვეყნები აცხადებდნენ, მაგრამ გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი ამ „გაუგებრობაში“ ორჯერ (თითოეული) მაინც აღმოჩნდნენ.

1918 წლის იანვარში, საბჭოთა რუსეთმა მეფისა და დროებითი მთავრობის პასუხისმგებლობით აღებული ვალების დაფარვაზე უარი განაცხადა. მეოცე საუკუნის ბოლოს, როცა ამ ვალებმა „დევალვაციის პიკს“ მიაღწიეს, რუსეთმა თანხმობა მათ ნაწილობრივ დაფარვაზე განაცხადა. ასეთი „ხვედრი“ ერგო საბჭოთა ვალსაც: „ცივი ომის“ პერიოდში, საბჭოთა მთავრობამ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი ამერიკული იარაღის საფასურის დაფარვა შეწყვიტა. ეს პროცესი მხოლოდ რუსეთის თანამედროვე ხელისუფლებამ განაახლა. ამერიკული ვალების მომსახურებაზე უარი 1930 წელს ბრიტანეთმა განაცხადა. მას ამ დროისათვის 14,5 მილიარდი დოლარის ვალი „დაუფროვდა“. ბრიტანეთის მაშინდელი მთავრობა საკუთარ ქმედებებს შემდეგნაირად ხსნიდა: ამერიკის ზოგიერთი შტატის მთავრობები ბრიტანეთთან დეფოლტის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგანაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აღებულ ფინანსურ ვალდებულებებს ვედარ ასრულებდნენ. ამერიკული ვალი ბრიტანეთის მიმართ მნიშვნელოვნად აჭარბებდა იმ ვალს, რომელიც ბრიტანეთს 1930 წლისთვის ამერიკისთვის უნდა გადაეხადა. ბრიტანეთის მაგალითი „გადამდები სენი“ საფრანგეთისთვის და იტალიისათვისაც აღმოჩნდა: მათ უარი განაცხადეს ამერიკისგან პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აღებული ვალების გასტუმრებაზე.

არგენტინის უარი, დაეფარა დავალიანება, იყო ყველაზე დიდი დეფოლტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ისტორიაში. 2008 წლის დეკემბერში, ეკვადორის პრეზიდენტმა, რაფაელ კორეამ განაცხადა, რომ გლობალური ობლიგაციების პროცენტების (30,6 მილიონი დოლარი) გადახდაზე უარს აცხადებდა. მანამდე (1980-1990 წლებში) ეკვადორმა შეუძლებლად მიიჩნია საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ცოტაა ისეთი ქვეყანა, რომელსაც დეფოლტი საგარეო ვალთან დაკავშირებით ჰქონდეს გამოცხადებული. მათ შორის არიან: ამერიკა, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სკანდინავიური ქვეყნები, ბელგია, ჰონკონგი, მალაიზია, სინგაპური და ტაივანი. მიუხედავად ამისა, ამერიკა 1979 წელს გადახდისუუნარო მაინც აღმოჩნდა. იმ პერიოდში, პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ნასესხობის ზღვარის გაზრდის საკითხში, დიდი ხნის განმავლობაში საერთო ენის მონახვა პარლამენტთან ვერ მოახერხა. პრობლემის გადაწყვეტა მოხერხდა, მაგრამ გადახდების სამი კვირით შეფერხებამ (122 მილიონი დოლარი) ის გამოიწვია, რომ საპროცენტო განაკვეთები და მასთან ერთად ვალის მომსახურების ღირებულება გაიზარდა. ის მინი-დეფოლტი ამერიკას მილიარდობით დოლარი დაუჯდა.

დეფოლტის მიზეზები ძირითადად შეიძლება იყოს მთელი რიგი ფაქტორები, რადგან თითოეულ ისტორიულ მოვლენაში ისინი განსხვავებულია. მთავარი მიზეზები ყოველთვის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის არჩევაა, რომელიც გამოწვეულია არაკვალიფიცირებული ფინანსური მენეჯერების გამო. მას ასევე იწვევს მკვეთრი ცვლილებებით და რეფორმებით მიღებული ახალი რადიკალური ძალა, რომელიც არ გაითვალისწინებს მსოფლიო ეკონომიკის თავისებურებებს ქვეყნის შიდა საქმეებში. ზოგჯერ მას უწოდებენ პრინციპულ პოზიციას, რადგან ახალ ხელისუფლებას დარჩა ძველი დავალიანება წინა ხელისუფლების დავალიანებასთან ერთად. ასეთი მაგალითი იყო ინგლისი XIV საუკუნეში. ხშირად

დეფოლტის უფრო აქტუალური მთელი რიგი ღრმა მიზეზები იყო, როგორც იყო კრიზისი მექსიკაში 1994 წელს, კორეული დეფოლტი 1987 წელს, რუსეთში 1998 წელს და ასე შემდეგ. როგორც წესი, ეროვნული ვალუტა მკვეთრად გაუარესებულია, რაც ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციას არაკონკურენტურობას ხდის, საგარეო საქმეს და იმპორტს კი ძვირს.

აღსანიშნავია, რომ ერთდროულად არსებობს დეფოლტის არა მხოლოდ ნეგატიური ფაქტორები, არამედ პოზიტიურიც. დეფოლტის პოზიტიური ფაქტორებია:

- სახელმწიფო ჩართულია მხოლოდ შიდა პრობლემებში, უარს ამბობს გარე გადასახადებზე და მათზე პროცენტებზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ბიუჯეტი გავიდოდა სახელმწიფოს გარეთ.

- ხელფასებს ადამიანები იღებენ გაუფასურებული ვალუტით, ასე რომ მთლიანი შესყიდვები მოდის შიდა ბაზარზე, რაც უზრუნველყოფს ეროვნული წარმოებისადმი მოთხოვნის ზრდას.

- დეფოლტის წყალობით გარდაიქმნება სახელმწიფოს მთელი ეკონომიკა და რამდენადაც მინიმუმამდე მცირდება იმპორტირებული საქონელი, ამდენად მყიდველებს უჩნდებათ ახალი ინტერესები, მწარმოებლები ცდილობენ გაფართოვებას. სახელმწიფო ქმნის უფრო უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების დონეს.

- იზრდება რეალური საქონლისა და ბუნებრივი წარმოების როლი. ეკონომიკის გაბერილი სფეროების უმრავლესობა ინგრევა, რაც სასარგებლოა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გარე ბაზარზეც.

- როცა ოფიციალური განცხადებაა დეფოლტის შესახებ, კრედიტორები ამცირებენ არამარტო საპროცენტო განაკვეთს და არამედ ვალსაც.

მიუხედავად ყველა დადებითი ფაქტორებისა დეფოლტი არის მოვლენა, რომელიც უკეთესი იქნება, თუ არ მოხდება, რადგან უარყოფითი ეფექტი ბევრად უფრო დიდია. დეფოლტის ნეგატიური ფაქტორებია:

- დეფოლტის გამოცხადებისას უარყოფით გავლენას განიცდის არა მხოლოდ ეკონომიკა და მოსახლეობის უმრავლესობა, არამედ სახელმწიფოს მსოფლიოში რეიტინგიც. ეს იწვევს უნდობლობას პარტნიორებთან თანამშრომლობაში.

- დეფოლტისას გარდაუვალი ხდება ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს იმ საქონლის რაოდენობას, რომლის შეძენაც შეუძლია მოსახლეობას საკუთარი ხელფასით. სახელმწიფოს შესაძლებლობები გლობალურ ბაზარზე მცირდება და ეტაპობრივად ლატაკდება საერთაშორისო საფინანსო საზოგადოების თვალში. სახელმწიფო დამოკიდებულია ძირითადად იმპორტზე და, შესაბამისად, უფრო მძიმე იქნება მაცხოვრებელთა ეკონომიკური მდგომარეობა.

- იძლევა საბანკო სისტემა ქვეყანაში, კერძო კომპანიები და ფიზიკური პირები ვერ შეძლებენ მიიღონ სესხი განვითარებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება გაყინვა მიმდინარე ანგარიშებისა.

- სახელმწიფო კარგავს თავის ყოფილ გავლენას პოლიტიკურ ასპარეზზე, რადგან არ აქვს საკმარისი რესურსები. რთულია უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა რადგან ქვეყანა იმყოფება შავ სიაში მთავრობათაშორისი ფონდებისა და ყველა ეკონომიკური განვითარების პროექტებში.

რაც შეეხება საქართველოს, ექსპერტები მიგვანიშნებენ, რომ საქართველოს სუვერენული ვალი მშპ-თან მიმართებაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა. მიჩნეულია, რომ ეროვნული ვალის მშპ-თან 60 პროცენტთან ზღვრამდე თანაფარდობა არაა საშიში. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში პრობლემა ისაა, რომ მაღალია ექსპორტთან დაკავშირებული დანახარჯი. ნორმად აღიარებული 8 პროცენტის ნაცვინი მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში თითქმის 4-ჯერ მაღალია და 29 პროცენტს შეადგენს, რაც დეფოლტის მიზეზი დღესდღეობით ვერ იქნება, თუმცა ყურადსაღებ საკითხს წამდვილად წარმოადგენს და ითხოვს ექსპორტის წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას, როგორც ქვეყნის შიგნით (მაგ.: საგადასახადო შეღავათები გარკვეული დარგებისთვის), ასევე მის ფარგლებს გარეთაც (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი ხელშეკრულებების გაფორმება).

ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალი ამცირებს სავალუტო რისკს. საშინაო ვალის მომსახურება, საგარეო ვალისაგან განსხვავებით, დამოკიდებული არ არის სავალუტო კურსის ცვალებადობაზე. ამგვარად, ვალუტის კურსის მერყეობა არ ზრდის საშინაო ვალის მომსახურების ხარჯს. აღნიშნული კი მინიმუმამდე ამცირებს ქვეყნის დეფოლტის რისკს. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება ღარიბ ქვეყნებში დაფიქსირებული დეფოლტის გამომწვევი მიზეზების სტატისტიკის მოშველიება, რომლის მიხედვითაც მწირია საშინაო ვალის მოცულობით გამოწვეული სახელმწიფო დეფოლტის შემთხვევები (Abbas, 2005). გარდა ამისა, სავალუტო კურსზე ნაკლებად დამოკიდებულება მთავრობას ანიჭებს მაქსიმალურ თავისუფლებას, გამოიყენოს გაცვლითი კურსი, როგორც

სტაბილიზაციის მექანიზმი უცხოური შოკების წინააღმდეგ. ამგვარად, მცირდება ფისკალური დომინანტობა გაცვლითი კურსის პოლიტიკაზე.

ამრიგად, დეფოლტი გაკოტრების სინონიმია და ეს არის ფინანსური ვალდებულებების დაფარვაზე უარის გამოცხადება, ასევე გავარკვეით, რომ დეფოლტი ორი სახისაა და ესენია: უბრალოდ დეფოლტი (გაკოტრება) და ტექნიკური დეფოლტი. საწარმოსაგან განსხვავებით სახელმწიფოს არ გააჩნია ზოგადი გაგებით „ფინანსური ანგარიშგება დეფოლტის პროგნოზისათვის სწორედ ამიტომ სახელმწიფომ ამ შემთხვევაში აუცილებელია ჩაატაროს ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფილი ფუნდამენტალური ანალიზი, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ვალდებულებების ფარდობას, ვალის თანხის (და ცალკეული საპროცენტო გადახდების) ფარდობას წლიურ ექსპორტთან, დაფარვის ვადების მიხედვით დავალიანების სწრაფ სტრუქტურებს, ასევე ისეთ საბაზისო მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, როგორიცაა მშპ-ს ზრდა ან დაწევას, ინფლაციის ტემპს და ოქრო-სავალუტო რეზერვებს. ყოველივე ეს ჭირდება სახელმწიფოს რადგან ჩვენს მიერ ზემოთ განხილული „ვალების დაუბრუნებლობის ისტორიის“ ერთი გვერდი რომ არ დაიჭირონ და ამით მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას. ამასთან, დეფოლტი არაა უმნიშვნელო თემა და მის ასაცილებლად საჭიროა ყველა გზის გამოყენება, რადგან დეფოლტის სიმპტომის არსებობა მცირე პერიოდშიც კი ძალიან დიდ ზარალს იწვევს.

ლიტერატურა:

1. მაგრაქველიძე დ., საფინანსო რისკები და მათი მართვის მეთოდები. 2012.
2. მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დაწვევის მათემატიკური მოდელები. 2015.
3. Tavakoli J. M. credit derivatives and syntheetic structures: A guide to instruments and applications. 2nd ed – Chichester: John Wiley & Sons, Ltd., 2001.
4. Дуглас Л. Г. Анализ рисков операций с облигациями на рынке ценных бумаг. – М.: Инфра – М, 1996
5. <https://www.wikipedia.org/>

Nika Chaghalidze

Tbilisi Open Teaching University

Supervisor: Dali Magrakvelidze, Academic Doctor of Economics

STATE DEFAULT AND REASONS THAT CAUSE IT SUMMARY

Default – this is a inability or unwillingness of counteragent to cover its liabilities in time and/or fully, which leads to a violation of the terms of the agreement and gives ability to creditor the start he dispute process.

The country's credit risk assessment approach is significantly different from the companies credit risk assessment. As is known, the creditor is entitled to seizure a private or corporate borrowers assets when they are bankrupt.

Such kind process of bankruptcy is unacceptable in case of government default, as far as it is practically impossible to seize country-creditors property on its own territory.

სალომე ხუნაშვილი

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: **ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია**, მოწვეული სპეციალისტი

საქართველოში ეკონომიკის აღმავლობის პერსპექტივები

2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა 5.9%-ით და აბსოლუტურ მაჩვენებელში 577 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ 3 თვეში ბიზნეს სექტორმა დამატებით 32 257 ადამიანი

დასაქმა. ეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებია, რომელიც პრემიერ-მინისტრის შეფასებით, სასიხარულოა. მთავრობის მეთაურმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ სექტორული ანალიზი აჩვენებს, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა, რაც, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის კუთხით, მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია. „ეს, ასევე უნდა აღვიქვათ გაუმჯობესებული ბიზნესკლიმატის შედეგად. 2016 წლის 1 კვარტლის მონაცემებით, ასევე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სამშენებლო სექტორში. პირველი კვარტლის მონაცემებით, გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელი 44%-ით არის გაზრდილი, რაც განპირობებულია დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულებით, როგორც სახელმწიფო სექტორში - ავტომაგისტრალების, შიდა გზების, ჰიდროელექტროსადგურების, კერძო სექტორში - მრავალფუნქციური დანიშნულების საცხოვრებელი შენობების, ოფისების, სასტუმროების, მაგისტრალური კავშირგაბმულობის ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ დასაქმების კუთხით საკმაოდ მაღალი ეფექტი აქვს ამ სექტორში ზრდის თითოეულ პროცენტს“, - აღნიშნა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დადებითი ტენდენციები შეინიშნება ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდის მიმართულებით, რაც 2016 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15%-ით გაიზარდა და 6,5 მილიარდი ლარი შეადგინა. ხოლო, 15,4%-ით არის გაზრდილი ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, 2016 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდა 4,3% იყო, კვარტლის მონაცემებით - 2,8%. პრემიერის შეფასებით, ბოლო თვეებში აღინიშნება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ინვესტორთა განწყობის გაუმჯობესებას და მოლოდინების სტაბილიზაციას უკავშირდება. „შედეგად, რა თქმა უნდა, იზრდება ინვესტიციები და ერთობლივი მოთხოვნა. დარგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ზრდაში შეიტანა მშენებლობის სექტორმა, სადაც აქტივობა მაღალი იყო, როგორც სახელმწიფო სუვერენული დაფინანსების მქონე პროექტების კუთხით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმართულებით, ისე კერძო სექტორის აქტივობის მხრივ,“- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ფაქტია, რომ საქართველოს შეუძლია ეკონომიკის განვითარება. სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანსია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია დასაქმების სახელმწიფო სამსახურის როლი, რადგან სწორედ ეს სამსახური ითვლება იმ რგოლად, რომელიც სამუშაოს მაძიებელს აკავშირებს დამსაქმებელთან.

დასაქმების სახელმწიფო სამსახური არის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ინფორმაციის მოპოვება-გადაცემის, აქტიური ღონისძიებების გატარებისა და ინდივიდუალური მიდგომების გზით ხელს უწყობს შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დაცვას.

დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქართველოში

დასაქმების სახელმწიფო სამსახური საქართველოში 1998 წელს ჩამოყალიბდა. ხოლო 2005 წელს კი დასაქმების სახელმწიფო სამსახური და სოციალური დაცვის სამსახური გაერთიანდა. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის გლობალური მიზნები იყო და არის უმუშევრობის დონის შემცირება, დასაქმების ხელშეწყობა, შრომის მოთხოვნა-მიწოდება. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ამოცანები შრომის ბაზარსა და სამუშაოს მაძიებელს შორის უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა. ახალგაზრდების უმუშევრობის, შრომის ბაზრისგან იზოლირებული ჯგუფებისა და ხანგრძლივი უმუშევრობის შემცირება, ასევე არაფორმალური დასაქმებისა და შრომითი მიგრაციის შემცირება. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ამოცანაა დაბალი აქტივობების გაზრდა და სამუშაო ძალის განვითარება, სოციალურ ბენეფიტებზე დამოკიდებულებების შემცირება: კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურების დანერგვა - პროფესიული და გეოგრაფიული მობილურობის გაზრდა. ასევე შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების შესახებ სათანადო ინფორმაციის ფლობა - მოთხოვნა მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება, შრომის ბაზრის პოლიტიკის განხორციელება.

საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები

სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა საქართველოში ერთ-ერთი ფორმაა იმისა, რომ საქართველოს ბაზარზე არსებობს სხვადასხვა სახის გამოწვევები, ამის მაგალითია ისიც, რომ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი სტრუქტურული, ხარისხობრივი და ღირებულება ასევე მოქმედების შეზღუდული არეალი - ეკონომიკური საქმიანობების არათანაბარზომიერი

განვითარება, ინფორმაციის სიმცირე, სამუშაო ძალის დაბალი მობილურობა - საცხოვრებელთან მიჯაჭვურობა. სამუშაო ძალის დაბალი ფასი, შრომის მძიმე პირობები - „ღარიბი დასაქმებულები“. ხანგრძლივი უმუშევართა მაღალი წილი - შრომის ბაზრისგან იზოლაცია.

ხშირად ისმის კითხვა: რა შეუძლია დასაქმების სამსახურს?

სამსახურის მოძიებაში დახმარება - კონსულტირება, კარიერის დაგეგმვა და საშუაშვლო მომსახურებით დასაქმება; ტრენინგებისა და გადამზადების გზით ადამიანური შესაძლებლობების გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; თვითდასაქმებისა და მეწარმეობის მხარდაჭერა - ეკონომიკური ზრდის ბიზნესის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა; შრომის ბაზრისგან იზოლაციის პრევენციისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებში პირდაპირ, მაგრამ დროებით სამუშაო ადგილებზე დასაქმება. ხელშეწყობითი დასაქმების განვითარება (EUSE) - მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა; დასაქმების ფორუმების ორგანიზება. სწორედ ამ გვერდზე, დასაქმების ფორუმზე, შეუძლიათ სამსახურის მაძიებლებს მიიღონ დახმარება: გვერდის მისამართი: www.worknet.gov.ge

კერძო და საშუალო ბიზნესი პროექტი - აწარმოე საქართველოში

ვითარდება კერძო და საშუალო ბიზნესი, რომლის განვითარებასაც ხელს სახელმწიფოც უწყობს, ვიდრე ამ თემაზე გადავიდოდეთ, მიმოვიხილოთ სტატისტიკა: საქართველოში ბიზნეს სექტორის ბრუნვამ 2014 წელს 46.2 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 17% ზრდას წარმოადგენს. 2015 წლის პირველ კვარტალში ბიზნესის ბრუნვამ შეადგინა 11 მლრდ ლარი, რაც 10%-ით აღემატება 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 2014 წელს 23.9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 4% ზრდას წარმოადგენს. 2015 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 5.6 მლრდ ლარი, რაც 12%-ით აღემატება 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ოდენობამ 2015 წლის პირველ კვარტალში 545 ათასი შეადგინა, 10.4 ათასით მეტი, ვიდრე 2014 წლის მე-4 კვარტალში. 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, 2015 წლის პირველ კვარტალში დასაქმება 50 ათასით გაიზარდა, ხოლო 2012 წლის პირველ კვარტალთან შედარებით - 75.3 ათასით გაიზარდა. 2015 წლის პირველ კვარტალში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ GEL 851 შეადგინა, რაც 9.3%-ით აღემატება 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემს.

უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც უკვე განხორციელდა 132 პროექტი, ჯამური ინვესტიცია კი 344 მილიონ ლარს შეადგენს.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში,“ რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში ჩართულია სამინისტროს სისტემაში შემავალი შემდეგი სსიპ-ები: „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“.

პროექტი უზრუნველყოფს შემდეგი სახის მხარდაჭერას:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა;
3. ტექნიკური დახმარება;
4. სრული ინფორმაციისთვის შეგილიათ ეწვიოთ ვებ-გვერდს: <http://qartuli.ge>

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით.

დაინტერესებულ პირს სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, სთავაზობენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე. აღნიშნული ქონების ნუსხა გამოქვეყნებულია რეგიონების მიხედვით.

„მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის“ გამოყოფილი ბიუჯეტია 20 000 ლარი, ხანგრძლივობა კი 26 თვე. რომლიდანაც ტრენინგებს ეთმობა 4 თვე და ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას 22 თვე.

ფინანსური მხარდაჭერა ერთ მეწარმესთვის მაქს. GEL 5,000. მეწარმეთა ჯგუფისთვის: მაქს. GEL 15,000; *პირადი თანამონაწილეობა: მინიმუმ 20%* შეადგენს.

„აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში უკვე დატრენინგებულია 6 000 ადამიანი. დაფინანსებულია 3 000 მცირე ბიზნესი და ამის ფარგლებში უკვე დასაქმებულია 5 000-ზე მეტი ადამიანი.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარება

უმნიშვნელოვანესია მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაც. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს მიიღო და ეტაპობრივად უნდა ამოქმედდეს. რას ნიშნავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნება, რას გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი და როგორ უნდა მოვიპოვოთ ის; რას სოციალური და საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები? გთავაზობთ საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვას.

საინტერესოა, რას ნიშნავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნება.

კანონის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კანონის საფუძველზე მიენიჭათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი; მთიულეთი; პანკისის ხეობა; მაღალმთიანი აჭარა; გუდამაყრის ხეობა; ფშავ-ხევსურეთი; თუმეთი; ზემო სვანეთი; ქვემო სვანეთი; ლეჩხუმი; რაჭა.

ზოგადი წესის თანახმად, დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის ფორმით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

რას გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი?

ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად (მასზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო). ამასთან, იგი ვალდებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემიდან 1 კვირის ვადაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა სათანადო ცვლილება (დამატება) შეიტანონ შესაბამისი გამგეობის/მერიის დებულებაში).

ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) არის საქართველოს მოქალაქე; ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში; გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში საერთო ჯამში 9 თვის ან უფრო მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

კანონი ადგენს ასევე აღნიშნული სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს სტატუსი შეუჩერდება, თუ: ა) სასამართლომ სასჯელის სახით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა; ბ) მაღალმთიანი დასახლება დატოვა უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების მიზნით და კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში ფაქტობრივად 9 თვეზე ნაკლები ვადით ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი შეუწყდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) გარდაიცვალა; ბ) შეიცვალა რეგისტრაციის მისამართი (გარდა აღნიშნული პირის სხვა მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის შემთხვევისა); გ) დატოვა მაღალმთიანი დასახლება, რის გამოც კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში ფაქტობრივად 9 თვეზე ნაკლები ვადით ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მან მაღალმთიანი დასახლება მკურნალობის ან სამხედრო სავალდებულო

სამსახურის მოხდის მიზნით, გარკვეული ვადით დატოვა ან თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, აგრეთვე სტატუსის შეჩერების ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში); დ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.

რა სოციალურ შედეგატებს სთავაზობს სახელმწიფო მოქალაქეებს?

კანონის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები ისარგებლებენ შემდეგი სოციალური შედეგატებით:

ა) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს, რომლებიც ყოველთვიურად იღებენ სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით მიეცემათ ყოველთვიური დანამატი - სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 %-ის ოდენობით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალს, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიურად მიეცემა დანამატი: ექიმს - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით; ექთანს - სახელმწიფო პენსიის ოდენობით;

გ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - ზამთრის პერიოდში (15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) 2017 წლის 1 იანვრიდან - აბონენტს (საყოფაცხოვრებო მომხმარებელს) აუნაზღაურდება მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 %, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა;

ე) 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული პირველი და მეორე ბავშვებისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიეცემა ფულადი დახმარება - არანაკლებ 100 ლარი, ხოლო მესამე და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის - 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიეცემა ფულადი დახმარება - არანაკლებ 200 ლარის ოდენობით;

ვ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს მიეცემა დანამატი - საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 %-ის ოდენობით; სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს კი დანამატის სახით მიეცემა შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%. მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და დაამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო პროგრამას;

ზ) 2016 წლის 1 იანვრიდან - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს მიეცემათ ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით;

თ) 2016 წლის 1 სექტემბრიდან - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლებს, რომლებიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არიან დასაქმებული, მიეცემათ დანამატი - შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%-ის ოდენობით. ეს დანამატი არ მიეცემა პირს, რომელიც სარგებლობს ამ ჩამონათვალის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული სოციალური შედეგატით.

ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სოციალური შედეგატების მიღება არ არის საარსებო შემწეობის გაუქმების საფუძველი და არ ჩაითვლება შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებად.

რა საგადასახადო შეღავათები ეძლევათ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს?

2016 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები და მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტები ისარგებლებენ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ:

ა) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება;

ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა;

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

ბ) მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

გ) ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება - შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო, აგრეთვე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც 2015 წლის 1 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო მიღებული.

ამასთან, მეწარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი არ მიენიჭება ან ეს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს: ა) ლიცენზირებისადმი ან ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; ბ) მომსახურების გაწევას (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებისა); გ) საქონლით ვაჭრობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება - დამატებით განსაზღვროს ეკონომიკური საქმიანობის ის სახეები, რომლებზედაც ასევე გავრცელდება აღნიშნული საგადასახადო შეღავათები.

ლიტერატურა:

1. https://www.facebook.com/KvirikashviliOfficial/videos/282312228780475/?__mref=message_bubble გიორგი კვირიკაშვილის ოფიციალური ფეისბუქგვერდი. 2016 წლის 6 ივნისი
2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სამსახური, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, ნინო აგაშენაშვილი, 2015 წლის დეკემბერი.
3. www.ekofact.com
4. www.parliament.ge
5. „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“-ს მასალები, 2015 წლის დეკემბერი.

Salome Khunashvili
Tbilisi Teaching University
Supervisor: Olga Tsitkarishvili-Soselia, Invited specialist
PROSPECTS OF ECONOMIC REVIVAL IN GEORGIA
SUMMARY

The state's role is crucial in the development of the national economy, which is why my theme in „Georgia's economic growth prospects," I discussed this problem.

The tasks of the employment service and job seekers in the labor market to ensure uninterrupted connectivity. Youth unemployment, the labor market is long-term unemployment and a reduction in isolated groups, as well as informal employment and the reduction of labor migration. State Employment Service to increase the activities of the task is low and workforce development, reduce social benefits attitudes.

A crucial law on "Development of Mountainous Regions", which Parliament adopted on 16 July 2015 and will be enforced. What is a "mountain area" notion of what it means to the mountainous district of permanent resident status and how to obtain it; What social and tax benefits permanent residents of the mountainous settlement.

აგრორული მეცნიერებები
Agricultural Sciences


ნათია გვენეტაძე
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: მურადი გარუჩავა, ასოცირებული პროფესორი

**გენმოდულიციური საკვების გლობალური გავრცელება და
მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია**

ადამიანი დიდი ხნის მანძილზე ეძებდა მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებსაც გააჩნია მისთვის აუცილებელი თვისებები და ხელოვნურად მოჰყავდა ისინი საკუთარ მეურნეობაში. იღებდნენ ყველაზე ძლიერს ან ყველაზე გემრიელს – ანუ გარკვეული გენოტიპის მქონე ორგანიზმებს. სწორედ ეს არის სელექცია. გენების შესახებ ადამიანებმა არ იცოდნენ, თუმცა შეაჯვარებდნენ, არჩევდნენ, ისევ შეაჯვარებდნენ და აღნიშნავდნენ გარკვეულ კანონზომიერებებს. სელექცია – ხანგრძლივი პროცესია და მასზე წლები იხარჯება.

გენეტიკამ და მოლეკულურმა ბიოლოგიამ მოგვცა ახალი ჯიშების გამოყვანის და ამ პროცესის დაჩქარების საშუალება. იმის ცოდნა, თუ როგორ აკონტროლებენ გენები ჩვენთვის საინტერესო თვისებების გამოვლინებას, აგრეთვე გვაძლევს ზოგიერთი მათგანის მართვის საშუალებას. გენური ინჟინერია – ტექნოლოგიაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გენის წყობის შეცვლა ან ორგანიზმში განსაზღვრული ფუნქციების მქონე გარეშე გენის შეტანა. ორგანიზმში გადაიტანება მხოლოდ ერთი გენი, ხოლო დანარჩენი გენოტიპი რჩება უცვლელი. ამასთან ერთად ორგანიზმს შეიძლება მიენიჭოს ისეთი თვისებები, რომლებიც ვერ გადაეცემა მონათესავე ორგანიზმებთან შეჯვარებით. შესაძლებელია ორგანიზმების შექმნა ახალი თვისებებით. მაგალითად, იაფ და სწრაფად განვითარებად ბაქტერიებს შეუძლია მოახდინონ მათში ჩანერგილი უცხო გენის ცილების სინთეზირება. ასე იაფად, სწრაფად და დიდი ოდენობით იღებენ ინტერფერონსა და ინსულინს. მცენარეების გენმოდულიციური ჯიშების უმეტესობა მიმართულია სასოფლო-სამეურნეო მავნებლების ან ვირუსების მიმართ მედეგობის განვითარებაზე. მაღალი მოსავლის მიღების მიზნით მცენარეებში დიდი რაოდენობით ქიმიური სასუქების, მცენარეული ჰორმონების ან სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების დამატებას გენურ ინჟინერიასთან კავშირი არ აქვს.


დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მდგომ ერთ-ერთ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი საკვები პროდუქტებით. სოფლის მეურნეობისა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის FAO/WHO-ს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით 2050 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა 11 მილიარდ ადამიანამდე მიაღწევს. ბუნებრივია, მათი საკვებით უზრუნველყოფისათვის სასურსათო პროდუქტების წარმოება ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ნახ. 1. მოსახლეობის ზრდის დიაგრამა.



უმთავრესი მიზანი ახალი, გენმოდირებული პროდუქტების შექმნისა არის ის, რომ მსოფლიო დგას სასურსათო დეფიციტის წინაშე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ 2050 წლისათვის მოსახლეობას ორჯერ მეტი რაოდენობის საკვები დასჭირდება.

გენური ინჟინერიის დანერგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია საკვების ნაკლებობა, ეს პრობლემა მწვავედ დგას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანი განიცდის შიმშილს. ნახ. 2

ნახ. 2. მსოფლიოს მოსახლეობის შიმშილობის დიაგრამა.



მეცნიერების წინაშე მდგომი დღევანდელი ამოცანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების და მრეწველობის ზრდით, შენახვით და დაცვით არ ამოიწურება. არამედ აუცილებელია მოიძებნოს ახალი ტექნოლოგიები, უხვი საკვების შესაქმნელად. და, რაც მთავარი და აუცილებელია, საქმე გვექონდეს უვნებელ საკვებ პროდუქტებთან. სურსათის უვნებლობის საკითხი დღეისათვის განიხილება FAO,WHO, HACCP, ISO-ს გაერთიანებული კომიტეტებისა და ექსპერტთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების მიხედვით.

გმო კვებით რისკებთან დაკავშირებული პირველი ცნობილი შრომები ეკუთვნის ე. პუშტაის (დიდი ბრიტანეთი). მაგრამ ადრეც იყო ცნობილი ტრანსგენურ ცილაზე გამოხატული იმუნური რეაქციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. კერძოდ, ხ. მისონმა (1996) თავგებზე აჩვენა მაღალი იმუნური რეაქცია, რომელიც გამოწვეული იყო ვირუსული კაპსიდის ცილით მოდიფიცირებული ტრანსგენური კარტოფილით. ასევე კარგად იყო ცნობილი შრომები, რომლებიც ეხებოდა ადამიანის იმუნური რეაქციის პურის ხის და სოიოს ლექტინებზე, რომლებიც უკავშირდებოდნენ იმუნოგლობულინ IgA1-ს, რაც ერთროციტების შეწებებას იწვევდა.

ისმის კითხვა: ზოგადად როდის დაიწყო გმო-ზე ფიქრი? ეს დაიწყო მას შემდეგ, რაც მსოფლიო მოსახლეობა აჯანყდა შხამქიმიკატებისა და სასუქების წინააღმდეგ. კომპანიებმა რომლებიც სასუქს აწარმოებდნენ გამოიხილეს თითქოს უსაფრთხო მეთოდი და საკვებს შეუცვალეს გენი. მაგალითად:

1) მცენარეებს ჩაუნერგეს, გენი რომელიც იცავდა მწერებისგან, ამიტომ ადამიანს შეეძლო აღარ შეეწამლა მცენარე.

2) მცენარეებს ჩაუნერგეს ყინვა გამძლეობის გენი, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს გენი სად მოხვდება, რადგან ყველა ადგილს შეუძლია სხვადასხვა ნიშანი გამოავლინოს. მაგალითად, ფერი შეიცვალოს.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმი თავდაპირველად 1972 წელს პოლ ბერგმა შექმნა, ხოლო 1994 წელს ბაზარზე გამოჩნდა პირველი მცენარე, პომიდორი „ფლაგრა-სავრი“ .

ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიცირება მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა დაავადებების, ასევე მღრღნელების წინააღმდეგ, ზრდის შენახვის ვადებს. მაგრამ აუცილებელია, გენების ხელოვნური შეცვლის გაუთვალისწინებელი ეფექტების შეფასება, რაც საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ ევროპის ბევრ ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პომიდორის და კარტოფილის ნათესების ფართობები დღეისათვის უკიდურესად შემცირებულია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწონებული გენმოდიფიცირებული ხორბლის მოყვანა და მისი მოხმარება. გამონაკლისს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც დღემდე მოიხმარენ გენმოდიფიცირებულ ხორბალს და აწარმოებენ მის ექსპორტს.

არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ გენმოდიფიცირებულ საკვებში არსებული გენები ჩვენს გენომში ჩაერთოს და დღეს ჩვენ მიერ მირთმეულმა ამგვარმა საკვებმა ხვალ ზიანი მიაყენოს ჩვენს შთამომავლობას, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს?

კითხვა, უსაფრთხოა თუ არა ადამიანისათვის გენეტიკური მოდიფიკაციით მიღებული კვების პროდუქტები, ჯერჯერობით პასუხის გარეშე რჩება. არსებობს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გენმოდიფიცირებული პროდუქტის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები სავსებით უსაფრთხოა. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებლო თვისებას სძენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. გენმოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევიან მაღალი ხარისხით, აქვთ მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებენ.

მეცნიერების ნაწილი ეწინააღმდეგება ასეთი კვების პროდუქტების გამოყენებას. მათი აზრით, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელება საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ახალი ნიშან-თვისება, რომელსაც გენმოდიფიცირებული მცენარეები შეიძენენ, უფრო კონკურენტუნარიანს ხდის მათ არაგენმოდიფიცირებულ ჯიშებთან შედარებით. ამას, შესაძლოა, სერიოზული ეკოლოგიური დარღვევები მოჰყვეს. გარდა ამისა, გენმოდიფიცირებულ მცენარეთა უჯრედებში შესაძლებელია მოხდეს ადამიანისათვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინების, ალერგინების) სინთეზირება, რაც საზიანოა როგორც ადამიანისთვის, ისე ეკოსისტემისთვის.

უნდა აღინიშნოს რომ, სანამ ამ პრობლემას გაეცემა სწორი პასუხი, მანამდე კი ბიოტექნოლოგია სწრაფი ტემპით განადრძობს განვითარებას.

ბიოტექნოლოგიის განვითარებაში სამ ფაზას გამოყოფენ:

ბიოტექნოლოგიის განვითარების პირველი ტალღა. 1978 წელს შემუშავებულ იქნა მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ადამიანის ინსულინის გენი გადატანილ იქნა ჩვენს ორგანიზმში მობინადრე

ნაწლავის ბაქტერიის გენომში. ამ გენის დახმარებით ბაქტერიამ მისთვის უჩვეულო ნივთიერების - ადამიანის ინსულინის - სინთეზი „ისწავლა“

1982 წელს დარეგისტრირდა პირველი გენმოდულირებული მედიკამენტი - ინსულინი, რომელსაც ბაქტერიები გამოიმუშავებენ.

ბიოტექნოლოგიის განვითარების მეორე ტალღა. პირველი ტრანსგენური მცენარე თამბაქო იყო. მას მოჰყვა ბამბა, სიმინდი, სოია, კარტოფილი, პომიდორი და სხვა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მცენარეების გამოყვანა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. გენმოდულირებულ მცენარეებს ტრანსგენულსაც უწოდებენ. მათ გენომში ფუნქციონირებენ სხვა სახეობის მცენარეების ან ცხოველების გენომიდან გადმონერგილი გენი ან გენები. ამ გზით ადამიანს სურს, მცენარეს შესძინოს ისეთი თვისებები, რომლებიც მისთვის არის ხელსაყრელი.

მასტრიხტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი მარკ პოსტი და მისი გუნდი იღებენ ღორის ღეროვან უჯრედებს, ათავსებენ მათ ძროხის ემბრიონალურ შრატში, სადაც ეს უჯრედები აგრძელებენ ზრდას. შემდეგ მეცნიერები აშენებენ კუნთების ქსოვილს მექანიკური ძაბვითა და ელექტრომოკით, რაც ზრდის მის მოცულობას ასობით პროცენტით.

2013 წელს სინთეტიკური ხორცისგან დამზადებული პირველი ბურგერი დააგემოვნეს. ბურგერის ხორცი ძროხის ღეროვანი უჯრედებისგან შეიქმნა.

ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ PETA 2008 წელს დააწესა ერთმილიონიანი პრიზი იმისთვის, ვინც შექმნიდა და 2012 წლის 30 ივნისისთვის ბაზარზე გამოიტანდა ხორცის შემცველ პროდუქტს. დადგენილი ბოლო ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე მან გადაწია ვადა 2013 წლამდე. ანდრას ფორგაკსი (Andras Forgacs) ჯგუფიდან „თანამედროვე ველი“ არის პირველი ჩრდილო ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც შექმნა ქსოვილ-ინჟინირებული ხორცის პროდუქტი.

მესამე ტალღა, როდესაც შეიქმნა ტრანსგენური ცხოველები. ეს გზაა: კლონირება, კვერცხუჯრედში სომატური უჯრედის ბირთვის მთლიანი გადატანა. პირველი კლონირებული ცხვარი დაიბადა 1997 წელს.

ცხოველების გენმოდულირების მიზანია გაზარდონ და გააუმჯობესონ ცხოველური პროდუქციის ხარისხი და ასევე შექმნან ისეთი ცხოველები, რომლებიც სამკურნალო დანიშნულების ნივთიერებებს გამოიმუშავებენ.

მსოფლიოში ყოველწლიურად მატულობს გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეების ნათესების რაოდენობა, რის გამოც მსოფლიო თანდათანობით მასზე დამოკიდებული ხდება.

გენმოდულირებული პროდუქტის უკან დგანან მსოფლიოს 6 უმსხვილესი კომპანიები, რომელთა სავაჭრო ბრუნვა 10 წლის განმავლობაში 68 მილიონიდან 24 მილიარდამდე გაიზარდა.

დღეისათვის, გენური ინჟინერიის ტექნოლოგიას თითქმის სრულად ფლობს 6 მულტინაციონალური კომპანია.

ზოგადად ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ გენური ინჟინერიის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები:

დადებითი მხარეები:

1. მაღალპროდუქტიული.
2. ხელოვნური ინსულინი-ფარმაცოლოგია, სამედიცინო.
3. აუმჯობესებს ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის ჯიშს (გარკვეული კუთხით).
4. აჩქარებს ბუნებრივ პროცესებს.
5. ბაქტერიული გენით მიღებული კულტურების მოსავალი 30-35%-ით მაღალია.
6. უძლებს ტრანსპორტირებას, ასევე ყინვას, გვალვას.
7. მდგრადია მავნე მწერებისადმი.
8. არ არის მალფუჭებადი.
9. ვიზუალურად უკეთესი შესახედაობისაა.

უარყოფითი მხარეები:

1. ალერგიული რეაქციები
2. მთვლემარე ვირუსის გააქტიურება. მაგ. ნორვეგიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ყვავილოვანი კომბოსტოს მოზაიკის ვირუსის საცდელი ცხოველების უჯრედებში. ეს მძლავრი პრომოტორია, რომელსაც თითქმის ყველა გენმოდულირებულ პროდუქტში იყენებენ უცხო გენის ასამუშავებლად.

3. იწვევს უშვილობას, ონკოლოგიურ დაავადებებს.


საქართველოში გენმოდულირებული პროდუქტი პირველად შემოვიდა 1996 წელს. ეს იყო ფირმა „მონსანტოს“ მიერ წარმოებული კარტოფილი. ამ კარტოფილში იყო გენი, რომელიც თვითონ

გამოიმუშავებდა შხამქიმკატებს და კლავდა კოლორადოს ხოჭოს . მაგრამ, მასში რჩებოდა შხამი, რომელის კლავდა ადამიანებს.

სულ შემოტანილი იყო რამდენიმე ათეული ტონა კარტოფილი, რომელიც უკონტროლოდ გავრცელდა როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც: კერძოდ, თურქეთსა და აზერბაიჯანში.

მოსახლეობამ არ იცის, რამდენად უვნებელია მისი ჯანმრთელობისთვის ის პროდუქტი, რომელსაც მოიხმარს. საკვებს, რომელსაც ვიღებთ გენმოდიფიცირებულია ან გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებისგან შედგება.

საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამოკითხვით გვაქვს შემდეგი სურათი. ნახ. 3. მოსახლეობის მოსაზრება გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ.



გენმოდიფიცირებული პროდუქციის სამართლებრივი რეგულირების შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია – ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წლის ნოემბერში და ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს.

ფრანგული კომპანია “გრინპისი” დღესაც წარმატებულად მოქმედებს გმოს წინააღმდეგ. იტალიაში გმოს წინააღმდეგ ბრძოლა 90-იანი წლებიდან დაიწყო. აქ ორი ორგანიზაცია იბრძვის გმო-ის წინააღმდეგ: ერთი არის “ეკოლოგიური ორგანიზაციების” გაერთიანება და მეორე 500 -ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია. მას შეუერთდა ევროკავშირის, აფრიკისა და სხვა კონტინენტების მრავალი ქვეყანა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ბიოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული კანონი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა გმო-ს შექმნის, მოხმარებისა და ტრანსპორტირების მართვა-რეგულაცია.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სააღდგომო ეპისტოლეში ბრძანა, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გამრავლება და ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პროდუქციის წარმოება. ეს აუცილებელი პირობაა მომავალი თაობის სიჯანსაღისთვის.

მორწმუნეები კი ამბობენ, რომ გენმოდიფიცირებული პომიდორი, კარტოფილი თუ სხვა მცენარეული სურსათი არის მცენარე, რომელშიც ხელოვნურად შეყვანილია სხვადასხვა ცხოველის გენი, რაც იმას ნიშნავს, რომ მცენარე იძენს იმ ცხოველის გენეტიკურ თვისებებს, რომლის გენიც შეყვანილია მასში. ასეთი მცენარეები, ცხოველის გენეტიკურ თვისებებთან ერთად, აუცილებლად შეიცავენ ცხოველურ ცილებს, რაც იწვევს მართლმადიდებელი მორწმუნის მიერ მარხვის დარღვევას მარხვის პერიოდში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი ხასიათის დასკვნები. აუცილებლად მიგვაჩნია:

- გმოს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოს გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული სასურსათო პროდუქტების გამოყენების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა.
- დავიცვათ ბიოლოგიური მრავალფეროვნება.
- სახელმწიფო დონეზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი საკვები პროდუქტების მწარმოებელი, აგრეთვე ბიოლოგიური აგრომწარმოებლების საქმიანობის შესახებ.
- შესაბამისი ორგანოების მიერ მოხდეს ეტიკეტების, წარწერების კონტროლი და ვერიფიკაცია.
- სასურველია, თუ საქართველო გამოცხადდება გენმოდიფიცირებული პროდუქტებისაგან თავისუფალ ზონად.

• ევროპის ქვეყნებთან ერთად საქართველომ მიიღოს აქტიური მონაწილეობა გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან ან შემავსებლებიდან სხვადასხვა საკვები პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებში.

ლიტერატურა:

1. Ермакова И. В. Генетические модифицированные организмы, М., 2012.
2. Ермакова И. В. Что мы едим, М., 2010.
3. Лудевиг Р., Лос К., Острые отравления. М., Медицина, 2008.
4. Принципы оценки безопасности пищевых добавок и контаминатов в продуктах питания. пер. с английского - Женева, 1998.
5. Garuchava M. Proceedings of the international scientific conference on “ FOOD SAFETY PROBLEMS “, Tbilisi, 2009.

Natia Gvenetadze

Tbilisi Teaching University

Supervisor: Muradi Garuchava, Associate Professor

**GLOBAL SPREAD OF GENETICALLY MODIFIED PRODUCTS AND
THE SITUATION IN THE WORLD
SUMMARY**

In the article is shown that in order to avoid the possible world hunger humanity needs to search for new different plant and animal cultures and on this bases create innovative technology.

Is shown GMO advantage in comparison with different methods. Is shown three periods of GMO development products. Is studied the characteristic of each period of major products production.

Concluded the beneficial and harmful properties of GMO products.

It has been suggested that it is desirable that Georgia was declared a free zone of GMO. It is desirable that the countries of the European Union and Georgia jointly planned production technologies of various foods using GMO organisms.

თეონა ფოლადაშვილი


გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: გიული გიგუაშვილი, პროფესორი

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის და განვითარების მისაღწევად მთავარი ამოცანაა ეკონომიკის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიკაცია, პრიორიტეტული დარგების გამოყოფა, ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ დარგებს შორისაა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სოფლის მეურნეობის განვითარებას ახლავს გარკვეული რისკები, კერძოდ: ბუნებრივი კატაკლიზმების, უამინდობების და დაავადებების რისკი. თავს იჩენს განუსაზღვრელობა ბაზრის კონიუნქტურის წინასწარ განსაზღვრაში. ამასთან მოთხოვნის მრუდი სოფლის მეურნეობის პროდუქტზე არის ხისტი (რაოდენობის მცირე ცვლილებას ფასის მნიშვნელოვანი ცვლილება შეიძლება მოჰყვეს).

არასახარბიელოა აგრობიზნესის სტატისტიკაც, სულ უფრო მცირდება აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში.



წყარო : <http://www.geostat.ge>

საქართველოში პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მიწები მცირე ნაკვეთებად არის დაყოფილი, ამიტომ მექანიზაციის გამოყენება მცირე ნაკვეთებში ნაკლებ ეფექტურია, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო დაბალი შრომისნაყოფიერება კი განსაზღვრავს პროდუქტის მაღალ ფასს, ასე რომ თუ გვსურს ფასის მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქცია ვაწარმოოთ, საჭიროა გამსხვილდეს მიწების ნაკვეთები. საწყის ეტაპზე, სანამ სოფლის მეურნეობის განვითარება ფორმირდება, არ იქნება ურიგო, თუკი ხელისუფლება ქართული პროდუქციის მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას გაატარებს. ამ პოლიტიკის წყალობით მოხდება ფასების დარეგულირება და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქტი ვერ მოახდენს გავლენას ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ფასზე.

სოფლის მეურნეობა საკმაოდ რთული დარგია და იგი ხშირ შემთხვევაში მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი დოტაციურია. მიუხედავად სირთულისა და უამრავი რისკისა საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, სოფლის მეურნეობის განვითარებას ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეუძლია. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ სოფლის მეურნეობა, სულ უფრო მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმირდება (გენური ინჟინერიის გამო), ამიტომ ამ ახალმა ტექნოლოგიებმა შეიძლება სოფლის მეურნეობის რისკებში ცვლილებებიც კი გამოიწვიოს.

სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობაზე და მის წინაშე არსებულ რისკებზე ხშირად საუბრობს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი თავის გამოსვლებში, ქადაგებებსა თუ ეპისტოლეებში. 2016 წლის სააღდგომო ეპისტოლეში უწმინდესი კიდეც ერთხელ მიუთითებს, რომ „მრავალ პრობლემას ეშველება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება...“

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურება.

სასურველი იქნება, თუ თითოეულ რეგიონს თანხის გარკვეული რაოდენობა გამოეყოფა და თავდაპირველად სახელმწიფოვე იზრუნებს გასაღებაზე ორიენტირებული და ამ მხარისათვის ყველაზე მომგებიანი მიმართულებების განვითარებაზე. მოსახლეობას ბიძგის და ორიენტაციის მიცემა სჭირდება, გონივრული დახმარება უნდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი დაინახოს და იგრძნოს, რომ მისი საქმიანობა შედეგის მომტანია.“ [2]

„მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ხელოვნური მეთოდებით (გენური ინჟინერია, შხამ-ქიმიკატები, მცენარის ზრდის სტიმულატორები და ასე შემდეგ) მიღებული საკუთარი ჭარბი პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები გააფართოვონ და სხვა ქვეყნებში ადგილობრივი ბუნებრივი პროდუქციის წარმოება შეაფერხონ, საქართველოც სურთ, თავისი გავლენის სფეროდ გადააქციონ... ამ ტენდენციას ჩვენ ჩვენი პოზიცია და ინტერესები უნდა დაუპირისპიროთ.

სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკა, მართალია, მნიშვნელოვანია (ვგულისხმობ სახელმწიფო დოტაციებს, სარწყავი წყლითა და საძოვრებით უზრუნველყოფას, რაიონებში უფასო საკონსულტაციო ცენტრების ამოქმედებას), მაგრამ თვით მოსახლეობასაც შეუძლია ზომების მიღება, - მან უარი უნდა თქვას ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებზე, თვითონ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება და შექმნას მცირე საწარმოები.” [3: 447-448]

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, რომელიც ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რაც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება. ესენია:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ინსტიტუციური განვითარება;
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
- რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
- კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას.

სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. [4]

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამის სამეცნიერო კვლევებსა და მაღალ პროფესიონალურ კადრებზე დაყრდნობით. ამ მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის #162 დადგენილების საფუძველზე, აგრარულ სექტორში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღდგენისათვის, შეიქმნა **სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**, რომლის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება, შესწავლა, რეაბილიტაცია და გაუმჯობესება;
- გენბანკის შექმნა;
- საქართველოში ინტროდუცირებული ახალი ჯიშების გამოცდა-შეფასება, ადაპტაცია და გასავრცელებლად დაშვების ხელშეწყობა;
- კონდიცირებული სათესლე და სარგავი მასალის წარმოების, სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების სისტემის შექმნა;
- საქართველოს მიწის ფონდის შესწავლა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება;
- ბიოაგროწარმოების განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა და ბიო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება;
- მცენარეთა მავნებელ-დაავადებათა კვლევა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემის შემუშავება;
- საქართველოში გავრცელებული სასოფლო სამეურნეო და შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების სამეურნეოდ სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და

პოპულაციების მოძიება, აღდგენა - გაუმჯობესება; საქართველოში შემოყვანილი კულტურული ჯიშების კვლევა-ადაპტაცია;

- ელექტრონული საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- სურსათში/ცხოველის საკვებში გამოვლენილი და პოტენციური რისკის მეცნიერული შეფასება და რეკომენდაციების მომზადება რისკის მართვის ორგანოებისთვის;
- საზოგადოებასთან, საერთაშორისო, დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ცოდნის გავრცელების პროგრამის ფარგლებში რეგიონული ექსტენციის განვითარება და ხელშეწყობა.

[5]

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ოთხი წლის წინ, 2012 წელს დაარსდა **სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო**, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ საწარმოებს. [6]

ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად გამოწვევებზე საუბრის დროს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ ძირითად პროექტებს, რომლებიც ჩვენთან ხორციელდება, ესენია:

დანერგე მომავალი: პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა; ასევე, ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას. [7]

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის მიზანია:

- საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა;

- როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

- მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

- ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

სააგენტო განახორციელებს პროგრამის ბენეფიციარებისათვის ტექნიკურ დახმარებას ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიებში, სერტიფიცირებაში, მარკეტინგში, რეალიზაციის არხების შექმნაში და სხვა. [8]

"აწარმოე საქართველოში" პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთობლივად. პროგრამის მიზანია:

- წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;

- ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის მიმართულელებით მოხდება:

1. პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება;

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება;

3. ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება. [9]

აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებასა და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი დაფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, სამემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 53ა.- მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 30 ჰა.) თითოეული დამზღვევი 70% - იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 50%-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10%-ით მეტი იქნება.

2016 წელს იმოქმედებს მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას. [10]

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: 1) სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტს. 2) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტს. [11]

„მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“-ს მოსარგებლები (ბენეფიციარები) არიან: ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1.25 ჰა-ს. ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთი(ებ), რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1.25 ჰა-ს. ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს. პროექტის ფარგლებში მოსარგებლები სარგებელს მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით. [12]

შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტი ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აგრო კრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. [13]

სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობი პროგრამის განხორციელება დაიწყო 2014 წლის 24 ნოემბერს. პროგრამაში ჩართულია 4 მსხვილი ხილისგადამამუშავებელი საწარმო. სახელმწიფო სუბსიდია 1,035,810 ლარი შეადგინა. პროექტში მონაწილე კომპანიებმა მიიღეს სახელმწიფო მხარდაჭერა მანდარინის შექმნაზე: ექსპორტირებულია 27707.34 ტონა და გადამამუშავებულია 9252.2 ტონა. [14]

ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტი: საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობი ღონისძიება დაიწყო. ხილის გადამამუშავებელი კომპანიები არასტანდარტული ვაშლის შესყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ და ასევე, მათ საშუალება ექნებათ "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში აიღონ კრედიტი, რომლის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, ხილის გადამამუშავებელი კომპანიები, რომლებიც მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირებისგან 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 0.10 ლარად შეისყიდებიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლზე 0.08 ლარის ოდენობის სუბსიდიას გასცემს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინიციატივით, საწარმოებში არასტანდარტული ვაშლის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით, ქ. გორში 10 სექტემბრიდან საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდება. არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ბიუჯეტი 3 000 000 ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტი საქართველოში მეხილეობის დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს. [15]

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო - სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს USAID/REAP“. იგი წარმოადგენს 19.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხუთწლიან პროგრამას, რომელსაც აფინანსებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს (CNFA - Cultivating New Frontiers in Agriculture). პროექტის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და განვითარება. იგი ხელს შეუწყობს სოფლად შემოსავლების ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას, აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვას და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი „REAP“ უნიკალური პროგრამაა, რომელიც მთლიანად ეფუძნება საბაზრო მოთხოვნებს. პროექტის ხელმძღვანელი ლუის ფაორო გვთავაზობს გრანტებს უჩვეულოდ მკაცრი პირობებით. ამის მიუხედავად, მოთხოვნა კვლავ მაღალია. პროექტის მიზანი მარტივია: ახალი წარმატებული სოფლის მეურნეობის საწარმოების გახსნა და არსებული საწარმოების გაძლიერება. ძირითადი ამოცანაა აგრობიზნესში დასაქმებული იმ მეწარმეების გამოვლენა, რომელთაც უკვე აქვთ კარგი ბიზნეს-იდეები, სურთ ინვესტიციების განხორციელება და რომლებსთვისაც თუნდაც მცირე გრანტი კარგ სტიმულს წარმოადგენს ამ ინვესტიციის განსახორციელებლად.

პროგრამის ფარგლებში უნდა გაიცეს 120 გრანტი, ჯამში \$ 6 მილიონი ოდენობით და მოზიდული იქნება სულ მცირე \$ 14 მილიონი თანადაფინანსების სახით. პროექტის ფარგლებში ტექნიკურ დახმარებას მიიღებს ყველა გრანტის მიმღები საწარმო, რითაც ისარგებლებს 150 000 ადამიანი, მათ შორის 37 500 ქალი. სოფლად პროგრამის ფარგლებში შეიქმნება მინიმუმ 750 ახალი სამუშაო ადგილი. 135 000 მცირე მეწარმე ისარგებლებს \$15 მილიონი ღირებულების ნედლეულითა და მომსახურებით. 2 500 მეწარმისათვის ხელმისაწვდომი გახდება \$ 10 მილიონი მოცულობის გასაღების ბაზარი. [16]

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ“-ით გათვალისწინებული ღონისძიებების, საპატრიარქოს რეკომენდაციების გაზიარების, საქართველოს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დაგეგმილი და მოქმედი პროექტების განხორციელების და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო - სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტ „REAP“- ში აქტიურად ჩართვის შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას მიეცემა შესაძლებლობა, უპასუხოს სოფლის მეურნეობის წინაშე არსებულ გამოწვევებს და საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი, ტრადიციული დარგი კვლავ აღორძინდება და განვითარდება.

ლიტერატურა:

1. <http://www.geostat.ge>
2. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/162553-saqarthvelos-katholikos-patriarqis-ilia-ii-is-saaghdgomo-epistole-2016.html>
3. ეპისტოლენი, 2016: ეპისტოლენი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II, სამაგიდო წიგნების უნივერსალური 2 ათეული, წიგნი 11, გამომცემლობა პალიტრა L, 2016
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ - <http://moa.gov.ge/Ge/Strategy>
5. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, <http://srca.gov.ge/about>
6. <http://srca.gov.ge/news/2128>
7. http://apma.ge/projects/read/plant_future/
8. http://apma.ge/projects/read/project_scope/
9. http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/
10. <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/>
11. <http://apma.ge/projects/read/grant/>
12. http://apma.ge/projects/read/small_farmers/
13. http://apma.ge/projects/read/agro_credit/
14. <http://georgianwine.gov.ge/tangerine/>
15. <http://apma.ge/projects/read/apple/>
16. „სასოფლო - სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი „REAP“- <http://photos.state.gov/libraries/georgia/170426/simonishvilia/REAPGrantsApplication.pdf>

Teona Poladashvili
Gori State Teaching University
Supervisor: Giuli Giguashvili, Professor

PROSPECTS OF AGRICULTURAL DEVELOPMENT IN GEORGIA
SUMMARY

The priority sectors of economic development of Georgia is agriculture. Unfortunately, today the bulk of agricultural products - 80%, imports from other countries. Sustainable agricultural development, our country have been created "Georgian Agriculture Development Strategy for 2015-2020 years", the realization of which will contribute to the competitiveness of the agriculture sector, high-quality production steady growth, food security, food safety and reducing rural poverty.

სოციალური მეცნიერებები და სამართალი
Social Sciences and Law

გვანცა ბერუაშვილი
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: შალვა ქურდაძე, პროფესორი

ქორწინება და მისი საკანონმდებლო რეგულირება

შესავალი

ოჯახი საზოგადოების პირველი უჯრედი. დიდია ოჯახის როლი არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაშიც, ოჯახი უზრუნველყოფს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას და ასრულებს ბავშვთა აღზრდის ფუნქციას. იმაზე, თუ როგორი ურთიერთობაა ოჯახში, როგორია მისი წევრების მორალური დონე, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების სახე. ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს კერას, სახლს, სახლეულს, იგი ძველ ქართულში არ გვხვდება. მის სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი“, რომელიც ქმრისა ცოლშვილებისგან შემდგარი პატარა ერთობის აღმნიშვნელი იყო. „ოჯახი“ შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა „სახლს“ და მის პარალელურად დამკვიდრდა კომლის ცნებაც.¹ ყველა შემთხვევაში სამივე ტერმინი მეტ ნაკლებად ასახავდა ცოლქმრობაზე, ნათესაობაზე და ქონების მფლობელობაზე დამყარებულ ურთიერთობას.

ოჯახი განსაკუთრებული, სოციალური ორგანიზებული ადამიანთა ერთობაა. მისი შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა, ამიტომ ცოლ-ქმარი საწყის ეტაპზე ოჯახის წევრებს წარმოადგენენ, ლოგიკურად მოჰყვება ბავშვების გაჩენა, რაც მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საფუძველი ხდება.²

1. საოჯახო სამართლისა და ქორწინების ცნება

ოჯახზე ზრუნვის დადასტურებაა მორალის პრინციპების საფუძველზე საზოგადოებრივი ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც დაკავშირებულია ქორწინებასთან. ოჯახის წევრთა პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობათა, განაწილებასთან მეურვეობა-მზრუნველობასთან, ქორწინების შეწყვეტასა და მის შედეგებთან, აღნიშნული ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა წარმოადგენს საოჯახო სამართალს, რომელიც სამოქალაქო სამართლის შემადგენელი

¹ რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 თავი პირველი- გვ. 10.

² რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011- გვ. 11.

ძირითადი ინსტიტუტია. ე.ი საოჯახო სამართალი არის ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელ ნორმათა ერთობლიობა და მისი ძირითადი წყაროა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს ქორწინება. მას შემდეგ, რაც საზოგადოების განვითარების შედეგებით მაღალ საფეხურზე ინდივიდუალური ოჯახების შექმნის მოთხოვნილება გაჩნდა, ქორწინება დღევანდლამდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობებს. ქორწინება, სამართლებრივი გაგებით, ეს არის, ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.¹

კოდექსის მიერ მოცემულ განმარტებაში **ქორწინება მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის კავშირად ამ შემთხვევაში სიტყვას „კავშირი“ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება**, იგი მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება არ არის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ადეკვატური ცნება, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ქორწინებაში გარიგების ელემენტების არსებობა თვალნათლივია. გარდა ამისა, სიტყვა „კავშირი“ ქორწინების რელიგიური იდუმალეობასაც გულისხმობს.

2. ქორწინების პირობები

ქორწინებას მრავალი პირობა ახლავს თან, რომელთა განხილვაც ხდება სამართლებრივ ასპექტში. საოჯახო კანონმდებლობით განსაზღვრულია ქორწინების რამდენიმე აუცილებელი პირობა, რომელთა დაუცველობა მისი გაბათილების საფუძველია.

სამოქალაქო სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ქორწინების პოზიტიურ და ნეგატიურ ანუ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს. ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობების განსაზღვრას. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო კანონების მეშვეობით ადგენს, როდისაა ქორწინების რეგისტრაცია დასაშვები და რა გარემოებების არსებობის შემთხვევაშია ქორწინების რეგისტრაცია დაუშვებელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-მუხლის მიხედვით დაქორწინების პოზიტიური პირობებია საქორწინო ასაკი და მექორწინეთა თანხმობა. ეს ისეთი პირობებია, რომელთა გარეშეც დაქორწინება წარმოუდგენლად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული პირობების დაცვა, ოღონდ არაერთგვაროვანი გაგებით, სავალდებულოდაა მიჩნეული თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით².

ქორწინებისათვის აუცილებელია, რომ მექორწინეები განსაზღვრულ ასაკს იყვნენ მიღწეულნი, საქორწინო ასაკად საქართველოში დადგენილია 18 წელი, როგორც ქალებისათვის, ასევე კაცებისათვის, ამასთან შესაძლებელია, რომ შეზღუდულ ქმედუნარიან პირის ქორწინება მოხდეს მისი კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დასაქორწინებელ პირთა წინასწარ თანხმობაზე, ანუ ნიშნობაზე. ეს ინსტიტუტი საქართველოსათვის არ ყოფილა უცხო. ცნობილი იყო იგი რომაული სამართლისთვისაც. ნიშნობა იუსტინიანეს დიგესტებში განმარტებულია, როგორც „მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება“. იქვე მოცემულია ცნობილი რომაელი იურისტის ულპიანეს განმარტება ნიშნობის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ნიშნობის ლათინური სახელწოდებაა sponsalia და ნიშნავს დაპირებას. მისი მიღწევა შესაძლებელია ზეპირი გარიგების საფუძველზე, აქედან წარმოიშვა ტერმინი საქმრო და საცოლე. რაც შეეხება ნეგატიურ ანუ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, აღნიშნულნი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში. კანონმდებლობით მტკიცედაა დაცული ერთქორწინების პრინციპი. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ახალი ქორწინება შესაძლებელია ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ქორწინებათა ოდენობა განსაზღვრული არ არის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მონოგამიის პრინციპს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება:

- იმ პირთა შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;
- პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის;
- ღვიძლ და არაღვიძლ, ასევე არაბიოლოგიურ და—მმას შორის;
- მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2015 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით - მუხლი 1106.

² რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, თავი მეოთხე - გვ. 72-73.

- იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდამჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულება.¹

ქორწინების გაბათილება სასამართლოს კომპეტენციაში შედის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არავის არ შეუძლია ქორწინება ბათილად ჩათვალოს, თუნდაც საკმაო მონაცემები ჰქონდეს იმის შესახებ, რომ ქორწინება კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოხდა. ქორწინების გაბათილება განსხვავდება ქორწინების შეწყვეტისაგან ანუ განქორწინებისაგან. განქორწინებისას იგულისხმება, რომ ქორწინება თავიდან მოხდა კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, განსაზღვრული დროის განმავლობაში არსებობდა და მეუღლეებს შორის წარმოშობილი იყო საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი, მაგრამ შემდეგ, ისევ მეუღლეთა ნების გამოვლენის საფუძველზე, შეწყდა. განქორწინება შეიძლება როგორც სასამართლოში, ისე სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანოში.

3. მეუღლეთა უფლება მოვალეობანი

მეუღლეებს თანაბარი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები გააჩნიათ. მეუღლეთა პირად ურთიერთობებს მატერიალური და ეკონომიკური შინაარსი არა აქვს. ისინი ქორწინების საფუძველი და ნამდვილი შინაარსია. ქონებრივი ურთიერთობა ძირითადად მეორეხარისხოვანი შინაარსისაა. თუმცა საბაზრო მეურნეობის პირობებში მისი მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება. საოჯახო კანონმდებლობით მოწესრიგებულია მეუღლეთა შორის წარმოდგენილი ისეთი არაქონებრივი ურთიერთობანი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანასწორობის უზრუნველყოფის, მათი პიროვნების სრულყოფილად განვითარებისა და ოჯახის განმტკიცებისათვის. მათ მიეკუთვნება გვარი, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის არჩევისა და სხვა უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობანი.

დაქორწინებისას მეუღლეები თავიანთი სურვილის მიხედვით, ირჩევენ ქორწინებამდე გვარს. დასაშვებია მეუღლეთა შეერთებული გვარების ტარება. ჩვეულებრივ ისინი საერთო გვარს, ხშირად კი მეუღლის გვარს ატარებენ. საერთო გვარი პრაქტიკულად უფრო ადვილს ხდის ქორწინებასთან და შვილების ყოლასთან დაკავშირებულ უფლებებისა და შეღავათების განხორციელებას. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გვარის გამოცვლა მეუღლეებს შეუძლიათ საერთო საწყისებზე. ერთი მეუღლის გვარის გამოცვლა ავტომატურად არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას. განქორწინების შემდგომ ყოფილ მეუღლეს შეუძლია ატაროს მეუღლის გვარი ან სასამართლოს მიმართოს ქორწინებამდელი გვარის აღდგენასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს: მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ქონება. ქონება მეუღლეებს შეიძლება ეკუთვნოდეთ ინდივიდუალური ან საერთო თანასაკუთრების უფლებით. ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ყველაფერი ის, რაც ქორწინებამდე იყო მათ მფლობელობაში. ასეთია ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისთვის შეძენილი ნივთები და სხვა.

მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება. მათ უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ხელფასი და სხვა ფულადი შემოსავალი. მათი მიღების წყაროს მიუხედავად. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი მეუღლის სახელზეა ქონება გაფორმებული. მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების განკარგვის, მფლობელობის და სარგებლობის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს, რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ქონება ყოველთვის არ ითვლება საერთო ქონებად, ეს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქონება განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისათვის. მაგალითად ტანსაცმელი, კოსმეტიკური ნივთები და სხვა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარ საკუთრებად. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში.

მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრება ქონების გაყოფით წყდება. თითოეული ხდება იმ ქონების მესაკუთრე, რომელიც ქონების გაყოფამდე მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში იმყოფებოდა.

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2015 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით - მუხლი 1120.

ქონების გაყოფას საფუძვლად შეიძლება დაედოს:

- საქორწინო ურთიერთობათა ფაქტობრივი შეწყვეტა;
- ერთ-ერთი მეუღლის მფლანგველური დამოკიდებულება საერთო საკუთრების მიმართ;
- მეუღლეთა შორის თანხმობის მიუღწევლობა თანაზიარი საკუთრების გაყოფაზე;
- თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას.

4. საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები იმპერატიული ნორმებით რეგულირდებოდა. რაიმე სხვა სახის შეთანხმება, ერთობლივი ქონების მართვის და განკარგვის თაობაზე, კანონთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და იურიდიული ძალა არ ჰქონდა. ამ დროს მეუღლეთა ქონებას ძირითადად მოხმარების საგნები - ტანსაცმელი, ავტომანქანა, ავეჯი - წარმოადგენდა და როგორც წესი, გასაყოფიც არაფერი იყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა ერთობლივ თანასაკუთრებას წარმოადგენს მათ მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თანასაკუთრების მიკუთვნება თითოეული მეუღლის შემოსავლები შრომით, სამეწარმეო, ინტელექტუალურ საქმიანობიდან, ორივე მეუღლის მიერ მიღებული პენსიები, შემწეობები, სხვა სახის ფულადი განაცემები, მეუღლეთა საერთო შემოსავლების ხარჯზე შეძენილი მოძრავი და უძრავი ნივთები ფასიანი ქაღალდები, შეტანილი პაი, დაბანდებები, კაპიტალის წილები, მეუღლეთა მიერ ქორწინებისას შეძენილი ქონება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის ეკუთვნის და ვისი სახსრებით იქნა შეძენილი თანაბრად ეკუთვნის ორივე მეუღლეს.

განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულების ასეთი ფორმა საშუალებას აძლევს მეუღლეებს, კონფლიქტური სიტუაციის დადგომამდე, დაიკმაყოფილონ სასამართლო წესით ქონებრივი პრეტენზიები. საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, მიმართული მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის შესაცვლელად დადგენილ კანონთან შედარებით, ხელშეკრულების ამ ტიპის სპეციფიკურ თვისებებს განეკუთვნება მისი სუბიექტური შემადგენლობა, რადგანაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ნებისმიერ დროს რეგისტრაციის შემდეგ. საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც მეუღლეები, ასევე ის პირები, რომელთაც განზრახული აქვთ ქორწინება. ამგვარად საქორწინო ხელშეკრულების დადება შეუძლიათ:

ა) მეუღლეებს, ანუ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს. ქორწინების რეგისტრაცია ხდება სამოქალაქო რეესტრის ორგანოში და გაფორმებულად ითვლება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციიდან (სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი)

ბ) საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც მომავალში შეუძლიათ გახდნენ მეუღლეები.¹

5. მეუღლეთა ურთიერთ რჩენის მოვალეობა

მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ერთმანეთის მიმართ მატერიალური დახმარების ვალდებულება. მეუღლეები კანონით ვალდებულნი არიან საჭიროების შემთხვევაში მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს. თუ არაშრომისუნარიანი მეუღლე ან ცოლის ორსულობის პერიოდში, აგრეთვე მშობიარობის პერიოდიდან სამი წლის განმავლობაში საჭიროებს მატერიალურ დახმარებას და მეორე მეუღლე უარს აცხადებს ამაზე, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ასეთი წესი არსებობს განქორწინების შემდეგაც. ოღონდ იმ შემთხვევისთვის, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ შრომის უნარი ქორწინების პერიოდში განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში დაკარგა.

სასამართლოს შეუძლია გაანთავისუფლოს მეუღლე მეორე მეუღლის რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული დროით შეზღუდოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლეები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე დროით. ან თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა მეორე მეუღლის მიმართ, აგრეთვე თუ მატერიალური დახმარების მომთხოვნის შრომისუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლური სასმელის მოხმარებით ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენებით.

¹ გ. თუმანიშვილი, "საქორწინო კონტრაქტი" (მონოგრაფია), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.

დასკვნა

ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. მისი განმტკიცებისათვის ზრუნვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ოჯახი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდ თაობათა ღირსეულად აღზრდაში, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფაში. აქ ყალიბდება ადამიანის ხასიათის საფუძვლები, ზნეობრივი და კულტურული ღირებულებებისადმი მისი დამოკიდებულება. ამიტომაც სახელმწიფო დაინტერესებული, რომ ოჯახი იყოს მტკიცე, ზნეობრივად ჯანსაღი და მატერიალურად უზრუნველყოფილი.

ლიტერატურა:

1. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2015 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით).
3. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქათული სამართლის ისტორია, თბზ. ტ VI, თბ., 1982.
4. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 2004.
5. გ. თუმანიშვილი, „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.

Gvantsa Beruashvili

Tbilisi Open Teaching University

Supervisor: Shalva Kurdadze, Professor

MARRIAGE AND ITS LEGISLATIVE REGULATION SUMMARY

The family is the basic cell. It proves the care is of paramount importance. Families increasingly important role in the upbringing of the young generation with dignity, to the economic and social progress in the provision. Here formed the basics of human nature, moral and cultural values of his attitude. That is why the interest in the family to be strong, morally and financially healthy.

მარი კაპანაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ელზა ლომიძე**, პროფესორი

ჟურნალისტური ეთიკა - საზოგადოების ნდობის გარანტი

დამოუკიდებელი საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე მეტად საინტერესოდ ვითარდება ქართული მედია. იგი თანდათან იხვეწება და უახლოვდება საერთაშორისოდ აღიარებულ მედიის სტანდარტებს, თუმცა, ამავდროულად საგულისხმოა, რომ მედიასაშუალებები საზოგადოების მხრიდან ყოველთვის არ იმსახურებს ნდობას. საქართველოში ონლაინმედია ახალი ხილია და იგი ახლა იკიდებს ფეხს მედიასივრცეში, პროცესი საკმაოდ წარმატებულია. დღევანდელობაში სოციალური მედია და სოციალური ქსელები ისეთივე პოპულარულობით სარგებლობს, როგორც ტრადიციული მედიასაშუალებები (გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია თუ რადიო). აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ნდობა როგორც ერთი, ისე მეორე სახის მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციისადმი არ არის ყოველთვის ერთგვარი. ინფორმაციისადმი დამოკიდებულებას ბევრი ფაქტორი შეიძლება განისაზღვროს. ეს შეიძლება იყოს ინფორმაციის ობიექტურობა, ახალი ამბების მომზადებისას ჟურნალისტის მიერ წყაროებს შორის დაცული ბალანსი, ჟურნალისტის ნეიტრალურობა და მიუკერძოებულობა, და სხვა, ანუ ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებისას დასაცავი ის სასიცოცხლო ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ საბოლოოდ ჟურნალისტური პროდუქტის სანდოობას.

ქართველ ჟურნალისტებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი ზედმეტად არიან სენსაციას გამოდევნებული, რომ ქართულ პრესაში ძნელია ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გარჩევა, ხოლო ჟურნალისტებსა და მათ რესპონდენტებს კაცის შეურაცხყოფა „ჩირად არ უღირთ“. ეს საყვედურები არ არის საფუძველს მოკლებული, თუმცა, თავის მხრივ, თავდასაცავი არგუმენტები ჟურნალისტებსაც საკმაოდ აქვთ.

პირველ რიგში, სენსაცია ხშირად არის ჟურნალისტის „პური არსობისა“, რადგან საზოგადოებას სწორედ სენსაცია აინტერესებს, ჟურნალისტი კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედებს - მომხმარებელს იმ საქონელს აწვდის, რაზეც არსებობს მოთხოვნილება;

იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ნდობა ჟურნალისტიკის მიმართ, ჟურნალისტებმა გარკვეული პროფესიული სტანდარტები უნდა დაიცვან. მაიამის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის, პოლ სტეინლის აზრით, პროფესიული ჟურნალისტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- სიზუსტე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ოპერატიულობა;
- სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია;
- მოვლენების ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა.

ჟურნალისტიკაში ბევრი სხვა სტანდარტიც არსებობს, თუმცა, გარდა პროფესიული სტანდარტებისა, არის ეთიკური პრინციპები, რომელთა დაცვა არანაკლებ საჭიროა სანდო და კეთილსინდისიერი ჟურნალისტური საქმიანობისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც არის სიტყვის თავისუფლება, შესაბამისად, ჩამოყალიბდა გარკვეული ეთიკური კრიტერიუმები, რომლითაც ჟურნალისტებმა უნდა ხელმძღვანელობდნენ. ხშირად ეთიკის საკუთარი კოდექსები აქვთ ცალკეულ გაზეთებს, ტელე და რადიო არხებსა თუ მედია-კორპორაციებს, ხშირად კი ამა თუ იმ ქვეყნის ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ თავიანთ საქმიანობაში ერთიანი ეთიკური პრინციპებით იხელმძღვანელებენ. არსებობს ეთიკის საერთაშორისო კოდექსებიც, თუმცა, მხოლოდ კოდექსის მიღება, თუნდაც ის იდეალური დოკუმენტი იყოს, საქმეს ვერ შევლის, თუ არ იარსებებს ამ კოდექსის დაცვის მექანიზმი.

იმ ქვეყნებში, სადაც სიტყვის თავისუფლების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, ან სადაც ამგვარი ტრადიცია დღეს იქმნება, მედიის თვითრეგულირების სხვადასხვა მექანიზმები გამომუშავდა. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია პრესის ომბუდსმენი, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში პრესის საბჭოები ცვლის. მათი მიზანი ეთიკური და სანდო ჟურნალისტიკის დამკვიდრებაა, რასაც ისინი ერთიანი კრიტერიუმების გამომუშავებითა და ამ კრიტერიუმების დაცვაზე ზედამხედველობის დაწესებით ახერხებენ. ხოლო, თუ ჟურნალისტები ვერ მოახერხებენ ეთიკური და სანდო მასმედიის ჩამოყალიბებას, მაშინ ხელისუფლებას ხელ-ფეხი ეხსნება თავად „ალაგმოს პრესის თავგასულობა“ და იგი შეძლებს კიდევ ამის გაკეთებას.

მიუხედავად მრავალფეროვნებისა, სხვადასხვა ეთიკის კოდექსები ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს. ზოგადად, ნებისმიერი კოდექსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება: ეს არის სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტის პროფესიონალიზმი. მაგალითად, ირლანდიის ჟურნალისტთა ეროვნული კავშირის ქვეყნის წესის პირველი მუხლის თანახმად, ჟურნალისტი მოვალეა, შეინარჩუნოს მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები. ბელგიის ჟურნალისტური პრინციპების კოდექსი, პირველივე მუხლით პრესის თავისუფლებას იცავს: „პრესის თავისუფლება სიტყვის თავისუფლების მთავარი გარანტიაა, რომლის გარეშეც სხვა ძირითადი სამოქალაქო უფლებების დაცვა შეუძლებელია“.

ზოგიერთი ქვეყნის ჟურნალისტებს თავიანთ ეთიკის კოდექსებში შემოაქვთ ერთი შეხედვით სრულიად აბსტრაქტული ტერმინები - „სინდისი“, „სამართლიანობა“, „პროფესიული სიწმინდე“, „ჟურნალისტური სული“ და სხვა, რომელთა ადგილი ამგვარ კოდექსებში, თითქოს, ნაკლებად მოიძებნება. მაგალითად, საფრანგეთის ჟურნალისტთა კოდექსის თანახმად, ფრანგი ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობაა, „პატივი სცეს სამართლიანობას და მიანიჭოს მას უმაღლესი პრიორიტეტი“. ავსტრიული „პრესის ღირსების კოდექსი“ კიდევ უფრო შორს მიდის: „ჟურნალისტიკა გულისხმობს პასუხისმგებლობას საჯაროობის, გამოყენებული საინფორმაციო საშუალებისა და საკუთარი სინდისის მიმართ“, - ნათქვამია კოდექსის პირველივე მუხლში, მეოთხე მუხლის თანახმად კი, კერძო პირების ცილისწამება და მათ შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება „ჟურნალისტური სულის შებღალვაა“. ცხადია, ვერავინ გააკონტროლებს, რამდენად აგებს ჟურნალისტი პასუხს საკუთარი სინდისის წინაშე, ავსტრიელმა ჟურნალისტებმა მაინც საჭიროდ მიიჩნიეს, სულ რაღაც ერთგვერდიან კოდექსში ამგვარი მუხლიც შეეტანათ, რითაც ხაზი გაუსვეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის სინდისის კარნახით მოქმედება.

ჟურნალისტი მზად უნდა იყოს ისეთი შემთხვევისთვის, როცა სიტყვის თავისუფლება ადამიანის სხვა უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან მოდის კონფლიქტში. ბელგიის „ჟურნალისტური პრინციპების კოდექსი“ ასეთ შემთხვევებში ნდობას უცხადებს რედაქტორსა და მასალის ავტორს და მათ უტოვებს არჩევანის უფლებას, თავად გადაწყვიტონ, რას მიანიჭონ უპირატესობა.

ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ სფეროს, სადაც ყველაზე ხშირად სცოდავენ ქართველი ჟურნალისტები. კერძოდ, ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომლებიც შეურაცხყოფენ ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის რელიგიურ და ზნეობრივ გრძნობებს, მათ რასობრივ თუ ეთნიკურ კუთვნილებას. ფინელი ჟურნალისტების „სამართლიანი ჟურნალისტური პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების“ თანახმად, „კანის ფერი, ეროვნება, წარმოშობა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი, სქესი და სხვა პირადი მახასიათებლები არ უნდა გამოქვეყნდეს, თუ ეს არ არის დაკავშირებული მოცემულ საკითხთან“. ამ მოთხოვნის ლოგიკა ძალიან მარტივია: ჩვენ თუ ყოველ ჯერზე გავიმეორებთ, რომ, ვთქვათ, დანაშაული ჩაიდინა რომელიმე კუთხის (მაგალითად, „ლიცო კავკასკოი ნაციონალისტ“) ან რომელიმე რელიგიის წარმომადგენელმა, საზოგადოებაში გაჩნდება მარტივი კლიშე, რომ ამ კუთხისა თუ ამ რელიგიის წარმომადგენელთა უმრავლესობა კრიმინალია.

მეორე მხრივ, ამგვარი მახასიათებლების გამოქვეყნება დასაშვებია, თუ ისინი უშუალო კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან. მაგალითად, თუ მუსლიმანი ტერორისტი ისლამის სახელით ჩადის ტერაქტს, ან თუ ბასკი ტერორისტი ბასკეთის გათავისუფლების სახელით ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ მისი ქმედება პირდაპირ არის დაკავშირებული დამნაშავეს რწმენასთან ან ეთნიკურ წარმომავლობასთან. შესაბამისად, მისი რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობის აღნიშვნა არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა იმისთვის, რომ მოსახლეობამ ზუსტი და ყოველმხრივი ინფორმაცია მიიღოს მომხდარის შესახებ.

საქართველოში ამ პრინციპის იგნორირებაც ხშირია. მაგალითად, ბოლო პერიოდის ქართულ მედიაში, როგორც წესი, ხაზგასმით აღინიშნება, რომ დანაშაული ჩაიდინა აფხაზეთიდან ლტოლვილმა, ქისტმა ან მუსლიმანმა. თუმცა, არასდროს ითქმება, რომ დანაშაული ჩაიდინა კახელმა, იმერელმა ან მართლმადიდებელმა. შედეგად ჩნდება კლიშეები, რომ ყველა ქისტი დამნაშავეა, რომ ისლამი უფრო მეტად არის დანაშაულისკენ მიდრეკილი, ვიდრე რომელიმე სხვა რელიგია, ხოლო ლტოლვილები რომ არ იყვნენ, დანაშაულის რაოდენობა მკვეთრად შემცირდებოდა. ამგვარი კლიშეების შედეგად, როგორც წესი, უამრავი სრულიად უდანაშაულო ადამიანი ზარალდება. ამის მაგალითად თუნდაც მოსკოვი გამოდგება, სადაც კავკასიური წარმომავლობა საკმარისი საბაზია იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები ფეხქვეშ გაითელოს.

ყოველივე ზემოთქმული არ არის მხოლოდ ეთიკისა და ადამიანის უფლებების საკითხი. რელიგიურ თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე ხაზგასმა პრაგმატულადაც, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, საკმაო ხიფათს შეიცავს, რადგან ადამიანთა ჯგუფი, რომლის განსხვავებულობასაც მუდმივად უსვამენ ხაზს, უკვე თავადაც იწყებს იმ საზოგადოებისგან გაუცხოებას, რომლის წევრიც თვითონ არის. შედეგად კი მოცემულ საზოგადოებაში ღრმავდება დეზინტეგრაციული პროცესები, რაც ისეთი სუსტი სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა, შეიძლება, დამღუპველი აღმოჩნდეს.

ჟურნალისტური ეთიკა მრავალ სხვადასხვა ასპექტს შეიცავს. ზოგიერთი ეთიკის კოდექსი დაწვრილებით ახდენს იმის რეგლამენტირებას, თუ როგორ უნდა გაშუქდეს სასამართლო პროცესი, როგორ უნდა გაკეთდეს რეპორტაჟი არასრულწლოვანი დამნაშავეს შესახებ, როგორ უნდა იყოს ჟურნალისტის პოზიცია არჩევნების გაშუქების დროს, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს სახელმწიფო საიდუმლოსთან, როგორი უნდა იყოს ბალანსი საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს შორის და ა.შ. ავსტრიული კოდექსი ადამიანთა შიშით სპეკულირებას მიიჩნევს უღირს საქციელად, ბელგიური მოითხოვს, არ მოხდეს დანაშაულის, ტერორისა და სხვა სასტიკი და არაადამიანური ქმედებების განდიდება...

ზოგიერთი კოდექსი ამგვარ დაკონკრეტებას არ მიიჩნევს საჭიროდ. თუმცა, არის კიდევ ერთი მტრიხი, რომლის ხაზგასმაც ბევრი ქვეყნის ჟურნალისტებმა მიიჩნიეს საჭიროდ. კერძოდ, უნდა მიიღოს თუ არა ჟურნალისტმა საზღაური გარეშე პირებისგან თავისი საქმიანობისთვის. ქრთამისა თუ სხვა სარგებლის („ძღვენის“) მიღებაზე უარის თქმა მხოლოდ ეთიკური ნორმა არ არის, იგი საგამომცემლო ბიზნესზეც ახდენს უშუალო გავლენას. როცა იკარგება ნდობა ჟურნალისტის მიმართ, შესაბამისად იკლებს გაზეთების ტირაჟები, მცირდება რადიომსმენელებისა და ტელემაყურებელთა რიცხვი, რაც პირდაპირ აისახება რეკლამის მოცულობასა და მედიის შემოსავლებზე. სწორედ ამიტომ, ჟურნალისტებისა და მედიის მფლობელთა უშუალო ინტერესში შედის, რომ საზოგადოება მათ ენდობოდეს. ამავდროულად, ჟურნალისტური ეთიკის დარღვევა ხშირად ძალიან ძვირი უჯდებათ

ჟურნალისტებსა და გამომცემლებს. მაგალითად, ამერიკაში ყველაზე მსხვილმა მედიამაგნატმა, ფრენკ განეტმა მას შემდეგ გადაწყვიტა ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის შექმნა, როცა ათი მილიონი დოლარი წააგო სასამართლოში. განეტის მედიაკორპორაციას 98 გაზეთი ეკუთვნის, რომელთა შორის არის ამერიკაში ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთი „USA Today“ (1,8 მლნ. ტირაჟი).

მართალია, ეთიკის კოდექსის ერთ-ერთი დანიშნულება საზოგადოების ნდობის მოპოვება და შენარჩუნებაა, მაგრამ მხოლოდ კოდექსი ვერაფერს უშველის, მისი ძირითადი დებულებები თუ არ გაკონტროლდება.

საკვლევი თემის ირგვლივ სტუდენტთა აზრის გასაგებად ჩავატარე ბლიც-გამოკითხვა. გამოყენებული კითხვარი გავრცელებული იყო სოციალური ქსელების მეშვეობით. სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებში.

მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტები იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. გამოკითხვაში მონაწილეობა 30-მდე სტუდენტმა მიიღო.

კითხვაზე თუ რა სახის მედიასაშუალებებს იყენებენ ახალი ამბების მისაღებად, ტრადიციულ მედიასაშუალებებს გამოკითხულთა 30%, ონლაინ-მედიას კი რესპონდენტთა 80 % იყენებს.


კითხვაზე, თუ როგორ ეძიებენ ისინი ახალ ამბებს რესპონდენტთა პასუხები ტოლ ნაწილად იყოფა. მათი ნახევარი თვითონ ეძიებს ახალ ამბებს სასურველი მედიასაშუალებების მეშვეობით, ნაწილი კი მხოლოდ მაშინ ეცნობა, თუკი ნიუსი მისი მხედველობის, ყურადღების არეში ექცევა.

მიზეზი, თუ რატომ ირჩევენ კონკრეტულ მედიასაშუალებებს, სტუდენტები პასუხობენ, რომ რადიოს შემთხვევაში ინფორმაციის მიღების პროცესს მიაქვს ნაკლები დრო და შესაძლებელია მისი სხვა საქმის კეთების პარალელურად მიღება. ტელევიზიის შემთხვევაში სტუდენტები ამ მედიასაშუალებების სიკეთედ ინფორმაციის ვიზუალურად აღქმის შესაძლებლობას ასახელებენ. ჟურნალ-გაზეთების მომხმარებელ სტუდენტების ნაწილს სიამოვნებს ბეჭდური მედიის გაცნობის პროცესი, ნაწილს კი უფრო სანდოდ მიაჩნია პოპულარული და დროში გამოცდილი ბეჭდური მედიის მიერ მომზადებული ნიუსები. ონლაინმედიის მომხმარებელი სტუდენტები პასუხობენ, რომ ისინი ყოველდღიურად ეცნობიან საინფორმაციო პორტალებს, მათთვის ეს ინტერნეტში სხვა საქმის პარალელურად კეთების განუყოფელი ნაწილია. ინფორმაციის ნაწილს სოციალურ ქსელებში გაზიარებით, ნაწილს კი თვითონ იძიებენ.

სტუდენტები ჟურნალისტური პროდუქტის აუცილებელ ნიშან-თვისებად ნიუსის სანდოობას, ობიექტურობას და წყაროებს შორის დაცულ ბალანსს ასახელებენ.


სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ გაშუქებული ახალი ამბებისადმი მათ შემდეგნაირი დამოკიდებულება აქვთ:

ტელევიზიის შემთხვევაში: გამოკითხულთა 70% ტელევიზიის მიერ გაშუქებულ ინფორმაციას არასანდოდ, ტენდეციურად და დაუბალანსებლად მიიჩნევს. დაახლოებით 25% სატელევიზიო ახალ ამბებს ობიექტურ და მიუკერძოებელ ნიუსებად აღიქვამს. ხოლო 5% პასუხს არ აფიქსირებს. რაც შეეხება კონკრეტულად, თუ რომელი ტელევიზიაა მათთვის უფრო სანდო, გამოკითხულთა 45% ასახელებს „GDS-ეს“, 15% ასახელებს „მაესტროს“, 5% ასახელებს „ერთსულოვნებას“, 10% „იმედსა“ და „რუსთავი2-ს“, 5% „ქართული არხი“, ხოლო 3% ასახელებს „აჭარას“ და 7% ასახელებს „საზოგადოებრივ მაუწყებელს“.




ჟურნალ-გაზეთების შემთხვევა საინტერესოა: გამოკითხულთა 30%, რომელიც კითხვარის დასაწყისში გვპასუხობდა, რომ მათთვის ძირითადი საინფორმაციო საშუალება ბეჭდური მედიაა,

ბეჭდური პროდუქციის შესახებ, მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ახალი ამბები არაპროფესიონალების მიერაა მომზადებული, ნიუსები დაუბალანსებელი და ტენდენციურია. ბეჭდური მედიის მომხმარებელთა მხოლოდ 10%-ია კმაყოფილი სტატიების ჟურნალისტური სტანდარტით. კითხვაზე, თუ რომელი გაზეთია მათთვის ყველაზე სანდო, პროცენტული მაჩვენებელი ასე განაწილდა: „კვირის პალიტრა“ - 75% „ქართული სიტყვა“ - 15%, ხოლო 5% - „ასავალ დასავალი“ და 5% - კი პასუხისგან თავს იკავებს.



ონლაინ-მედიის მომხმარებელი სტუდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ-სტატიების უმეტესობა არ არის სანდო და ბევრ მასალას არ მოჰყავს წყაროები, სტატიის სანდოობის გადამოწმება ისევ ონლაინ რესურსებით არის შესაძლებელი. რესპონდენტები გამოყოფენ საინფორმაციო ონლაინ-პორტალების ერთ ჯგუფს, რომელთაც ენდობიან, და, მეორე, უფრო დიდი ჯგუფი, რომელიც მათ ნდობას არ იმსახურებს. მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ-მედიის ახალი ამბების მომხმარებელი სტუდენტები, მეტწილად, ეცნობიან ტრადიციული მედიასაშუალებების, ჟურნალ-გაზეთების ონლაინ ვერსიებს. რეალურად, ისინი ტრადიციულ მედია საშუალებებში მომუშავე ჟურნალისტების სტატიების მკითხველები არიან. პროცენტული მაჩვენებლით კი ონლაინ მედიის სანდოობის მხრივ ყველაზე დიდი 90% „ამბები.ჯი-ის“ ასახელებს, ხოლო დანარჩენი 10% სხვადასხვა საიტებს უკავიათ.



კითხვარის ბოლოს სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება დაეწერათ საკუთარი აზრი საკვლევი თემის ირგვლივ. უცვლელად გთავაზობთ ყველაზე უფრო საინტერესო კომენტარებს:

– ქართული მედია ძირითადად მიკერძოებულია. ალტერნატიული მედიაგამოცემები იქმნება არა იმიტომ, რომ ობიექტური იყოს, არამედ იმიტომ, რომ სხვა პოლიტიკური ძალისკენ იყოს გადახრილი. მედია არ არის ხალხის სამსახურში, დღევანდელ ქართულ რეალობაში ის პოლიტიკოსების იარაღია.

– საქართველოში ყველა მედიასაშუალება მიკერძოებული და სუბიექტურია. მე ვერ ვხედავ ისეთ საინფორმაციო საშუალებას, რომელიც ან პოზიციასზე არ მუშაობდეს, ან ოპოზიციასზე.

– დროა უკვე, რომ ქართულ მედიას მიეცეს საშუალება ობიექტურად მიაწოდოს მოსახლეობას სწორი ინფორმაცია და არ იყოს მიკერძოებული.

– ქართული მედია გამოყენებულია ხალხის წინააღმდეგ, მათ დასათრგუნავად, შინაგანი კონფლიქტების გამოსაწვევად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მაქინაციებიდან ყურადღების გადასატანად და წინასწარ დაგეგმილი რეაქციების გამოსაწვევად!

– რაც არ უნდა ცუდი და საზიზღარი იყოს, ისინი მაინც ჩვენი მედიასაშუალებებია და ამდენი კრიტიკისგან კარგები არ გახდებიან, თუ საფუძვლიანი ცვლილებები არ მოხდა. ცუდს არაფერს დავუმატებ, ისედაც ბევრჯერ გავატანეთ წყალს;

– დროა ჟურნალისტებმა ისწავლონ, რა არის ჟურნალისტიკა და რა მოვალეობა აკისრიათ საზოგადოების წინაშე.

კვლევის შედეგებით ერთი რამ შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ საქართველოც იმ ტენდენციის გამოხარბეელია, რაც მსოფლიოში შეინიშნება. ტრადიციული მედიასაშუალებების არსებობასთან ერთად ფეხს იკიდებს, და ხშირად მის ადგილს იკავებს ონლაინ-მედია. ახლა უკვე საქართველოს სტუდენტობის აქტიურად სარგებლობს ინტერნეტგამოცემებით, ეცნობა და აზიარებს ინტერნეტში გამოქვეყნებულ ახალ ამბებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტები ადეკვატურად აფასებენ საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემული ახალი ამბების სანდოობას, ხელმძღვანელობენ ზუსტი კრიტერიუმებით, აქვთ საჭირო და სასარგებლო რჩევები, თუ შენიშვნები მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის.

ლიტერატურა:

1. ალფაიძე თ., მედია სამართალი, თბილისი, 2008.
2. ბერტრანი ჟ-კ. მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2004.
3. გამოხატვის თავისუფლება ევროპაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. ტექსტის თარგმანი და რედაქტირება - ჭელიძე ლ., ბოხაშვილი ბ., მამუკელაშვილი თ. ევროპის საბჭო, რეგთაიმი, თბილისი, 2003.
4. მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია. შემდგენელი და რედაქტორი თ. კინწურაშვილი თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2004.
5. ჟურნალისტური ეთიკა და თვითმარეგულირების მექანიზმები. გამოცემულია ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რედაქტორი თ. კინწურაშვილი თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2003.
6. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (10 დეკემბერი, 1948): <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=100>

Mari Kapanadze

Guram Tavartkiladze Teaching University

Supervisor: Elza Lomidze, Professor

JOURNALISM ETHICS – THE GUARANTEE FOR PUBLIC CONFIDENCE SUMMARY

In Journalism Ethics Code of many countries, the core principles for professional activity are expressed in certain concepts, such as conscience, fairness, honesty, impartiality and etc. Unfortunately, in many cases these basic principles have turned into absolutely abstract, amorphous statements.

The paper analyzes the examples concerning Journalistic Ethics of Georgia as well as those of other countries. Besides, the inquiries are carried out in order to ascertain how much the journalists are trusted and in which sphere.

It is true that one of the functions of the Code of Ethics is to set clear professional standards. However, the effective measures can only be taken by other institutions. Many countries have established special structures or positions – press ombudsman, press council and etc. in order to deal with the issues mentioned above. Such mechanisms help not only to maintain control on media and detect violations, but to gain, maintain and raise the public confidence in media.

პირადი ცხოვრების ამსახველ მონაცემთა დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები

Privacy (პირადი ცხოვრების უფლება) ამერიკული სამართლის პირმშოა. იგი იცავს ადამიანის პირად სივრცეს უნებართვო ჩარევისაგან. ამერიკულ სამართალში privacy-ს განმარტავენ როგორც უფლებას - right to be alone.

ამერიკის შეერთებული შტატები პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1903 წელს სპეციალური კანონი მიუძღვნა პირადი ცხოვრების დაცვას.

ეს უფლება მანამდე ირიბად დაცული იყო შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებით. მაგალითად, კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც ადგენს პრესისა და გაერთიანებების თავისუფლების გარანტიებს.¹

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც „პრაივისს“ შეეხებოდა, 1881 წელს მიჩიგანის უზენაესმა სასამართლომ მიიღო. საქმეში დე მეი რობერტსის (De May v. Roberts, 9 N.W. 146 (Mich 1881)) წინააღმდეგ სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა პირს, რომელიც ქალის მშობიარობას მისი თანხმობის გარეშე აკვირდებოდა.²

გასული საუკუნის 1970-80-იან წლებში ფარულმა მოსმენებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები შესაბამის უწყებებში ამ საქმით სპეციალური საიდუმლო განყოფილებები იყვნენ დაკავებულნი. სატელეფონო მოსმენებთან ერთად თანდათან ვიდეო თვალთვალის ტექნიკაც დაინერგა, რაც „ობიექტის“ შესახებ გაცილებით უფრო სრულყოფილი და საინტერესო ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA) შესაბამისი სანქციების გარეშე ამერიკის მოქალაქეების ელექტრონული ფოსტების, სატელეფონო საუბრების, ფინანსური ოპერაციებისა და ინტერნეტ აქტივობების კონტროლის უფლება მისცა. საიდუმლო ოპერაციას stellar wind-ი ეწოდა. გაზეთ Washington post-ის ინფორმაციით. 2010 წლის შემდეგ stellar wind-ის აქტივობა ყოველდღიურად გაიზარდა.

NSA-ს მიერ ჩაწერილი სატელეფონო საუბრების და წაკითხული ელექტრონული შეტყობინებების რიცხვმა 1,7 მლრდ-ს მიაღწია.³

პირადი ცხოვრების უფლებას განამტკიცებს არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. საქართველო აღნიშნული საერთაშორისო აქტების ხელმომწერი ქვეყანაა და, შესაბამისად, მათ საქართველოში ოფიციალური მოქმედი ძალა აქვთ. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად, „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებელი შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.“

¹ მაიკო ოქრუაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბილისი, 2005, გვ. 10

² James, Fitzjames Stephen, Liberty, Equality, Fraternity 1st ed. 1873 p.40

³ <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/158764-rogor-khdeba-adamianebze-piradi-informaciis-farulad-shegroveba-specsamsakhurebis-mushaobis-methodebi.html>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

რა უნდა იყოს პირადი ცხოვრების ის სფერო, რომელიც აბსოლუტურად დაცულია სახელმწიფოს და ნებისმიერი პირის ჩარევისაგან? ევროპული სამართლისათვის ცნობილია ფრაზა: „პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო“, რომელიც იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში შემდეგნაირადაა განმარტებული: პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო, ემოციებისა და გრძნობების გამოხატვის შესაძლებლობა სახელმწიფო ზედამხედველობის გარეშე. ამით დაცულია ამგვარი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვის ფორმები, განსაკუთრებით ინტიმური დეტალები და ურთიერთობა ძალიან ახლოვებულ ადამიანებს შორის. პირადი ცხოვრება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება დაცულია, როგორც ნეგატიური (status negativus), ისე პოზიტიური (status positivus) თვალსაზრისით.

ნეგატიური თვალსაზრისით უფლების დაცვა გულისხმობს, რომ არავის, მათ შორის არც სახელმწიფოს, აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში და შელახოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ხოლო პოზიტიური თვალსაზრისით უფლების დაცვა გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლებას ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, შექმნას სათანადო გარანტიები სახელმწიფოში ადამიანის პირადი ცხოვრების მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან დასაცავად.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, დაცულია პერსონალური მონაცემები, რომელიც ასევე წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით.

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო თუ სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ადამიანის პირად სივრცეს უნებართვო ჩარევისა და გასაჯაროებისაგან. მე-20 მუხლი მოიცავს რამდენიმე სხვა ძირითად უფლებას:

ა) პირადი ცხოვრების უფლება:

პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელ კომპონენტებად განიხილავენ: მარტო დარჩენის უფლებას (The right to be alone); ადამიანის უფლებას, იყოს განცალკევებული. ადამიანის უფლებას იცხოვროს მისი მხრიდან ნებადაურთველი საზოგადოებრივი ჩარევის გარეშე ისეთ საკითხებში, რომელიც აუცილებლობით არ შეეხება საზოგადოებას.

პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს. უფლების დაცვის სტანდარტი სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროში ხდება ჩარევა. ინტიმურ სფეროში (იგი ადამიანის პიროვნების არსებითი და ცენტრალური ნაწილია, რომელიც დაცული და ხელშეუხებელია ჩარევისაგან. ასეთია ექიმის და პაციენტის ურთიერთობა; ადვოკატისთვის მიწოდებული ინფორმაცია; პირის სექსუალური ცხოვრება და ა.შ.), თუ კერძო სფეროში (ინტიმური ცხოვრების გარეთ არსებული პირადი ცხოვრება – შიდა ოჯახური ცხოვრება. აღნიშნული სფერო არ არის აბსოლუტურად დაცული. თვით ამ პიროვნების თანხმობით შესაძლებელია გავრცელდეს მასზე ინფორმაცია. რაც შეეხება საჯარო პირებს, მათი ცხოვრების კერძო სფერო ხელმისაწვდომია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის.) და სოციალურ და საჯარო სფეროებად (ინტიმურ და კერძო სფეროთა ფარგლებს გარეთ არსებული ინფორმაცია) მიიჩნევა.

ბ) საცხოვრებელი ბინის, სხვა მფლობელობის პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლება:

საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა მჭიდრო კავშირშია პირადი ცხოვრების უფლებასთან. კონსტიტუციის მე-20 მუხლით განსაზღვრული საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი ან საცხოვრებლად გამოსაყენებელი ნაგებობა, რომელიც საკუთრებაში მუდმივ ან დროებით მფლობელობაში, ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს. მაგ.: ბინა ან სახლი (მათ შორის დაქირავებული) აგარაკი, გადასაადგილებელი საცხოვრებელი ფურგონი, კარავი, სასტუმროს დროებით დაკავებული ნომერი, საცხოვრებლად განკუთვნილი იახტა და სხვა.¹

გ) პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობა, მიმოწერის თავისუფლება:

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია ნებისმიერი ფიზიკური პირი. პირადი ჩანაწერი არის ინდივიდის მიერ კალმით, ბეჭდური ფორმით ან ტექნიკური საშუალებით ჩაწერილი ინფორმაცია (მაგ. ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი), რომელიც განკუთვნილია პირის პირადი ან პროფესიული ცხოვრების სფეროს და არ არის გათვალისწინებული ხელისუფლების, მედიის ან ადამიანთა ფართო წრისათვის.

მიმოწერის ხელშეუხებლობის უფლებით დაცული არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მიმოწერა არის ორ ან მეტ პირს შორის დამყარებული კომუნიკაცია დახურული კონვერტით გაგზავნილი წერილის, ღია ბარათის, დეკემის, ბანდეროლის, პაკეტის და სხვა საფოსტო თუ არასაფოსტო გზავნილის საშუალებით.

დ) სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლება:

საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით არის ორ ან მეტ პირს შორის დამყარებული კომუნიკაცია ტელეფონის, რადიომიმღების ან ვერბალური კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ინტერნეტპროგრამების გამოყენებით. ხოლო ტექნიკური საშუალებით მიღებულ შეტყობინებაში იგულისხმება წერილობითი კომუნიკაცია ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელეგრამის, ელექტრონული ფოსტის, სხვა შესაბამისი ინტერნეტპროგრამების, პეიჯერის და სხვა ანალოგიური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნული უფლებით დაცული არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რაც ნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია მისი შეზღუდვა სხვა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

შეიძლება გამართლებულად იყოს მიჩნეული პირის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა, უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც საერთაშორისო აქტებში, ასევე საქართველოს კონსტიტუციაში ამომწურავადაა განსაზღვრული პირადი ცხოვრების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები.

პირად ცხოვრებაში, ისევე როგორც ადამიანის სხვა ძირითად უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი და თანაზომიერი. უფლებაში ჩარევა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ანუ უფლებაში ჩარევის გარეშე რეალური ზიანი მიადგება კანონიერ ინტერესს და უფლებაში ჩარევა ნამდვილად მოემსახურება არასასურველი შედეგის თავიდან აცილებას. უფლებაში ჩარევის თანაზომიერების დადგენა გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელი იყო დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად სწორედ იმ ხარისხით ჩარევა, რაც სახელმწიფომ განახორციელა.

პირადი ცხოვრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისათვის. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვის საფუძვლებს მიეკუთვნება: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები, უწყსრიგობისა ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით ჩარევა უნდა ხორციელდებოდეს კანონის შესაბამისად და აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებისათვის.

¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი. ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2012, 168.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და საქართველოს კანონში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ ვკითხულობთ, რომ ფარული საგამომიებო მოქმედება ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გათვალისწინებულია კანონმდებლობით და ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. არსებობს ფარული საგამომიებო მოქმედების სახეები ესენია:

ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; დ) ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, კინო და ფოტოგადაღება; ე) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

ფარული საგამომიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით, ან პროკურორის დადგენილებით. ერთ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ:

ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.

ბ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამომიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს;

გ) ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად – ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად – აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

დ) მოთხოვნილი ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია, ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

მეორე შემთხვევაში კი ფარული საგამომიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამომიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია, ფარული საგამომიებო მოქმედების დაწყებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ფარული საგამომიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა გაითვალისწინოს იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამომიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება მოსამართლის განჩინების გარეშე. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამომიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფარული საგამომიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი გაგრძელების შესახებ.

ბ) ფარული საგამომიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ვკითხულობთ, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი პირადი ცხოვრების შესახებ, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით. ასეთი ინფორმაციის შენახვა დაუშვებელია და იგი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კანონიერების დადგენისას მნიშვნელოვანია ასევე სუბიექტები, თუ ვის უფლებაში ხდება ჩარევა. მაგ.: ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია დიპლომატიური ფოსტის კონტროლი. ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებები (ფარული სატელეფონო მოსმენა, ვიდეო და აუდიო თვალთვალი და ა.შ.) დაუშვებელია სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტის ან იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ, თუ ამ მოქმედებათა შედეგად შეიძლება მოპოვებული იქნას ინფორმაცია მათი პროფესიული საიდუმლოების შესახებ.

თუმცა, დღეის მდგომარეობით ფარული სატელეფონო მოსმენისგან თუ ვიდეო და აუდიო თვალთვალისგან არავინ არ არის დაცული და საზოგადოებაში გაჩნდა შიშის გრძნობა, რომ მათ პირადი ცხოვრების, განსაკუთრებით კი ინტიმური ცხოვრების დეტალები ფართო მასებისთვის გახდება ცნობილი. ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მედია ხშირად ასაჯაროებს ადამიანების პირადი ცხოვრების დეტალებს. ამგვარი გასაჯაროების მიზანს ზოგიერთ შემთხვევაში მედიის მომხმარებელთა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და შესაბამისად, მედიასაშუალების რეიტინგის გაზრდა წარმოადგენს, ან საზოგადოებრივი ინტერესი დიდია იმ მოვლენის მიმართ, რომელსაც გარკვეული შემხებლობა აქვს პირის პირად ცხოვრებასთან. ჟურნალისტები ზოგიერთ შემთხვევაში „თავდაცვის იარაღად“ გამოხატვის თავისუფლებას იშველიებენ, რომელიც არ არის შეუზღუდავი უფლება. პირადი ცხოვრების უფლებასთან ან კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე გარემოებას, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია, თუ პირადი ცხოვრების რომელ სფეროში ხდება ჩარევა (კერძო, სოციალური თუ ინტიმური). მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებრივი ინტერესიც, რომელიც უკავშირდება პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საჯარო პირის ინტიმური ცხოვრების დეტალები ყველა შემთხვევაში ფართო მასებისთვის უნდა გახდეს ცნობილი.

და ბოლოს, მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება: პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონო მოპოვება, შენახვა ან გავრცელება; კერძო საუბრების უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება; პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ანდა ტელეგრაფით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების საიდუმლოების უკანონო დარღვევა, მაგრამ ყველა ამ დანაშაულის სანქცია მსუბუქი ხარისხისაა, რაც გულისხმობს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს, თავისუფლების შეზღუდვას, თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე, ჩემი აზრით, ზემოთ აღნიშნული ნორმების სანქციები გადახედვას და გამკაცრებას საჭიროებს, რადგან 21-ე საუკუნეში ტექნიკა განვითარდა იმდენად, რომ ყოველ ჩვენგანს დაუცველობის განცდა გვიჩნდება და გვაწუხებს კითხვა, ხომ არავინ გვისმენს სატელეფონო საუბრისას? ხომ არ ხორციელდება ვიზუალური თვალთვალი სახლში თუ გარეთ? ჩვენს შეტყობინებებს ხომ არავინ კითხულობს? და ა.შ. მოგეხსენებათ სოციალურმა ქსელმა facebook-მა, Twitter-მა, viber-მა, whats up-მა შეიძლება უფრო მეტი იცოდნენ ჩვენზე, ვიდრე ჩვენი ოჯახის წევრებმა. ასე რომ, საჭიროა დამატებითი რეგულაციები კანონში და სანქციების გამკაცრება, რათა არ ირღვეოდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. გაიმიჯნოს თუ პირადი ცხოვრების რა სფეროში ხდება ჩარევა: ინტიმურ, კერძო თუ სოციალურ სფეროებში. განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული ინტიმური სფერო, რადგან ასეთი დეტალების გამჟღავნება ყოველთვის იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, ხოლო ადამიანის ღირსება აბსოლუტური, შეუზღუდავი უფლებაა და არ შეიძლება დადგინდეს მისი ბალანსი სხვა უფლებებთან. მიუხედავად ამისა მიმაჩნია, რომ თუ სხვა საკითხებში, სახელმწიფო მოხელეს გააჩნია მომეტებული (ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში) თქმის ვალდებულება, ეს მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იქნეს პირადი ცხოვრების სფეროში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2016 წლის მდგ.;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2016 წლის მდგ.;
3. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2012;
4. ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, 1999, N1933-III;
5. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948;
6. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966;
7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950;
8. მ. ოქროაშვილი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბ., 2005;
9. <http://www.ambebi.ge/msoplio/159116-sauketheso-operacia-faruli-mosmenis-istoriashi-rogor-igebda-sabtcothadazverva-ashsh-is-elchis-kabinetshi-gamarthul-saubrebs-amerikis-prezidentze-adre.html>;
10. <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/158764-rogor-khdeba-adamianebeze-piradi-informaciis-farulad-shegroveba-specsamsakhurebis-mushaobis-methodebi.html>.

Sophiko Mariamidze
Guram Tavartkiladze Teaching University
Supervisor: Givi Lobzhanidze, Professor

**CONSTITUTIONAL AND LEGAL ASPECTS OF PRIVATE LIFE DATA PROTECTION
SUMMARY**

Rights for privacy is strengthened by a number of international legal acts, the most notable of which are: the UN Universal Declaration of Human Rights, the UN Covenant on Civil and Political Rights and the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. Georgia is among the signatory countries of these acts and therefore, they enjoy an official power in this country. Each of the content of these Act makes it clear that no one shall be subjected to arbitrary interference in family or personal life. It is impermissible to exercise this right by the public authorities to intervene except the cases when such interference is required by the law and conditioned by necessity of protecting democratic society, in the interests of national security, public safety or the economic welfare, the prevention of disorder or crime, for the reason of healthcare or morality, or the protection of rights and freedoms of others.

In the 21st century, in the age for technical evolution, their illegal usage results in a sense of insecurity and we are puzzled by the questions whether or not our phone conversations are tapped? Are we under visual observation, at home or outside? Does anyone read our messages? etc.

The paper aims to show how these issues are regulated by the legislation of Georgia. To what extent it allows the interference in private life, as well as what kind of penalties are imposed if any illegal interference in private and social areas takes place.

გურამ ტალახაძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ლევან დოლონაძე**, პროფესორი

მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვისას

მორალური ზიანის ინსტიტუტის რეგულირება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს სამოქალაქო სამართალში, ამასთან ქართული თანამედროვე კანონმდებლობა არ გვამდევს მორალური ზიანის ცნების განმარტებას, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში კი ვხვდებით მუხლებს, სადაც საუბარია არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შესახებ. ტერმინი "მორალური ზიანი" ზუსტად არ ასახავს აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსს და მიზანშეწონილია ის განიმარტოს როგორც "ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა", რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც პირმა განიცადა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, უნდა ანაზღაურდეს. ანაზღაურების შემთხვევები და პირობები დარეგულირებული უნდა იქნეს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, პირები ძირითადად პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მოითხოვენ. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სხვა ქვეყნების მსგავსად დაგროვილია დიდი გამოცდილება, მაგრამ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის რთული შინაარსი აქაც მნიშვნელოვნად იჩენს თავს.

არამატერიალური სიკეთე, პატივი პირის ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პირის მიმართ, ხოლო ღირსების ქვეშ იგულისხმება

პირის მიერ საკუთარი, მორალური თუ სხვა თვისებების თვითშეფასება. საქმიანი რეპუტაცია კი საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასებას გულისხმობს.¹

პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ძირითადი საფუძველია დიფამაცია, რაც პირის მიმართ შეურაცხყოფელი ცნობების გავრცელებას გულისხმობს. დიფამაცია გულისხმობს, როგორც მართალი ასევე მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ლახავს პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.²

დიფამაციის შესახებ კანონი შეიმუშავეს ინგლისში 1952 წელს და იგი მიმართული იყო პირის არაქონებრივი უფლებების დაცვის გაძლიერებისაკენ. ამ კანონის მიზანი იყო დაებლანსებინა პირის არაქონებრივი უფლებების დაცვა და სიტყვის თავისუფლება.

კანონის შესაბამისად პირს შეეძლო წარედგინა სარჩელი და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება შეურაცხყოფელი ინფორმაციის გავრცელების შედეგად თავისი სიცოცხლის განმავლობაში. აღნიშნული უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. სარჩელი კი დაკმაყოფილდებოდა იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე დაადასტურებდა, რომ: ა) ცნობები იქნა გავრცელებული; ბ) ცნობები ეხებოდა დაზარალებულს; გ) გავრცელებული ცნობები იყო შეურაცხყოფელი;

ინგლისელი მოსამართლეები იმისათვის, რომ ჩათვალონ არის თუ არა გავრცელებული ინფორმაცია შეურაცხყოფელი, იყენებენ შემდეგ მიდგომას, შეურაცხყოფდა თუ არა გავრცელებული ინფორმაცია ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს.

მიუხედავად იმისა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი რთული შინაარსისაა, პირს, რომელმაც განიცადა ფსიქიკური ზიანი, უნდა აუნაზღაურდეს ის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის ოთხ სავალდებულო საფუძველს განსაზღვრავს: 1) უნდა არსებობდეს თვით მორალური ზიანი; 2) სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა; 3) უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; 4) უნდა არსებობდეს ზიანის მიმყენებლის ბრალი.

მორალური ზიანის არსებობაში იგულისხმება ნეგატიური განცდები პირის ფსიქიკის სფეროში, რომელიც გამოიხატება მის მიერ განცდილ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვაში. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა დაადგინოს მოსარჩელის მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის არსებობა.

მორალური ზიანის არსებობის დადასტურებისას უნდა მოქმედებდეს ზიანის არსებობის პრეზუმფციის პრინციპი და, თუ სახეზეა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, უნდა ივარაუდებოდეს, რომ დაზარალებულმა განიცადა მორალური ზიანი, სანამ მოპასუხე საწინააღმდეგოს არ დაადასტურებს.³

სასამართლოები ფაქტობრივად იყენებენ აღნიშნულ პრინციპს, როდესაც დაადგენენ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტს, ვარაუდობენ მორალური ზიანის არსებობასაც და განიხილავენ ზიანის ანაზღაურების ოდენობის საკითხს. თუმცა ასეთი მიდგომა პირდაპირ არ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან და, ხშირ შემთხვევებში, სასამართლო ნიშნავს ექსპერტიზას მორალური ზიანის ფაქტის არსებობის დასადასტურებლად.

საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის პატივსა და ღირსებას. ძირითადი კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი პირს ამ უფლებათა ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. დასახელებულ არაქონებრივ ფასეულობებს მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფის ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები, როგორცაა ცემა, წამება, გაუპატიურება, ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, განზრახ უკანონო დაკავება/დაპატიმრება, თვითმკვლელობამდე მიყვანა, პატივის და ღირსების სისტემატური დამცირება და სხვა.

პირს სასამართლოს მეშვეობით შეუძლია მოითხოვოს მისი პატივის ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს. პირს შეუძლია ასეთი უფლება გამოიყენოს შეურაცხყოფელი ცნობების გავრცელების საშუალებების

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 1999, გვ. 60.

² კილასონია ნათია. დიფამაცია // აღმანახი №12, [სისხლის სამართალი],– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 1999. (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=834>)

³ ლ. დოლონაძე - მორალური ზიანის ანაზღაურება. დისერტაცია, 2010წ. გვ. 150.

მიუხედავად და არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა.¹

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებითვე უნდა იქნენ უარყოფილი, ხოლო თუ მითითებული ცნობები გამოქვეყნდა ორგანიზაციიდან ამა თუ იმ დოკუმენტში, დოკუმენტი შეცვლას ან უკან გამოხმობას ექვემდებარება და ამის შესახებ უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირს.

პირის მიმართ შეურაცხყოფელი ცნობების გავრცელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები სრულად რეგულირდებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, თუმცა 2004 წლის 24 ივნისის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელმაც რიგი საკითხები ახლებურად დაარეგულირა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად ცილისწამებასთან დაკავშირებით, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონმა შემოიტანა საჯარო და კერძო პირის ცნება და დაადგინა განსხვავებული წესი ამ პირთა ცილისწამებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის. კერძო პირის ცილისწამების დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.²

საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და გავრცელებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი. ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება.³

აღნიშნული მიდგომა პირდაპირ განამტკიცებს წესს, რომ პოლიტიკოსს და საჯარო პირს ეკისრება კრიტიკის თემის უფრო მეტი ვალდებულება ვიდრე კერძო პირს.

აღნიშნული მიდგომა დადგენილი იყო ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით და მსგავს წესს იყენებენ ასევე საქართველოს საერთო სასამართლოებიც.

საქმეში „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, როდესაც იგი პოლიტიკოსს ეხება, ვიდრე სხვა კერძო პირს: მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკოსს მისი თითოეული ქმედება თუ სიტყვა გააზრებულად გამოაქვს სააშკარაოზე, ჟურნალისტებისა თუ საზოგადოების სამსჯავროდ. შესაბამისად მას უფრო მეტი ამტანობაც მართებს“.

მსგავსი განმარტება გააკეთა სასამართლომ საქმეში „კასტელი ესპანეთის წინააღმდეგ“, სადაც აღნიშნა, რომ მთავრობასთან დაკავშირებით დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა ჩვეულებრივ მოქალაქესთან თუ პოლიტიკოსთან შედარებით.⁴

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2003 წლის 30 ივლისის N33-423-03 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „პოლიტიკური დისკუსიების თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების გულს. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირთა კრიტიკის ფარგლები ფართოა, ვიდრე კერძო პირთა. პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის გარდაუვალია და ამგვარი თანამდებობის დაკავება თავისთავად ნიშნავს, რომ მისი ყოველი მოქმედება და სიტყვა იქნება დაჟინებული ანალიზისა და კრიტიკის ობიექტი. შესაბამისად პოლიტიკოსმა უნდა გამოავლინოს მოთმინების მაღალი დონე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კრიტიკა. სახელმწიფო მოხელეებმა დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ“.

ის გარემოება, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და მე-13 მუხლებით დადგენილია წესი, რომ პოლიტიკოსს და საჯარო პირს ეკისრება კრიტიკის თემის უფრო მეტი ვალდებულება, ვიდრე კერძო პირს. ეს უნდა ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით აღნიშნული მუხლით დადგენილ მტკიცების ტვირთზე.

ზემოთ ხსენებული კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად მტკიცების ტვირთი შემდეგნაირად იყო გადანაწილებული, ცნობების

¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის N2/8028-06 გადაწყვეტილება.

² სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-13 მუხლი.

³ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-14 მუხლი.

⁴ „სიტყვის თავისუფლება“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2002, გვ. 18.

გამავრცელებელი ვალდებული იყო დაემტკიცებინა მის მიერ გავრცელებული შეურაცხმყოფელი ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონმა მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზე გადმოიტანა და ახლა ის არის ვალდებული დაადასტუროს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული შეურაცხმყოფელი ცნობები სიცრუეა. ამასთან კანონში პირდაპირ გაკეთდა მითითება, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მორალური ზიანის არსებობის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ცილისწამების მიმართ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლისაგან განსხვავებულ მტკიცებულებათა სტანდარტს.¹

ვფიქრობთ, მტკიცების ტვირთის ასე გადანაწილება არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას, რადგან ეს წააგავს იმ ფაქტს, რომ ადამიანმა თავად ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. გასაგებია, რომ ასეთი მიდგომა სიტყვის თავისუფლების დასაცავადაა გამოყენებული, თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული ზედმეტია და იწვევს სხვა პირთა პატივის და ღირსების დაცვის შეუძლებლობას.

როდესაც პირს ბრალს სდებენ კანონის დარღვევაში, რა სახის მტკიცებულებები უნდა მოიტანოს მან? ცნობა, რომ არ არის სისხლის სამართლებრივი წარმოება მის წინააღმდეგ? ან თუ ბრალს სდებენ ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში, მაგალითად, ქალს მსუბუქ ყოფაქცევაში მან მამაკაცები უნდა მოიყვანოს მოწმედ, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად მასთან არ ჰქონიათ არავითარი კავშირი? თუ გავანალიზებთ მტკიცების ტვირთის ასეთი გადანაწილების შემდეგ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს მივხვდებით, რომ მოსარჩელეს არავითარი შანსი არ აქვს პროცესის მოსაგებად.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

ვფიქრობთ, გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე დაკისრება და ბრალულობის პრეზუმფციის არსებობა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში არ შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და არ დაირღვევა ბალანსი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

როგორც შალვა ჩიკვაშვილი აღნიშნავს, არ დაიშვება ისეთი ცნობის უარყოფის მოთხოვნა, რომელიც აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განაჩენებში, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოთა დადგენილებების და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელთა გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილია სხვა წესი.²

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს გარემოება, რომ გავრცელებული შეურაცხმყოფელი ცნობები მიმართული იყოს მოსარჩელისაკენ. როდესაც შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელების დროს პირდაპირ არის მოხსენებული პირის სახელი, დაზარალებული თავისუფლდება იმის მტკიცებისაგან, რომ ცნობები პირადად მას შეეხებოდა და არა სხვა ვინმეს, იმ შემთხვევაში, როდესაც გავრცელებულ ცნობებში პირდაპირ არ არის მითითებული მოსარჩელის სახელი. სარჩელის ავტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეურაცხმყოფელი ცნობები მიმართული იყო მისკენ.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. ტერმინი ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ აუცილებელია პირის სახელის, გვარის ან ფოტოსურათის მითითება.

ვფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ საერთაშორისო პრაქტიკა და ინფორმაციის გავრცელებად არ უნდა ჩაითვალოს, როდესაც პირზე არსებულ ინფორმაციას ერთი მეუღლე აცნობებს მეორეს.

რუსეთის და უკრაინის სასამართლო პრაქტიკა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად არ თვლის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაკეთებულ შეტყობინებას კანონის დარღვევის თაობაზე, თუ სახეზე არ არის განზრახ არასწორი შეტყობინება. მსგავსი მიდგომა შეინიშნება საქართველოშიც.

მეტად დემოკრატიული და მისაღებია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესი, რომლის შესაბამისად

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის Nას-810-1129-07 გადაწყვეტილება.

² შალვა ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის. გვ.151

ცილისწამების თაობაზე დავა არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

დასკვნა

1. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შესწავლის შემდეგ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება თუ სამართლის ყველა ნორმატიულ აქტში მოხდება იდენტური ტერმინის დამკვიდრება. იმისათვის, რომ პირს კანონის წაკითხვისას შეექმნას წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს, რა შინაარსს ატარებს და რა ურთიერთობებს არეგულირებს ეს ინსტიტუტი და არ დასჭირდეს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების წაკითხვა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ არაქონებრივი ზიანი კანონით განმარტოს როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.
2. ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის მტკიცების დროს, ჩვენი აზრით, გამოყენებული უნდა იქნეს მორალური ზიანის არსებობის პრეზუმფცია კერძოდ, როდესაც სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, უნდა ივარაუდებოდეს, ზიანის არსებობის ფაქტი, სანამ მოპასუხე საწინააღმდეგოს არ დაადასტურებს. აღნიშნული მიდგომა გაამარტივებს მოსარჩელის პოზიციას და ამასთანავე მოპასუხეს შეუძლია უარყოს ასეთი ვარაუდი და დაადასტუროს საწინააღმდეგო. ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში რომ არ მოვიდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიზანშეწონილი იქნება თუ კანონმდებლობაში მოხდება პირდაპირი მითითება, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის არარსებობასთან დაკავშირებით ეკისრება მოპასუხეს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ვფიქრობთ, გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე დაკისრება და ბრალეულობის პრეზუმფციის არსებობა "სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში არ შეზღუდავს სიტყვის თავისუფლებას და არ დაირღვევა გამოხატვის თავისუფლებასა და პირის რეპუტაციას, როგორც დაპირისპირებულ ფასეულობებს შორის ბალანსი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი, თბ., 1999;
5. შ. ჩიკვაშვილი - პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, 2003;
6. ლ. დოღონაძე - მორალური ზიანის ანაზღაურება, დისერტაცია, 2010;
7. „სიტყვის თავისუფლება“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2002.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის N2/8028-06 გადაწყვეტილება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის Nას-810-1129-07 გადაწყვეტილება.

Guram Talakhadze

*Guram Tavartkiladze Teaching University
Supervisor: Levon Doghonadze, Professor*

THE REIMBURSEMENT OF MORAL DAMAGES CAUSED TO HONOR, DIGNITY AND BUSINESS REPUTATION SUMMARY

In difference from material damage, the institution for reimbursement of non-property (moral) damage is a very complex legal institution, As far as it is difficult to prove its occurrence and to precisely assess the damages incurred. The topicality of the theme is conditioned with the redundancy of the disputes in legal sphere on the reimbursement of moral damages caused to honor, dignity and business standing as well as with complexity of maintaining the balance between the freedom of expression and protection of other entity rights. The author uses the comparative method of research. The paper analyses the legislations and court practice of the developed countries, discusses the decisions made

by the common courts of Georgia. The paper deals with the concept of moral damage, reimbursement of moral damage caused as a result of the defamation, infringement of honor, dignity and business standing. Closing part of the paper includes the recommendations on the concept of moral damage, presumption of presence of non-property damage, and apportionment of the burdens in similar disputes.

თამარ ხატიაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: ნაირა ბერია, ფილოსოფიის დოქტორი

კამათის ხელოვნება

ადამიანთა ინტელექტუალური ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა კამათი ანუ პოლემიკა. ის არის ადამიანთა ურთიერთობის სახე, რომელიც მიმდინარეობს ინტელექტუალური პაექრობის სახით და რომლის ყოველი მონაწილე, როდესაც იგი კამათში ებმება, მიზნად ისახავს: ა) დაარწმუნოს პაექრობის სხვა მონაწილენი მის მიერ წამოყენებული დებულებების ჭეშმარიტებაში და ბ) უარი ათქმევინოს (გადაარწმუნოს) მათ მიერ წამოყენებულ დებულებათა ჭეშმარიტებაზე, თუკი ეს დებულებები, მისი აზრით, უპირისპირდება მის საკუთარ თვალსაზრისს.

კამათის თეორიის, მისი ლოგიკური ასპექტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კამათში შეიძლება ჩავეხატო ცხოვრების თითქმის ნებისმიერ საკითხზე. დავა მეზობლებს ან პოლიტიკურ ძალებს (პარტიებს) შორის, საპარლამენტო დებატები, მოლაპარაკება, სამეცნიერო დისკუსია, სასამართლო პროცესი, ექიმთა კონსილიუმი კამათის ტიპური ნიმუშებია. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი ტექნიკური საშუალება (რადიო, პრესა, ტელევიზია, ფილმები, რეკლამა და ა.შ.), რომელთა გამოყენებითაც ადამიანებს არწმუნებენ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებების, შეფასებებისა და თვალსაზრისების სამართლიანობაში. ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი, გაარჩიოს გონიერი, რაციონალური განსჯა მის ფსიქიკაზე უსინდისო ზემოქმედებისაგან, უნარი, მიიღოს შემოთავაზებული დასაბუთება, ან წინ აღუდგეს მას, დაარღვიოს ის. ამისათვის აუცილებელია კამათში დასაბუთებისა და უკუდებების გამოყენების, კამათის წარმართვის ელემენტარული წესების ცოდნა.

კამათი (პოლემიკა) არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების - საკუთარი აზრის გამოთქმისა და დაცვის უფლების - ერთ-ერთი რეალიზაცია. უფრო მეტიც, დიალოგში, საუბარში, რომლის კერძო სახესაც წარმოადგენს კამათი, ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი სახე. საზოგადოებრივ ძალებს შორის პოლემიკის უსაფრთხოების გარანტიები დემოკრატიის საყრდენია საზოგადოებაში.

კამათი რამდენიმე ადამიანის ერთობლივი ბჭობაა, უფრო ზუსტად, ბჭობათა სასრული მიმდევრობაა, რომლებითაც კამათის სხვადასხვა მონაწილეები მიმართავენ ერთმანეთს: ისინი რიგრიგობით, შესაძლებელია არა ერთხელ და ორჯერ, ლაპარაკობენ, გამოდიან სიტყვით; სიტყვით გამოსვლისას აყალიბებენ თეზისს, იცავენ მას, ე.ი. ცდილობენ დასაბუთონ ის, „თავს ესხმიან“ მოწინააღმდეგეს და აკრიტიკებენ მის მიერ წარმოებულ არგუმენტაციას, ცდილობენ უკუაგდონ მის მიერ წამოყენებული დებულება, მოწინააღმდეგეს მიმართავენ კითხვებით, მოითხოვენ რომელიმე დებულების, ან მისი ნაწილების დასაბუთებას.

ზემონათქვამიდან ჩანს, რომ სტრუქტურულად პოლემიკა დასაბუთებას გავს. კამათის შემადგენელი ნაწილებია: კამათის საგანი, ანუ თემა - ესაა თეზისების ერთობლიობა, რომელთა დაცვასაც ცდილობენ კამათის მონაწილენი, არგუმენტები (წინამძღვრები, საბუთები), რომლებსაც ისინი წარმოადგენენ თეზისების დასაბუთებლად, ბჭობა, განსჯა, რომლის მეშვეობითაც მათ საკუთარი თეზისები გამოჰყავთ არგუმენტებიდან. დასაბუთებისაგან განსხვავებით კამათს კიდევ ერთი კომპონენტი აქვს, ესაა, კამათის მონაწილენი, მოპაექრენი. დასაბუთება-დამტკიცებაში ადამიანი არ ჩანს, მეცნიერული

თეორიის ფარგლებში დასაბუთებას სუბიექტის კვალი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ემჩნეოდეს, კამათის სიტუაცია კი შეუძლებელია შეიქმნას მოწინააღმდეგეთა გარეშე.

კამათში ჩაბმის მოტივების მიხედვით შეიძლება გამოიყოს კამათის (პოლემიკის) სამი ტიპი: თეორიული პოლემიკა, მისი მიზანია რაიმე საკითხზე ჭეშმარიტების დადგენა, პრაქტიკული პოლემიკა, რომელიც მიზნად ისახავს სამოქმედო გადაწყვეტილების მიღებას ან მოქმედების შეფასებას და კამათი-შეჯიბრი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგეზე გამარჯვება, მისი ძლევა, თუნდაც მოჩვენებითი, სხვა ადამიანების თვალში. პირველ ორს დიალექტიკური კამათი ეწოდება, მესამეს - ერისტიკული. დიალექტიკა არის კამათის (ან უფრო ზოგადად დიალოგის) წარმართვის ოსტატობა და მოძღვრება მის შესახებ (ესაა სიტყვა „დიალექტიკის“ თავდაპირველი მნიშვნელობა). ერისტიკაც ანალოგიური დისციპლინაა, ოღონდაც მისი ობიექტი შეჯიბრი-პოლემიკა, ყველა საშუალებით კამათში მოწინააღმდეგის დამარცხების ხელოვნებაა. ორივე ეს დისციპლინა შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ძველ საბერძნეთში. ამის საფუძველი იყო ის უდიდესი როლი, რასაც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში საჯარო პოლემიკა და დისკუსიები თამაშობდა.

პოლემიკის უმაღლესი სახეა დისკუსია - თემატურად მკაფიო და ფორმით კორექტული ურთიერთგაცვლა იდეებისა რაიმე საკითხის ერთობლივი ძალებით გადაჭრის მიზნით. თუ კამათი მიმდინარეობს ზნეობრივი ნორმების დარღვევით, მოწინააღმდეგეთა დასარწმუნებლად არარაციონალური, ლოგიკურად გაუმართავი საშუალებების მოშველიებით, ის (სიტყვიერი) ჩხუბი, ცილობაა. კამათს, რომელსაც არ გააჩნია ერთიანი თემატიკა (როგორც წესი, ასეთი რამ ისევ ერისტიკულ კამათში ხდება), ძველი ბერძნები ლოგომახიას უწოდებდნენ.

კამათი რომ ჩხუბში, ლოგომახიაში ან დოგმატურ მონოლოგში არ გადაიზარდოს, საჭიროა დავიცვათ რამდენიმე მარტივი მცნება, რომლებიც ხელს უწყობენ კამათის ზნეობრივად ჯანსაღი და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული კალაპოტით წარმართვას:

- პატივი ეცი ოპონენტს! პირადი ურთიერთობა მასთან, შენი აზრი მის შესახებ არ არის არგუმენტი მისი თვალსაზრისის დასარღვევად, მას ისევე აინტერესებს საკამათო საკითხების გადაწყვეტა, როგორც შენ (ზნეობრივი ტოლერანტობის მოთხოვნა);

- ოპონენტის აზრი არ მიიჩნია მიუღებლად, თუკი არა გაქვს საამისო არგუმენტები! არავითარი აზრი არ შეიძლება იყოს მცდარი მხოლოდ იმის გამო, რომ მას არ იზიარებ შენ (გნოსეოლოგიური ტოლერანტობის მოთხოვნა);

- არ გამოიყენო არავითარი იარაღი გარდა კამათის თემასთან დაკავშირებული ცოდნისა და განსჯისა და წარმოსახვის უნარისა! (კამათის რაციონალურობის მოთხოვნა);

- მოთოკე ემოციები! პოლემიკა მეტოქეთა პაექრობაა და მაშინაც კი, როდესაც ის მხოლოდ ჭეშმარიტების მოპოვებას ისახავს მიზნად, შეუძლებელია გრძნობებისაგან სრული გათავისუფლება - მარჯვედ მოძებნილი არგუმენტი სიხარულის წყაროა, ხოლო მოწინააღმდეგის მიერ მხილებული შეცდომა იწვევს უნებლიე გულისტკივილს, მაგრამ ამ გრძნობებს გასაქანი არ უნდა მივცეთ. აღელვებული მოკამათე სუსტი მოკამათეა, იგი არგუმენტების ნაცვლად ლოზუნგებს ისვრის, ყვირის, ყვირილი კი მის დებულებებს არ დასაბუთებს (ემოციური ზომიერების მოთხოვნა);

ზოგადად კამათის მიზანია არა მხოლოდ დებულების დასაბუთება, არამედ გარკვეული დასაბუთების მეშვეობით დარწმუნებაც. არგუმენტებისა და არგუმენტებით თეზისის ლოგიკური დაფუძნების გარდა მნიშვნელობას იძენს აგრეთვე კამათის წარმართვის ხერხები, რომლებიც ადამიანს ეხმარება საკუთარი პოზიციის ძლიერი და მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების წარმოსაჩენად.

განვიხილოთ კამათის წარმართვის რამდენიმე ხერხი. მაგალითად:

1. დასაბუთების ტვირთი. როდესაც ორი მხარე კამათობს, ის მხარე, რომელიც ვალდებულია დაასაბუთოს რაიმე დებულება უარეს მდგომარეობაშია მეორესთან შედარებით, რადგან მეორე მხარე მხოლოდ შემმოწმებლის როლს ასრულებს. ბრალმდებელისა და ბრალდებულის „დავაში“ დასაბუთების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს და ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, თუკი ვერ დაასაბუთებენ მის ბრალს. აქედან გამომდინარე, მოკამათისათვის სასარგებლოა ისე წარმართოს კამათი, რომ დასაბუთების ტვირთი მის მოწინააღმდეგეს დაეკისროს.

2. იმანენტური კრიტიკა ანუ დასაბუთება „იქიდან, რასაც მოწინააღმდეგე ეთანხმება“. სოკრატე როგორც პოლემიკის დიდოსტატი მარჯვედ იყენებდა ამ ხერხს. ის მოწინააღმდეგეს ჯერ შეუთანხმდებოდა საწყის დებულებებში, შემდეგ კი ნაბიჯ-ნაბიჯ გამოჰყავდა შედეგი.

იგი ამ მეთოდს ბებია-ქალის ხელოვნებას ადარებდა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს მეთოდი მოკამათეს ეხმარებოდა ჭეშმარიტი აზრის დაბადებაში, როგორც ბებიაქალი ეხმარება მშობიარეს შვილის შობაში.

გარდა კამათის წარმართვის ხერხებისა, არსებობს ფსიქოლოგიური ხრიკები, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა შესაძლოა იცის. თუ გვსურს გავიმარჯვოთ კამათში, უნდა მივმართოთ ყველანაირ ხერხს. მაგ.: გამოვიყენოთ უცნაური სიტყვები და ტერმინები. ეს მეთოდი პატივმოყვარე ადამიანთან კამათისას დაგვეხმარება. ამ შემთხვევაში ნაკლები ალბათობა იქნება იმისა, რომ გვკითხონ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა. უმეტეს შემთხვევაში ოპონენტი ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს გაიგო ყველა დეტალი ჩვენი საუბრისა.

კამათის დროს სასურველი იქნება თუ გამოვიყენებთ კონტრშეკითხვებს, როდესაც მოწინააღმდეგე თემას თავს აარიდებს. უნდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და დავაბნოთ იგი, თუნდაც მოულოდნელობის ეფექტით შევეცადოთ სწრაფად ვილაპარაკოთ, რათა თანამოსაუბრეს შევუქმნათ დისკომფორტი. მის ტვინს შევუშალოთ ხელი ინფორმაციის სწრაფად აღქმაში. თუკი ოპონენტს ხშირად დავუსვამთ შეკითხვას, გგონია, გატყუებ? ამ შემთხვევაში მისი აზრების წაკითხვა უფრო მარტივი გახდება. კიდევ ერთი ნაცნობი ხრიკი გახლავთ გამეორება. მისი მთავარი აზრიც მოწინააღმდეგის დაბნევაში მდგომარეობს. თუკი სხვადასხვა სიტყვებით გავიმეორებთ ერთი და იგივე წინადადებას, ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი მოწინააღმდეგისათვის ნაცნობი გახდება და იგი მის უარყოფას ნაკლებად შეეცდება.

ახლა კი შევეხები ჩემთვის საყვარელ და ნაცნობ ხერხს - ირონიას. როდესაც შევამჩნევთ, რომ კამათი იღებს ჩვენთვის არახელსაყრელ ფორმას, მივმართავთ ირონიას. ამით თავს ავარიდებთ პრობლემას, რადგან მოწინააღმდეგეს ერთდროულად დავაბნევთ და გავაღიზიანებთ კიდევაც.

დაპირისპირებას შეიძლება წავაწყდეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, კამათი შეიძლება წარმოშვას ნებისმიერმა თემამ. მართალია, ჭეშმარიტება იბადება კამათში, მაგრამ ხანდახან დგება დრო, როდესაც ზოგიერთ ადამიანთან დავა ცხოვრების სტილად გვექცევა. ამასთან საბრძოლველად საჭიროა მივმართოთ გარკვეულ მეთოდებს. პირველ რიგში აუცილებელია ვიყოთ თავდაჯერებულნი, აუცილებელია დავადგინოთ კამათის მიზეზი. რათა დავრწმუნდეთ, რომ ადგილი არ აქვს აგრესიას და ძალადობას. სწორი მიზეზების აღმოჩენა დაგვეხმარება პრობლემის მოგვარებაში, სწორ დასკვნამდე მისვლაში.

კამათისას სასურველია მოვიქცეთ როგორც ზრდასრული პიროვნება, უნდა გავაჩნდეს მოსმენის უნარი. დავანახოთ ოპონენტს, რომ მისი არგუმენტები ჩვენთვის საინტერესოა. თუკი თავს წარმოვიდგენთ მოწინააღმდეგის ადგილას, ამით უფრო მეტად შევძლებთ მის გაგებას.

კამათის დროს მოწინააღმდეგის გაღიზიანების უებარი საშუალება სიდინჯეა, რასაც ოპონენტი წონასწორობიდან გამოჰყავს. თუკი კამათის დასრულებამდე შევინარჩუნებთ სიმშვიდეს, გამარჯვებულის თუ არა ღირსეული მოწინააღმდეგის სახელი მაინც შეგვრჩება.

კამათისას ქცევის წესების დაცვას არანაკლები მნიშვნელობა აქვს. თუკი არ ვცემთ პატივს ერთმანეთს, უდიერად მივმართავთ, მაშინ ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არა აქვს. უნდა გვახსოვდეს, თუ თქვენ კამათისას საწინააღმდეგოს ამტკიცებთ, შეიძლება გავიმარჯვოთ კიდევ. ასეთ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალია: „იყავი მასზე ჭკვიანი ისე, რომ არ აგრძნობინო ამის შესახებ“. ეს არის ყველაზე დიდი სიბრძნე. გახსოვდეთ, ბრძენი ადამიანი არ კამათობს!

სოკრატე ადამიანის დასაყოლიებლად ისეთ შეკითხვებს სვამდა, რომ მოსაუბრე იძულებული გაეხადა დადებითი პასუხი გაეცა. ხშირად შევსწრებივარ კამათს, რომელიც იწყება შეტევით, აგრესიით, როგორც იტყვიან „ყველაზე კარგი თავდაცვა თავდასხმაა.“ თავდასხმის ხერხი მხოლოდ ძალზედ ჭკვიან ადამიანს შეიძლება გამოადგეს. ჩვენთვისვე უკეთესი იქნება, თუ საუბარს დავიწყებთ მეგობრული ტონით. მივცემთ მოწინააღმდეგეს საშუალებას წარმართოს კამათი, მეტი ისაუბროს. ამით ის უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს, რაშიც მოგებულის მაინც ჩვენ დავრჩებით.

სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი მასულმდგმულბელი ძალა კამათია. ვკამათობთ ყველაფერზე და ყველასთან, მიუხედავად იმისა, რამდენად უკეთ ვერკვევით სხვასთან შედარებით სადავო საკითხებზე. სამწუხარო ფაქტია, რომ ადამიანისთვის საკუთარი თავი ყველაზე ძვირფასია მთელს სამყაროში და მისი აზრი ჭეშმარიტების ტოლფასია. თუკი მივალწევთ გარკვეულ დონეს და დამთმობი ვიქნებით, ორივე მხარე მოგებულის დარჩება.

და ბოლოს, თუკი მაინც გვკლავს სურვილი უზრალო საკითხი გადავაქციოთ კამათის საგნად, თუმცა არ ვართ დარწმუნებული ჩვენი დებულებების სისწორეში, და ამავე დროს საკუთარ თავმოყვარეობას მედგრად ვიცავთ და ჩვენივე აზრზე ვრჩებით, მაშინ ნამდვილად არ გვაწყენდა კამათის ხერხების ცოდნა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე კ., ლოგიკა, რჩეული ფილოსოფიური თხზულებები, ტ. II, მეცნიერება, თბ., 1981.
2. მჭედლიშვილი ლ., ივანიძე ნ., ლოგიკა, თბ., 2003.

3. www.logos.ge
4. www.wikipedia.org
5. www.4Brain.ru

Tamar Khatiashvili
Tbilisi Teaching University
Supervisor: **Naira Beria**, *Doctor of Philosophy*
ART OF DEBATE
SUMMARY

The paper “Art of debate” aims at not only make the necessity of efficient judgment and gaining knowledge relevant, but convince others in reliability and authenticity of cognition results. The process of making judgment not only has cognitive function, which appears in a complete form, within a theory in science, but it also has a communicative function. A communicative function of argumentation outside the scope of science is revealed during a human intellectual intercourse, this is the way to make other people sure in authenticity and correctness of your opinion.

ჰუმანიტარული მეცნიერებები
Humanities

თამთა თავართქილაძე
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ნოდარ ხონელიძე**, პროფესორი

ჩინეთი, როგორც 21-ე საუკუნის შესაძლო წამყვანი სახელმწიფო
საერთაშორისო ურთიერთობებში

შესავალი

ეკუთვნის თუ არა XXI საუკუნე ჩინეთს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პოლიტიკურ კულუარებში არაერთი დებატი გამართულა და დღემდე დაუსრულებლად გრძელდება.

მიუხედავად შთამბეჭქდავი ეკონომიკური ნახტომისა, ქვეყანა განვითარებად ქვეყანად რჩება. ამასთანავე, როგორც ჩანს, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის გარდატეხის პროცესი არ იქნება ხანმოკლე. ჩინელი პოლიტიკოსების ყურადღება ძირითადად საშინაო პოლიტიკაზეა მიმართული და „გარესამყარო აინტერესებს იმდენად რამდენადაც ის მას შიდაპოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაში ეხმარება“.¹

დღეს ჩინეთის საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გამოვლინებად რჩება. მეცნიერებს აინტერესებთ ჩინეთის ტრანსფორმაციის პირობებში შეიცვლება თუ არა ღრმად გამჯდარი კონსერვატიზმი ქვეყნის შიგნით და რამდენად გამოიმუშავებს იგი მსგავსი პოლიტიკით ზესახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ინსტიტუტებს. ამკარაა, რომ ჩინეთის საგარეო პოლიტიკური ჰორიზონტი არ არის ფართო, პეკინის დიპლომატია ძალიან ფრთხილია და ნებისმიერ რისკს

¹ჩინეთის „მუდმივიგადატვირთვა“ - <http://www.tabula.ge/>

მაქსიმალურად არიდებს თავს. თუმცა ერთი ცხადია, ჩინეთი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს გეოპოლიტიკური კონკურენციისა და ზესახელმწიფოების ძალთა ბალანსის გადმოსახედიდან უყურებს.

ჩინეთის ცივილიზაციის როლი ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში

ჩინური პოლიტიკური და ეკონომიკური ძალის შეფასებისას პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები გვერდს ვერ აუვლიან ჩინეთის უძველესი ცივილიზაციის გავლენას და მნიშვნელობას ამ ქვეყნის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. საკმარისია იმოგზაუროთ ჩინეთის ნებისმიერ ქალაქში და მიხვდებით, რომ დღემდე ყველა დეტალში ნათლად ჩანს უძველესი ტრადიციების სიძლიერე. ჩინური ცივილიზაციის მახასიათებლების ცოდნა გვეხმარება ავხსნათ მათი დამოკიდებულება ომზე, მშვიდობაზე, საერთაშორისო წესრიგსა და სხვა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად მახასიათებლებზე. როგორც ბატონი ჰენრი კისინჯერი ამბობს, ჩინეთის განსაკუთრებულობა მის კულტურაშია.

ჩინურ ცივილიზაციას ზოგიერთი მკვლევარი „მეგაცივილიზაციასაც“ უწოდებს, რომელიც წერილობით დოკუმენტებზე დაყრდნობით 3500 წლის წინ იწყება. ჩინელი ხალხი საკუთარ ქვეყანას აღიქვამს არა როგორც ერთ-სახელმწიფო, არამედ მუდმივი ფენომენი, აი მთავარი მახასიათებელი ჩინური ცივილიზაციისა - მას არ აქვს დასაწყისი (ლეგენდა ყვითელ იმპერატორზე).

ჩინურ იეროგლიფებს, რომლებიც შეიქმნა შანგის დინასტიის დროს ჩვ.წ. მეორე ათასწლეულში, დღემდე იყენებს მილიონობით ადამიანი. თანამედროვე ჩინური ლიტერატურა მდიდარია საუკუნოვანი აფორიზმებით.

ჩინეთს ისტორია ხასიათდება არაერთი ომის პერიოდით, უმეფობის ხანითა და ქაოსით, თუმცა თითოეული კოლაფსის შემდგომ თითქოს ბუნების რაღაც კანონზომიერების შედეგად აღდგა. [Kissinger, 2011 :29] ყოველ ახალ ეტაპზე ჩნდებოდა გმირი, რომელიც იმორჩილებდა კონკურენტებს და აერთიანებდა ჩინეთს (ყვითელი იმპერატორი, სამი სამეფოს რომანი).

მეთოთხმეტე საუკუნის ეპიკური რომანები ზუსტად გადმოგვცემენ ჩინეთის ისტორიის ხასიათს: „ხანგრძლივად გაყოფილი იმპერია უნდა გაერთიანდეს, ხანგრძლივად ერთიანი უნდა დაიშალოს. ეს მუდმივად ასეა“.

დენ სიაოპინის რეფორმები, ჩინეთის დიდი ტრანსფორმაცია

ჩინეთის ისტორიის დრამატული წლების მიუხედავად, არც ერთხელ ყოფილა შემთხვევა იმისა, რომ რომელიმე ახალ ლიდერს ხალხისთვის შეეთავაზებინა ღირებულებათა სისტემის შეცვლა ან ელიარებინა ამ სისტემის მარცხი.

მაოს რევოლუციის ძირითადი მიზანი იყო „დიდებული ჰარმონიის“ შექმნა, თუმცა მისი ხედვა იყო ბუნდოვანი და ამჟღავნებდა უფრო მეტი სულიერი განდიდების, ვიდრე პოლიტიკურ რეორგანიზაციის ნიშნებს. [Kissinger, 2011:142]

მაოს არასდროს გამოუჩენია პატივისცემა ჩინეთის ისტორიისადმი, მან დაწვა წიგნები და დევნიდა ტრადიციონალ კონფუციის მეცნიერებს. მაოს აზრით, ჩინეთის მართვა მოითხოვდა მარქსისა და ცინ შიჰუანის კომბინაციას (ცინ შიჰუანი არის ცნობილი, როგორც გაერთიანებული ჩინეთის დამაარსებელი ჩვ.წ. 221 წელს), თუმცა მაოსეულმა კომბინაციამ ჩინეთი სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა.

რა სახის რეფორმები?

კისინჯერის ამტკიცებს, რომ მათ, ვინც კარგად იცის მაოს ძედუნის ჩინეთი, შეუძლიათ დააფასონ დენ სიაო პინის ტრანსფორმაცია.

„სოციალიზმი ჩინური მახასიათებლებით“ - ასე უწოდა დენ სიაო პინმა იმ ახალ კონცეფციას, რასაც იგი მაოს განადგურებულ ჩინეთს სთავაზობდა. რეფორმის მთავარი იდეა მოდერნიზაციაზე დაყრდნობილ ინიციატივებსა და მოქნილ ჩინურ ინდივიდუალურობაში იყო. მან გააუქმა კომუნები და ხელი შეუწყო პროვინციული ავტონომიების შექმნას.

სიაო პინის რეფორმების მნიშვნელობაზე ცოტა ვრცლად ვისაუბრებთ, რადგან სწორედ ამ რეფორმების შემდგომ დაიწყო ჩინეთის ეკონომიკამ დიდი ნახტომების გაკეთება და მიაღწია კულმინაციას.

დენ სიაო პინი იდგა მრავალი გამოწვევის წინაშე. ეს ის პერიოდია, როდესაც 100 მილიონ ადამიანს არასაკმარისი რაოდენობის საკვების პრობლემა აქვს. ქვეყნის მოსახლეობის 34%-ია მხოლოდ საშუალო განათლებით, 28% ნახევრად განათლებული ან გაუნათლებელია, სამუშაო ძალის მხოლოდ 0.87%-ია უმაღლესი განათლებით. აგრეთვე მრავალი პრობლემა იყო ქვეყნის ეკონომიკაშიც: ფასწარმოქმნის სისტემა გადაქცეული იყო მოსახლეობისგან რესურსების გამოძალვაში. ჯარიმებისა და შეღავათიანი ფასების შენარჩუნებას ქვეყანა ეკონომიკის განადგურებისკენ მიყავდა. იგი განიცდიდა ინოვაციების

ნაკლებობას, უმუშევრობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტაგნაციასა და მკვეთრად დაცემულ შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე.

სიაო პინის რეფორმების (“Reform and Opening Up” “改革开放”) ძირითადი ეკონომიკური პროგრამა იყო „სოციალიზმი ჩინური მახასიათებლებით“. საბაზრო ეკონომიკა, გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზებული პროცესი, საზღვრების გახსნა გარესამყაროსთან - რეფორმების ძირითადი მიმართულებები სწორედ მათ უკავშირდებოდა. ეს დიდი ტრანსფორმაცია ეყრდნობოდა ჩინელი ხალხის ბუნებას, რომელთა ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და სამეწარმეო სული დიდი ხნის განმავლობაში შეზღუდული იყო ომებით, იდეოლოგიური დოგმებით, და სხვა მძიმე შეზღუდვებით კერძო ინვესტიციებზე. [Kissinger, 2011:540]

რეფორმები დაიწყო 1978 წელს და იგი ორ ეტაპს მოიცავდა. პირველი - აგროკულტურის დეკოლექტივიზაცია, საზღვრების გახსნა უცხოური ინვესტიციებისთვის და ნებართვა მეწარმეებს ბიზნესის წამოწყებისთვის (თუმცა მრეწველობის დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩებოდა); მეორე ეტაპის რეფორმები 1980 -იანი წლებიდან იწყება და იგი მოიცავს პოლიტიკის, რეგულაციების, სახელმწიფო მონოპოლიის ცვლილებებს საბანკო და ენერჯო სექტორებში. 1982 წელს კისინჯერთან დიალოგში დენ სიაო პინი აღნიშნავს, რომ 1978-81 წლების გამოცდილებამ უკვე აჩვენა, რომ ცვლილებების პოლიტიკა სწორი მიმართულებით მიდიოდა.

1978 წლიდან 2013 წლამდე ჩინეთის ეკონომიკური ზრდის სისწრაფე იყო უპრეცედენტო (9,5% წელიწადში).¹

თიანანმენის ინციდენტი და ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობები

ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო სისტემას ჩინელი მეცნიერები შემდეგნაირად ახასიათებენ: „ერთი სუპერსახელმწიფო და რამოდენიმე დიდი ძალა“ (*yichao duoqiang*). აქ, ჩინეთში ხალხმა გააცნობიერა, რომ აშშ-ის ლიდერის პოზიცია შეურყეველია და პროგნოზირებად მომავალში მისი ყოვლისმომცველი ეროვნული სიძლიერე იქნება შეუცვლელი... [Jin Canrong, Beijing, April 2000]

ტრანსფორმაციის შემდეგ ჩინეთის საგარეო პოლიტიკა იცვლება და პეკინი თავშეკავებულად და ფრთხილად რეაგირებს საერთაშორისო ურთიერთობებზე.

David L. Lampton -ი თავის წიგნში Same Bad, Different Dreams (ერთი საწოლი, სხვადასხვა სიზმრები) ამერიკასთან ურთიერთობის გარდამტეხ სამ ნიშანს გამოყოფს, ერთ-ერთი მათგანი თიანანმენის მოედანზე გამართული დემონსტრაციაა.

სტუდენტები პეკინში და სხვა ქალაქებში გამოდიოდნენ კორუფციის, ინფლაციის, პრესის შეზღუდვის, უნივერსიტეტებში მდგომარეობის და არაფორმალური ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც კულისებიდან მართავდნენ ჩინეთის ხელისუფლებას. დემონტრანტებმა დაიკავეს თიანანმენის მოედანი; ხელისუფლების ავტორიტეტი გამოწვევის წინაშე იდგა.² ივნისისთვის გამოსვლებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო და უკვე 341 ქალაქი მოიცვა. თიანანმენის კულმინაციური მომენტი - 1989 წლის 4 ივნისის საღამო, როდესაც ხელისუფლების არმიამ დემონტრანტები დაარბია. ინციდენტს საერთაშორისო გამოხმაურება და აშშ-ის დაუყოვნებელი სანქციები მოჰყვა - იარაღის მიყიდვის დროებითი შეწყვეტა, და სხვა საქონელის ექსპორტირების შეჩერება, აგრეთვე დროებით შეჩერდა სამხედრო წარმომადგენლობის მუშაობა და საფინანსო ინსტიტუტებისგან ნებისმიერი დახმარებისა და კრედიტების გაცემა.

1989 წლის ივნისში თიანანმენის მოედანზე განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხა ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, თუმცა ჩინეთი დღეს ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ურთიერთობებმა უმაღლეს წერტილს 2000-იან წლებში მიაღწია, როცა ჩინეთი მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ჩინეთ-აშშ-ის ურთიერთობები გახდა თანმიმდევრული და ჩინეთი იქცა ძირითად საკვანძო მონაწილედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში.

ჩინეთის აღმავლობა და გავლენა

ეკონომიკის ზრდა

არსებობს საყოველთაო თანხმობა ეკონომიკური აქტორებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა, მეცნიერებისა, რომ ეკონომიკური ძალის პოლიტიკურ გავლენაში გადაზრდა პრაქტიკულად

¹Wikipedia. org – Chinese Economic Reform - https://en.wikipedia.org/wiki/Chinese_economic_reform

²შენიშვნა :მოვლენებამდე მცირე ხნით ადრე 1989 წლის იანვარში ახლადარჩეული პრეზიდენტი ბუში ეწვია ჩინეთს საკმაოდ მკაფიო მიზნებით: აშშ-ის მნიშვნელობის ჩვენება ჩინეთის სამხედრო ძლიერებაში, ტექნოლოგიურად დაწინაურებული ერი, რომელთან ერთადაც ჩინეთი მნიშვნელოვან ინტერესებს იზიარებს, ძლიერ და სწრაფად მზარდ ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავების სურვილის კიდევ ერთხელ დადასტურება და ა. შ.

ავტომატურად ხდება: მაღალი ხარისხის ორმხრივმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ უნდა წარმოქმნას უფრო დიდი გავლენა. თუმცა არსებული ფაქტები გვარწმუნებენ ამ თანხმობის ნაწილობრივ მცდარობაში - ეკონომიკური სიძლიერე ავტომატურად არ გამოიღებს პოლიტიკური გავლენის შედეგს.

აუცილებელია გამოვყოთ ჩინური ეკონომიკის ოთხი ყველაზე ყველაზე ეფექტური ელემენტი, რომელსაც Segal-ი გვთავაზობს:

1) ჩინეთი იყენებს ეკონომიკის მართვის ხერხს, რომლის ძალითაც მას უსაფრთხო წვდომა აქვს რესურსების ბაზარზე. ხელმისაწვდომობა საკმარის რესურსებზე განიხილება ძირითად რგოლად შიდა სტაბილურობისთვის და სწრაფვა ჩინური მონაწილეობის გაზრდისკენ ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში

2) ეკონომიკური მართვის ხერხი, რომელიც ახდენს ჩინეთის აზიის ქვეყნებთან ინტეგრირებით ანტი-ჩინური კოალიციის გაჩენის პრევენციას; და განმუხტავს ჩინეთის ზრდით გამოწვეულ შფოთვის მის მეზობელ სახელმწიფოებში;

3) პარალელურად მეორე ელემენტისა, არსებობს ეკონომიკური მართვის ხერხი, რომლის მისიაა უჩვენოს გზა თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ჩინეთის პრესტიჟი და ცენტრალური როლის თამაშითგაძლიერდეს მისი ინტერესების სიგნალი საერთაშორისო საკითხებში.

4) ეკონომიკური მართვის ხერხი, რომელიც თაივანთან ინტენსიური ინტეგრაციის საშუალებებით ეწინააღმდეგება თაივანის პოლიტიკური მანევრირების თავისუფლებას და ცდილობს შეაკავოს გარე აქტორების დახმარება თაივანის დამოუკიდებლობის სწრაფვაში.

დღეს ჩინეთის ეკონომიკას ამოდრავებს მრეწველობისა და მომსახურების თანაბარი წვლილი (დაახლოებით 45% თითოეული), და 10% წვლილი აგრარული სექტორიდან. ჩინეთის ეკონომიკა წამოეწია ამერიკის ეკონომიკას მთლიანი შიდა პროდუქტის თვალსაზრისით და 2014 წლის მონაცემებით ჩინეთის ეკონომიკა 10.35 ტრილიონ ამერიკული დოლარს შეადგენს და იგი ყოველწლიურად 7%-ით იზრდება.

2013 წელს ჩინეთი გახდა მსოფლიოს ყველაზე დიდი სავაჭრო ქვეყანა. მანამდე 2009 წლისთვის იგი უკვე იყო პირველ ადგილზე საქონლის ექსპორტში. 2012 წლის ნოემბრისთვის ჩინეთმა გადაფარა აშშ, როგორც მსოფლიო წამყვანი სავაჭრო სახელმწიფო და 124 სახელმწიფოსთვის ჩინეთი ითვლებოდა უდიდეს სავაჭრო პარტნიორად.

სამხედრო პოტენციალი

1990 წლის შემდეგ ჩინეთის თავდაცვის ბიუჯეტი თითქმის 9%-ით გაიზარდა. ეს მონაცემი უსწრებს ჩინური მთლიანი შიდა პროდუქტის ადრეულ ზრდას და ჩინეთს მიეცა შესაძლებლობა შეეძინა მეტი მოწინავე ტექნიკა. ისეთი ტექნიკა, როგორებიცაა მეოთხე თაობის გამანადგურებელი თვითმფრინავი, დიზელის წყალქვეშა ნავები, დიზელის წყალქვეშა გემები, და ბალისტიკური რაკეტები განლაგებულია აღმოსავლეთი აზიის სანაპიროებთან. ჩინეთი სამხედრო შესაძლებლობებით მესამე ქვეყანაა მსოფლიოსი აშშ-ის და რუსეთის შემდეგ. 2015 წელს ჩინეთის თავდაცვის ხარჯის მაჩვენებელი 146 მილიარდი, რომელიც წინა წლის მაჩვენებელს 11%-ით აღემატება. სამხედრო ბიუჯეტის სიდიდით იგი მეორეა მსოფლიოში. ჩინეთი მძიმე ტექნიკას აწვდის 35 სახელმწიფოს (2010 -14 წწ) და მესამე ადგილზეა იარაღის ექსპორტის სიდიდით.¹

2016 წლის მარტის მონაცემებით ჩინეთს საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებული აქვს 33 ატომური რეაქტორი და 22-ის მშენებლობა მიმდინარეობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის მეზობელ პერიფერიების სამხედრო პოტენციალი სუსტია, ისინი ამოფარებულნი არიან ამერიკის სამხედრო უსაფრთხოების ქოლგას. ამერიკულ სამხედრო პოტენციალზე დაყრდნობამ შესაძლოა ამ ქვეყნების კონფლიქტში ჯაჭვურად ჩაბმა გამოიწვიოს. ისინი ადვილად მოწყვლადები ხდებიან სხვა დიდი პოლიტიკური ძალისთვის, თუმცა შესაძლოა მსგავსმა კავშირებმა მტრის ხატი წარმოშვას, რაც რეგიონის უსაფრთხოებას აზარალებს.

დიპლომატიური გავლენა

საერთაშორისო ურთიერთობების სცენაზე ჩინეთის დიპლომატიური გავლენა განპირობებულია პირველ რიგში მისი ეკონომიკური შესაძლებლობებით. დიპლომატიის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს 1) უდიდეს პოლიტიკურ ძალებთან შეთანხმება, 2) რეგიონალიზმი, 3) განვითარება, და 4) მულტილატერალიზმი. [workshop..., 2009: 14]

¹Military budget of China - https://en.wikipedia.org/wiki/Military_budget_of_China

აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთი დაინტერესებულია ხელი შეუწყოს რეგიონში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, მოახდინოს ეკონომიკური ინტეგრაციის აქტივიზაცია, დაარწმუნოს მეზობელი სახელმწიფოები, რომ მისი ზრდა არის მშვიდობიანი, და თავიდან აირიდოს ჩინეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიციების შექმნა.

მეცნიერთა ნაწილი ჩინეთის დიპლომატიურ ზეგავლენას ეჭვით უყურებს და მცირე გავლენის რამოდენიმე ასპექტს გამოყოფს. ესენია ჩინეთის სამხედრო სიძლიერის ფარული მუქარა, სახელმწიფოების აღიარება, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მათ დიდ არჩევანს არ უტოვებს, აღმოსავლეთ აზიაში ამერიკა-ჩინეთის გაზრდილი კონკურენცია, ჩინეთის რეგიონული დომინირებაზე რეგიონის ქვეყნების დაინტერესების არქონა.

ჩინეთი აქტიურად ცდილობს შემოიტანოს ახალი დიპლომატიური პრინციპები, რომლებიც მოიცავენ ჩინეთის ხედვებს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე -სამხედრო ძალის ზრდის შეჩერება (გარდა ქვეყნის თავდაცვისთვის აუცილებელი სამხედრო ძალებისა), შეთანხმებებით სახელმწიფოთა ერთიანობისკენ სწრაფვა, საერთაშორისო სამართალში ხალხთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე მეტად სახელმწიფოს სუვერენიტეტზე უპირატესობის მინიჭება, საერთაშორისო ურთიერთობებში კანონის უზენაესობის გაძლიერება; რეგიონული უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნება.

დასკვნა

დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ჩინეთი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თუმცა რამდენად გახდება იგი ყველაზე დიდი გავლენის მქონე სახელმწიფო სუპერძალა პერსპექტივაში?

დასავლეთი ჩინური ძალის ფენომენის შესწავლისკენ უდიდეს დაინტერესებას გამოხატავს და ამის დამადასტურებელია უკანასკნელ წლებში გამოცემული არაერთი წიგნი, ნაშრომი თუ კვლევა.

2011 წლის 17 ივნისს კანადაში როი ტომპსონის დარბაზში გაიმართა დებატები, რომელშიც მსოფლიოს ოთხი უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე იღებდა მონაწილეობას. კისინჯერი და ზაქარია, რომლებიც უარყოფდნენ თეზას რომ 21-ე საუკუნე ჩინეთს ეკუთვნის და მეორე მხარეს დოქტორი ლი და ფერგიუსონი, რომლებიც ასაბუთებდნენ ჩინეთის სუპერგავლენას მსოფლიოზე. ფერგიუსონი და ლი ძირითადად ჩინეთის ეკონომიკურ სიძლიერეზე აპელირებენ და მის მთავარ უპირატესობას ჩინეთის პოლიტიკის მუდმივ განვითარებაში, ცვლილებაში ხედავენ. რაც შეეხება მათი მოწინააღმდეგეების არგუმენტს, კისინჯერი ამბობს, რომ საკითხი არ მდგომარეობს იმაში ეკუთვნის თუ არა 21-ე საუკუნე ჩინეთს, საკითხი მდგომარეობს შემდეგში: შეგვიძლია თუ არა მივაკუთვნოთ ჩინეთი უნივერსალურ კონცეფციას 21-ე საუკუნეში. ჩინეთი უნდა გაუმკლავდეს შიდატერიტორიულ პრობლემებს, ყოველ წელს უნდა უზრუნველყოს 24 მილიონი სამუშაო ადგილი, უზრუნველყოს მოსახლეობისთვის შესაბამისი სოციალური გარემო, როცა ჩინეთის ზღვისპირა ქალაქები მაღალგანვითარებულია და ქვეყნის სიღრმეში არსებული რეგიონები განვითარებადი. დიახ ჩინეთი იცვლება და თუკი გავიხსენებთ 1971 წლის ჩინეთს, ეს ცვლილება ეჭვგარეშეა. მაგრამ რამდენად შესწევს უნარი ჩინეთს გამოავლინოს ის ლიდერული უნარები, რაც საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობებში. პოლიტიკური უნარი სჭირდება მსოფლიო ლიდერობას, მაგრამ ზაქარია ამტკიცებს, რომ ქვეყანამ, რომლის შიდა პოლიტიკური სისტემა კრიზისშია, რთულია მსოფლიო ლიდერობა შეძლოს.

აღსანიშნავია ჩინეთის გეოპოლიტიკური მდებარეობაც. ჩინეთის ზრდა არ არის ვაკუუმში და მას დასავლეთიდან ინდოეთი, აღმოსავლეთიდან იაპონია უწევს კონკურენციას.

ეჭვგარეშეა, რომ ჩინეთს ექნება უზარმაზარი ეკონომიკა, იგი ითამაშებს უზარმაზარ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, თუმცა რამდენად იქნება იგი დომინანტი სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკაში, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

Bibliography:

- [1]. Kissinger 2011: Henry Kissinger., On China., New York 2011;
- [2]. Keith 2005: Ronald C. Keith., China as a Rising World Power and Its Response to 'Globalization'., New York 2005
- [3]. Lampton 2002: David M. Lampton., Same Bad, Different Dreams: Managing U.S.- China Relations, 1989-2000., Cambridge 2002;
- [4]. Workshop on "Assessing China's Rise: Power and Influence in the 21st Century., at the Massachusetts Institute of Technology., 27-28 February, 2009;
- [5]. THE MUNK DEBATE ON CHINA., Does the 21st century Belong to China?., 2011
- [6]. Bates Gill., Rising Star , Chinas New Security Diplomacy., Washington 2007;

Online sources

- [7]. Nuclear Power in China (updated April 2016) - <http://www.world-nuclear.org>
[8]. China surpasses US as world's largest trading nation - <http://www.theguardian.com>
[9]. The World's Top 10 Economies by Prableen Bajpai, CFA (ICFAI), <http://www.investopedia.com>
[10]. Has China's 'One Country, Two Systems' Experiment Failed? by George Chen, Alvin Y.H. Cheung, Sebastian Veg, Ho-fung Hung., June 17, 2015 - <https://www.chinafile.com>
[11]. <http://www.tabula.ge/>

Tamta Tavartkiladze

Tbilisi Open Teaching University

Supervisor: Nodar Khonelidze, Professor

CHINA AS THE 21ST CENTURY POTENTIAL LEADING STATE IN INTERNATIONAL RELATIONS SUMMARY

There is political discussion about China's rising power in world politics and it is very clear that the West attention is more focused on the East today. Some scholars doubt that China is a now great power and their main arguments are China's population and huge land area, its geopolitical location and economy. We are witnesses how Chinese power translates into Chinese influence in world politics. There are many questions about this complicated process. For example "what kind of great power is China becoming?", "does 21st century belong to China?", "is China's rising peacefully?" and etc.

In this research paper the key points of Chinese rise are political influence of Chinese civilization its development, historical precedence – reforms under Deng Xiaoping, his political challenges and importance of "opening up"; how "one country, two systems" works; specific aspects of Chinese rising influence on region or global politics. Research also includes some recent statistics about Chinese economical, political, military power in the world.

Following research provides some main arguments and analysis why and how has China got the attention of the West. After that debate there was few and important changes of China's foreign policy but China is still struggle for more influence and regional power. USA remains major political power in the international relations and world politics but it is face to big challenge of Chinese economical and military rise.

თამთა კაპანაძე

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ხატია შევარდნაძე**, პროფესორი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ბარათები

ქართული ლიტერატურის ისტორიას ბევრი ღირსშესანიშნავი ადამიანის სახელი ამშვენებს, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით ღრმა კვალი დატოვეს. მათ შორისაა რომანტიკული მიმდინარეობის წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც 1817 წელს 27 დეკემბერს დაიბადა. პოეტის მამა მელიტონ ბარათაშვილი საშუალო ფენის აზნაური იყო. ხმაურიანი და მყვირალა მამისგან განსხვავებით, პოეტის დედა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“ უძღვნა, მშვიდი და სათნო ქალბატონი ბრძანდებოდა. ქვიფისა და დროსტარების მოყვარული მამის გამო ბარათაშვილების ოჯახმა ცხოვრება ხელმოკლეობაში გაატარა. კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც ოჯახმა 1816 წელს მიაბარა ტატო ყველასგან მხიარული ხასიათით, ცელქობით და ჭკუით გამოირჩეოდა. მომავალმა პოეტმა ლექსების წერა სწავლის პერიოდში დაიწყო. საუკეთესო მოცეკვავე იყო „ტანცკლასშიც“, მაგრამ 16 წლის ასაკში უბედური შემთხვევის გამო სამუდამოდ დაკოჭლდა. კოჭლობას ქალებთან არშიეობისა და

სატრფიალო ლექსების წერისთვის ხელი არ შეუშლია და ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა ქართული პოეზიის უმდიდრესი მარგალიტები, თუმცა ტატოსთვის ბედნიერება არც მის გენიალურ ლექსებს მოუტანია. გიმნაზიის დასრულების შემდეგ პოეტი იძულებული ხდება დაიწყოს სამსახური საქართველოს უზენაეს სასამართლო პალატაში. შემდეგ ნახჭევანში დაინიშნა მხარის მმართველის მოადგილედ და ბოლოს გადავიდა განჯაში მაზრის უფროსის თანამემწედ. სადაც იგი გარდაიცვალა თითქმის სრულიად უპატრონოდ, მალარიით დაავადებული, 1845 წლის ოქტომბერში.¹

ნიკოლოზ ბარათაშვილს რამოდენიმე მეგობარი ჰყავდა და, როგორც ეტყობა, მისთვის ყველაზე მახლობლები იყვნენ მაიკო და გრიგოლ ორბელიანები. მათდამი მიწერილი ბარათები ჩვენი ეპისტოლარული ლიტერატურის მშვენიერებს წარმოადგენს თავიანთი სიფაქიზით, სითბოთი და, საერთოდ, მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით.

როგორც მკვლევრები ამბობენ უტყუარი წყაროების დადასტურებით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი შემოქმედება, წერილები, პირადი პორტრეტები კი საკუთარი ხელით გაანადგურა, მაშინ როდესაც მეგობრისგან შეიტყო, რომ მისი სახლის გასაჩხრეკად პოლიცია მიდიოდა. ნიკოლოზმა კარგად იცოდა, რომ მისი ნაწერები განადგურდებოდა და კარგი დღე არც მას დაადგებოდა, ამიტომ გადაწყვიტა საკუთარი ხელით გაენადგურებინა თავისი ხელთქმნილი. ასეც მოიქცა, ხანძრის შედეგად გადარჩა მისი წერილების მცირეოდენი, შემოქმედებიდან ცოტაოდენი ლექსი, ხოლო პოეტის ნამდვილი პორტრეტი არ მოგვეპოვება, არავინ იცის თუ როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში იგი.

ვახტანგ კოტეტიშვილი ბრძანებს: „ნიკოლოზის პირადი წერილები შეიძლება ასევე ჩაითვალოს მისი ეპოქის სანდო დოკუმენტებად მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული ყოფის, პოეტის გარემოცვისა და საახლობლო წრის შესასწავლად, დასახასიათებლად“.²

ბარათაშვილს ახლო მიმოწერა ჰქონდა გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელიც პოეტის ბიძა იყო, ასევე გენერალ-ადიუტანტი და ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი; მიხეილ თუმანიშვილისადმი, იგი იყო პოეტი, კრიტიკოსი, თეატრის ისტორიკოსი და ა.შ. მაიკო ორბელიანისადმი - ქაიხოსრო ორბელიანის ქალიშვილი და ბარათაშვილის საყვარელი მეგობარი, ზაქარია ორბელიანისადმი და ბაბაღე საგინაშვილისადმი, რომელიც ნიკოლოზის დედის ბიძაშვილი ყოფილა. ამ ადამიანთა მიმოწერაში ჩანს პოეტის ბიძაშვილი ყოფილა. ამ ადამიანთა მიმოწერაში ჩანს პოეტის სიხარული, სიყვარული, ღრმა მწუხარება, სურვილი, ოცნებები.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით რომ განვიხილოთ, პირველი წერილს ბარათაშვილი წერს ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, 1831 წლის 3 სექტემბერს:

„მის ბრწყინვალეობას, მოწყალე ხელმწიფეს გროგოლ ორბელიანოვს!

ბვირფასო ძია!

მე მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა, გისურვებთ თქვენ ყოველივე ბედნიერებას და ჯანმრთელობას. ჩემს წარმატებაზე რაღა მოგწეროთ, რომელიც თქვენ იცით; თუ ხელსაწყობს გამომიგზავნით, დიდად მადლობელი დაგრჩებით. მეტი რაღა მოგწეროთ, ბვირფასო ძია! ვისურვებდი თვენს კარგად ყოფნას და ბედნიერებას და სხვა.

დავმთები პატივისცემით თქვენი დისწული ნ. ბარათოვი“³

როგორც ბარათიდან ჩანს, ბარათაშვილი წარმატებული და ნიჭიერი მოსწავლეა, მაგრამ იმდენად უჭირს და ხელმოკლედ ცხოვრობს, რომ საწერი და სახატავი საშუალების ყიდვაც არ შეუძლია, ამიტომ დახმარებას სევდანარევი და სიყვარულით სავსე წერილით ბიძას, გრიგოლ ორბელიანს სთხოვს. მეორე წერილს ნიკოლოზი 1837 წელის თებერვალში ისევ გრიგოლ ორბელიანს სწერს:

„საყვარელო ძიავ!

ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდეც შთამომეპარება ხუალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხუაგან არ მიგიღებენო. მაშ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდეც ვბტი და კიდეც ვტანცაობ.“⁴

წერილში ნიკოლოზი გრიგოლს ესაუბრება თავისი აუხდენელი ოცნების შესახებ, რომ ჯარისკაცობა უნდოდა მაგრამ კოჭლობამ ხელი შეუშალა, ასევე ნათლად ჩანს პოეტის ცეკვისადმი სიყვარული და ნიჭი, იგი პირველი მოცეკვავე ყოფილა ლეკურისა „ტანცკლასში“.

¹ დ. გამეზარდაშვილი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1., თბ., 1972, გვ. 123

² მ. ცერცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, თბ., 2015, გვ. 5

³ ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 127

⁴ ი. ბალახაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1977, გვ. 156

ბარათაშვილს კიდევ ერთი წერილი აქვს მიწერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიც საუბარია მის პირველ სიყვარულზე:

„განცევხლებულთა ღვინისაგან შუბლთა კოჯრის ნიავე განგვიგრილებდეს და მაშინ განვიზრახე ამ ღამეს უსათუოდ ავღწერ და გავუგზავნი ძია გრიგოლს მეთქი, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაემანი“¹

წერილში ნახსენები სიტყვები: „პირველ დამასო გულს კაემანი“, ეკუთვნის ვინმე ნინო ორბელიანს, რომლისადმი სიყვარულით ტატო 1836-1837 წლებში ყოფილა განმსჭვალული, ნინოს შესახებ კრიტიკაში ბევრი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, მაგრამ ნიკოლოზის მეგობარი, რევაზ ანდრონიკაშვილი და შემდეგ მკვლევარი, იონა მეუნარგია ცხადად საუბრობენ ბარათაშვილის ყმაწვილურ გატაცებაზე, რომელსაც ბედნიერება პოეტისთვის არ მოუტანია.

ნიკოლოზის წერილი, რომელიც მისივე ხელითაა დაწერილი, მიწერილი აქვს მიხეილ თუმანიშვილისადმი 1838 წლის 6 აგვისტოს ქ. თბილისში:

„საყვარელო მეგობარახლა კი შენ მოგმართავ.

გმადლობ, ძმაო, წერილებისთვის, სიამოვნებისთვის. ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. დღეს საღამოს წყნეთში მივემგზავრები. რატომ? რომ ის, იქ გახლავთ. დედამისმა მთხოვა რამდენიმე დღე მათთან გავატარო.

ალაზნის ველის მეუდაბნოე! მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულისა.“²

ნიკოლოზი როდესაც ამბობს ისიც იქ იქნება, გულისხმობს დელფინა ლაბიელს, ფრანგ ქალს, რომლითაც ორი წელი (1837-1838) გატაცებული ყოფილა პოეტი, სწორედ დელფინას ეძღვნება მისი ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, რომელიც 1837 წელს დაიწერა.

დიდი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას თქმით: დელფინასადმი სიყვარული უფრო ყმაწვილური გატაცება იყო, ვიდრე გამტანი და ღრმა გრძნობა. საფრანგეთიდან ჩამოსახლებული დელფინას ოჯახი საკონდიტრო მაღაზიებს ფლობდა და საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა. დელფინა საქართველოში იყო გაზრდილი და, საფიქრებელია, ქართულს მშვენივრად ფლობდა, ამდენად, მას არ გაუჭირდებოდა ბარათაშვილის ლექსების გაგება. ლექსი „ასტრა“, რომელიც ბარათაშვილმა დელფინას მიუძღვნა, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოვიდა, მაგრამ არსებობს უტყუარი ცნობა, რომ ასეთი ლექსი არსებობდა.

დედამისმა - კი დელფინა ლაბიელის დედა მადამ ლაბიელი. ნიკოლოზის ამ სტუმრობას წყნეთში ეძღვნება გიორგი ლეონიძის ლექსი „წყნეთური ვარდი“:

„შენ ერთხელ წყნეთში, რომ ზაფხულობდი,
შუქმოელვარე ლამაზი ქალი,
მოგმართავ სიტყვით ასი წლის მერე
იქ, სადაც შენი ფეხის სჩანს კვალი...“³

ალაზნის ველის მეუდაბნოე - ნაგულისხმევია დედოფლის წყარო, სადაც ნიკოლოზი სტუმრად იმყოფებოდა მიხეილთან.

შენი ველის ქალწულისა - კი, სავარაუდოდ, იგულისხმება პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ეკატერინე ჭავჭავაძე. ცნობილია, რომ მიხეილ თუმანიშვილი ეტრფოდა ეკატერინეს. ნიკოლოზიც ხომ უზომოდ შეყვარებული იყო ჭავჭავაძის ასულზე. ტატოს რომანი ეკატერინესთან 1838 წელს დაიწყო, თუმცა ერთმანეთს მანამდეც იცნობდნენ.

1839 წელს ბარათაშვილი ელისაბედ ორბელიანის სახლში წვეულებაზე მიიპატიჟეს, სადაც ეკატერინეც იმყოფებოდა. პოეტს ვეღარ გაუძლია საყვარელი ქალის სიახლოვისგან მოზღვავებულ გრძნობისთვის და, როგორც იონა მეუნარგია იგონებს, წვეულებიდან ყაფლან ორბელიანის სახლში მისულა, სადაც მას მეგობარი, ლევან მელიქიშვილი დახვედრია და მისთვის გული გადაუშლია: ლევან, ლევან გავგიჟდი. მეტი აღარა ვარ. ეკატერინე იქ არის და მისმა საყურის თამაშმა გადამრია. ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესსო. სწორედ იმ საღამოს შეიქმნა ქართული პოეზიის მარგალიტი „საყურე“.

„ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს“⁴...

¹ შ. ჩხეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტ.1., მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, თბ., 1943, გვ. 15

² კ. აბაშიძე, თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული მწერლობა, ტ. 28., თბ., 2007, გვ. 22

³ ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 129

აღსანიშნავია, რომ ეკატერინა მიხეილ თუმანიშვილსაც უყვარდა, მაგრამ ერთი ქალი-სადმი ტრფობას ნიკოლოზისა და მიხეილის მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია.

მეოთხე წერილი ნიკოლოზისა ისევ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი 1841 წლის 28 მაისს:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ!

ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმნა იმოვნა: კიპიანმა გადმოთარგმანა „Ромео Джулиета“ შეკსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე „Юлий Тарентский“ ტრადედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი.

სხვა? სხვა ამხელად ეს იყოს. ნუ კი შემომიწერები.

შენი მარად და მარადის იქითაც

ნიკალაი“²

„Юлий тарентский“ - „იულიუს ტარენტელის“ თარგმნა მიუთითებს, რომ ბარათაშვილს მართლაც გადაუთარგმნია ეს დრამა, რომელიც დაკარგულად ითვლება. გრ. ორბელიანმა დისშვილის გარდაცვალების შემდეგ შეკრიბა მისი ნაწერები და ზ. ჭიჭინაძეს განუცხადა, რომ ის წასაკითხად ათხოვა ნათესავსა და მეზობელს ბარბარე ორბელიან საგინაშვილს, რომელიც მალე გარდაიცვალა.

შემდეგ წერილში პოეტი ისევ გრიგოლ ორბელიანს სწერს, რომელიც 1842 წლის 2 მაისსაა მიწერილი:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან!

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!“

...

არ ვიცი, ეს ლექსი, როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამზობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა, რომ შევიტყვე, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღესეს ლექსი დავეწერე და თითქოს ამან რაღაც შევება მომცაო, ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.

მარად შენი ერთგული ნ. ბარათოვი.“³

წერილიდან ირკვევა, რომ ილია ორბელიანი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ხომ გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, ნიკოლოზის ბიძა და თანატოლი იყო. როგორც ვხედავთ, პოეტის ლექსი „მერანი“ უსათუოდ ილია ორბელიანისადმი აქვს დაწერილი, რაც აქარწყლებს კრიტიკოსთა მოსაზრებას, რომ „მერანის“ ლირიკული გმირი რუსეთის იმპერიის ერთგული ჯარისკაცია და ის ილია ორბელიანი კი არა, არამედ ეროვნული გმირი, რუსეთის იმპერიასთან დაუღალავი და მოუხელთებელი მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილია. აქვე ვგებულობთ, რომ წარჩინებული წოდების გამო ილია შეიწყალეს და არ მოკლეს, „ამის გვარიშვილობა შეუტყვია“² - მიუთითებს ილიას სამეფო წარმომავლობას, იგი ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ს შთამომავალი, აქედან გამომდინარე ნიკოლოზიც ენათესავება სამეფო კარს.

ნიკოლოზს ასევე ძალიან თბილი და ახლო მიმოწერა ჰქონდა მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერსაა მიწერილი, სადაც სწერს, რომ:

„საყვარელო დაო მაიკო! არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებლია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერას მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სახეს და ვრცელს სოფელში! ვინც მალღის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას არც განსჯა ჰქონია, ვისაცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალურისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილა ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა!

ძნელი არის მარტოობა სულისა,

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,

მარად ახსოვს მას დაკარგვა სოფლისა,

ოხვრა არის შვება უბედურისა!

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი“⁴

¹ მ. ცვრცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, თბ., 2015, გვ. 59

² მ. ხელთუბნელი, „უკანასკნელი წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა“, ლიტერატურათმცოდნეობა, N1-2, 1910, გვ. 369

³ ი. ორბელიანი, „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, „მერანი“, თბ., 1991, გვ. 167

⁴ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, საბჭოთა საქართველო, 1968, გვ. 129

წერილიდან იგრძნობა სულიერი დრამა პოეტისა, რომელიც უკავშირდება თავის სატრფოსა და პოეტურ მუზას ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც ცოლად გაჰყვა რუს საზოგადო მოღვაწეს გრიბოედოსს, რაც მეტად მტკივნეულად განიცადა პოეტმა. 1840 წელს ეკატერინე თბილისში ჩამოვიდა და განაახლა მეგობრობა ბარათაშვილთან, მაგრამ 1841 წელს მეგობრებს შორის განხეთქილება მოხდა და ამის გამოძახილია ბარათში აღწერილი განწყობილება.

„საყვარელო ძმავო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზე მჯდომარეო!

ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისკენ. გული მეუბნება, რომ შენ არახარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ.

„სულო ზოროტო“.

[მოყვანილია ლექსი „სულო ზოროტო“]

შენი მარად ნ. ბარათოვი¹

ბარათში ჩანს ნიკოლოზის სულიერი მდგომარეობა, სევდა, გულისტკივილი. იგი გრძნობს, რომ უბრალო მოხელის სამსახურისთვის არაა დაბადებული, მისი შესაძლებლობები უფრო დიდია, მაგრამ დამხმარე, გვერდში მდგომი არ ჰყავს, რომ უფრო დიდ ასპარეზზე გამოიყვანოს.

მომდევნო წერილში ბარათაშვილისა 1844 წლის 10 მაისსაა მიწერილი, ისევ ზაქარია ორბელიანისადმი, რომელიც შემდეგი ხასიათისაა:

„ჩვენი ყმაწვილკაცები: ილია, ლევან, დავით, ბაკლანა, (მითომ ესეც ყმაწვილებში), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი - სულ წამოვიდნენ შამილის დასაჭერად.

კატოს ქორწილი საპეტრეპავლოდ გვექნება. არღუთინსკის ღენერალ-ადუტანტობას ამბობენ. თუმცა გამოცხადებით არ არის, თუმცა წიგნი მოსულა პეტერბურდიდან.

შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი²

ბარათში ხსენებული ახალგაზრდები არიან: ილია ზურაბის ძე ბარათაშვილი, ივანე ლევანის ძე მელიქიშვილი, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, ბაკლანა - ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი, რაც იმის დასტურია, რომ ბარათაშვილი ადევნებს თვალ-ყურს იმდროინდელი ეპოქის სურათს, მტკივნეულად აღიქვამს მას და ჩართულია საზოგადო მოვლენებში, რასაც ადასტურებს 1832 წლის შეთქმულებაში ნიკოლოზის მონაწილეობა.

კატო კი, ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილია, რომლის ქორწილიც 12 ივლისსაა დანიშნული, კატო დაა პოეტის.

ბარათაშვილის მეთექვსმეტე წერილი, რომელიც 1845 წლის 23 სექტემბერსაა დაწერილი, ეკუთვნის ბაბაღე საგინაშვილს, სადაც პოეტი წერს:

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბოლო, მეთვრამეტე წერილი, რომელიც შემონახულია ლიტერატურის ისტორიაში დაწერილია 1842 წელს გრიგოლ ორბელიანისადმი, ბარათი მცირე ზომისაა, სადაც პოეტი წერს:

„... აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერია, მისი თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურდში с волысшим запасомъ сведенийъ оъ исторической Грузини.

„საფლავი ივერიისა“

გრიგოლ, რა იქნება, რომ ერთი კიდევ დააწკარუნო ამდენი ხნის დადუმებული შენი სანთური?³

ნიკოლოზის პირად ბარათში მოხსენიებული „კნიაზ ბარათოვი,, არის ნიკოლოზ ბარათაშვილსი შორეული ნათესავი, მიხეილ ბარათაშვილის სახელით ცნობილი, რაზეც მეტყველებ 1846 წელით დათარიღებული მიხეილის წერილი, რომელსაც ჯერ არ სცოდნია პოეტის გარდაცვალების შესახებ: „მეტისმეტად გამაახრებდა თუ ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი მელიტონის ძე, თუ თავის უხვის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა თავის პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთი ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების მცხოვანი ოჯახის წინაპრები“⁴. 1842 წელს დაწერილ მის ლექსს „საფლავი მეფე ირაკლისა“ აქვს მიძღვნა - „კნიაზს მ... პ... ძეს ბარათაევს“. ინიციალები მ...პ... იშიფრება მიხეილ პეტრეს ძედ. მიხეილ ბარათაშვილსვე მიიჩნევენ იმ ახერფემის მახლობლად, რომელსაც ეძღვნება ნ. ბარათაშვილის ლექსი „კნიაზ ბარათაევის ახარფეშაზედ“:

¹ აკ., გაწერულია, „გრ. ორბელიანის წერილები“, „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბ., 1967 წ., გვ. 123

² ნ. გრიგალაშვილი, „ხე ცნობადისა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987, გვ. 234

³ შ. გოზაშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, საბჭოთა ასქართველო, თბ., 1987, გვ. 159

⁴ მ. ცერცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, თბ., 2015, გვ. 225

„ამავსებ ღვინით,
აგავსებ ღვინით,
შესვი? გაამოს“.¹

აზარფემა, რომელზეც პოეტს ეს გალექსილი წარწერა მიუწერია, დაკარგულია. ლექსის ორი ავტოგრაფი კი შემოგვრჩა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი და ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება, მაგრამ სწორედ მისი პირადი ბარათების წყალობით, რომელთა რაოდენობა თვრამეტს შეადგენს, ცხადყოფს მისი ცხოვრების ყოველ ეტაპს, პოეტის ცხოვრების გზას, ოჯახურ მდგომარეობას, სამეგობრო-საახლოობლო წრეს, განათლებას, ნიკოლოზის სულიერ მდგომარეობას, ასევე ჩანს რომანტიკული ხედვა, მხატვრული სახე და წერის სტილი ბარათაშვილისა. პირადი წერილები გვაძლევს უტყუარ ცნობას იმისას, თუ რა გარემოებაში წერს ნიკოლოზი ამა თუ იმ ლექსს, ვისადმი აქვს მიმღვნილი თავისი პოეტური შემოქმედება და ამავე ბარათებიდან შეგვიძლია დავინახოთ მისდროინდელი ეპოქის სურათი.

ბარათაშვილის პირადი ბარათები ქართული ლიტერატურის მშვენიერებაა, რაოდენ სასიამოვნოა, როცა ეცნობი პოეტის მიერ დახატულ საკუთარ მდგომარეობას, რომელსაც ის თავის უბის წიგნაკში, პირად წერილებში ასახავს.

ამ ბარათებიდან ირკვევა, რომ ბარათაშვილს ფართო ინტელექტუალური ინტერესები ჰქონია, რომ იგი ღრმა განათლების მიღებისკენ მისწრაფოდა, მაგრამ ოჯახური ცხოვრების ტვირთმა უბრალო მოხელის თანამდებობას მიაჯაჭვა; ბარათებიდან ვგებულობთ, რომ პოეტი ინდივიდუალურია, თავისუფალი სოციალური ბუნების ადამიანი, მაგრამ მაშინდელ საზოგადოებაში მეგობარს ვერ პოულობდა და თავს მარტო გრძნობდა; წერილებში ჩანს, რომ ნიკოლოზი ყოველდღიური ცხოვრების ბრჭყალებში იყო მოქცეული და მისგან დახსნას ლამობდა.

ბარათაშვილის გარდაცვალებით ახდა მისი წინასწარმეტყველური სიტყვები:

**„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფალავებს შორის;
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.²**

პოეტი პატარა, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. მის საფლავზე თავისით ამოსულა კვიპაროსი, რომელიც მუდამ ჰყვავოდა. 1892 წლის 9 ოქტომბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომამ პოეტის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება დაადგინა. ბარათაშვილის ნეშტს თბილისში ათასობით მამულიშვილი დახვდა.

როგორც იოსებ გრიშაშვილმა თქვა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო წერილები ისე იკითხება, როგორც მერიმეს ნოველები: რამდენი გრძნობა, რამდენი სიღრმე, გონებამახვილობა.“³

ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ., „თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ქართული მწერლობა, ტ. 28, „ნაკადული“, თბ., 2007 .
2. ბალახაშვილი ი., „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება“, „ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1967.
3. ბალახაშვილი ი., „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, საბჭოთა საქართველო, თბ., 1966.
4. გაწერელია აკ., „გრ. ორბელიანის წერილები“, „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბ., 1936.
5. გამეზარდაშვილი დ., ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1972.
6. გოზაშვილი შ., „მიხეილ ბარათაშვილი“, საბჭოთა საქართველო, თბ., 1987.
7. გრიგალაშვილი ნ., „ხე ცნობადისა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.
8. ინგოროყვა პ., „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „მერანი“, თბ., 1969.
9. ორბელიანი ი., „რვა თვე შამილის ტყვეობაში“, თბ., 1991.

¹ პ. ინგოროყვა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, საბჭოთა საქართველო, თბ., 1969, გვ. 39

² მ. ცერცვაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები, თბ., 2015, გვ. 186

³ პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ხე ცნობადისა“, თბ., 1969, გვ. 70-80

Tamta Kapanadze
Tbilisi Open Teaching University
Supervisor: Khatia Shevardnadze, Professor
NIKOLAZ BARATASHVILI PERSONAL LETTER
SUMMARY

Nikoloz Baratashvili person we know very little. Memories of his contemporaries and personal cards in the Bible, that it is a living, moving, and well-spoken person. Nikoloz Baratashvili, and he died, that no specific personal happy moments and suffered not live to see his art appreciation.

The poet's letters to the addressee is Maiko Orbeliani, Zakaria Orbeliani, barbare Saginashvili and Alexander Saginashvili, which will be introduced to Nicholas' family and friends, a circle, as well as a chronology of his time with the same letters show his personal ties to the former nobility: Baratashvili and Saginashvili also orbeliani and visited with . Literature written cards with them our epistolary e beauty of their weakness, heat and generally, in terms of artistic value.

Nikoloz Baratashvili portrait and biographical data there is no evidence, but it is his personal thanks to the cards, the number of eighteen, reveals each stage of its life, the poet's life, marital status, among friends circle mats, and because of the pain caused by three unanswered love, education, the writer's spiritual condition, his translation work, which, unfortunately, has been lost, has also seen a vision of romantic, artistic and writing style, also talks about his unfulfilled dream. Send letters to record accurate record of what this or that circumstance, writes Nicholas poem, who dedicated his poetic creations, each of them, and at the same time to write cards, we see the image of his time era.

Baratashvili our epistolary cards, a legacy that is most evident in the poet's life and each way in a spiritual sense, as a writer, romantic and ordinary civil servants.

მარიამ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია**, პროფესორი

სოფელ ქორდის ანთროპონიმია (მეტსახელები)

ონომასტიკა ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს სახელის შერქმევის ხელოვნებას. იგი ენათმეცნიერების დარგია და აერთიანებს სხვადასხვა რიგის საკუთარ სახელთა შემსწავლელ ქვედარგებს. მაგალითად: **ტოპონიმია**ს - ადგილთა სახელების შემსწავლელ მეცნიერებას; **ჰიდრონიმიკას** - მდინარეთა, წყაროების, ტბების; **ანთროპონიმია**ს - ადამიანთა გვარ-სახელების, მეტსახელების; **კოსმონიმია**ს - ციურ-სახელთა; **ზოონიმია**ს - ცხოველთა სახელებს; **ეთნონიმია**ს - ხალხების სახელებს. ჩვენი ქვეყნის ონომასტიკა მრავალმხრივია საინტერესო.

ჩვენი ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ გორის რაიონში მდებარე ერთ-ერთი პატარა სოფლის, ქორდის, ანთროპონიმია, კერძოდ, ყურადღებას გავამახვილებთ სოფელში დაცულ მეტსახელებზე. ნაშრომში წარმოდგენილი საანალიზო მასალა მთლიანად მომდებელია ჩვენ მიერ სავსებით მუშაობის დროს.

სოფელი ქორდი მდინარე პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზეა შეფენილი. იგი ზღვის დონიდან 880 მ-ზე, ხოლო ქ. გორიდან კი 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ანთროპონიმია ადამიანის გვარებისა და სახელების შემსწავლელი მეცნიერებაა. ეს ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან ანთროპოს „ადამიანი“ და ონიმა „სახელი“. ანთროპონიმია ონომასტიკის ერთი განშტოებაა, რომელიც, თავის მხრივ, ენათმეცნიერების დარგია, საკუთარ სახელთა შემსწავლელი. იგი გარდა ადამიანების გვარ-სახელებისა შეისწავლის ზედმეტსახელებს (თიკუნებს) და სხვა [4, გვ. 214].

დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან-თვისების, ქვევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით, ეწოდება მეტსახელი [3, გვ. 150].

როგორც პროფესორი ალექსანდრე ლლონტი მიუთითებს, თავდაპირველად ადამიანს გასარჩევად მეტსახელი ჰქონია, ხოლო საკუთარი სახელი შემდეგ დარქმევია [2, გვ. 116].

მეტსახელი ანუ თიკუნი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი სოფელია. სოფელ ქორდში ფართოდაა გავრცელებული მეტსახელთა შერქმევა. მეტსახელის აღსანიშნავად აღ. ლლონტი ხმარობს ტერმინს თიკუნი, ხოლო ზ. სარჯველაძე მათ ნართაულ სახელებს უწოდებს. როგორც პროფესორი პაატა ცხადაია აღნიშნავს, მეტსახელს ზოგჯერ „კილი“, „სახინჯარი“, „მირქმეული სახელი“, „ბუნი“, „სახელებელი“ ეწოდება [3, გვ. 153].

მეტსახელი, ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით, შეიძლება იყოს ნებისმიერი მეტყველების ნაწილი, მაგრამ უფრო ხშირად ამ ფუნქციით გვხვდება არსებითი სახელი, ზმნური ფუძე და მთელი ფრაზაც კი.

მეტსახელი უფრო მეტ ცნობას გვაძლევს, ვიდრე ნამდვილი სახელი. სოფელში ხშირად ერთსა და იმავე სახელს რამდენიმე ადამიანი ატარებს, სწორედ ამიტომ ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით მათ მეტსახელებით მოიხსენიებენ. პიროვნებას მეტსახელი შერქმეული აქვს რაიმე ფიზიკური ნიშნის, ხასიათის, თვისების, საქმიანობის მიხედვით. ხშირად მეტსახელის შერქმევა რაიმე ამბავსაც უკავშირდება. მოიძებნება ისეთი მეტსახელებიც, რომელთა ახსნაც ვერ ხერხდება, რომლებიც პიროვნებას სტიქიურად ერქმევა. ხშირია შემთხვევები, როცა შერქმეული სახელი მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, შემდგომ შვილიშვილზეც კი. გვხვდება ისეთი მეტსახელებიც, რომლებიც პიროვნების გვარის ან შტო-გვარის შემოკლებული ვარიანტებია. მაგ: ბადაშვილი-ბადა, ქოქოშვილი-ქოქო, ჯალაბაძე-ჯალა, ოქროპირიძე-ოქრო და სხვა.

ქორდში გავრცელებული შერქმეული სახელები სხვადასხვა შინაარსისაა. ისინი გამოხატავენ ადამიანის მისწრაფებებს, თვისებებს, წარმომავლობას, ქცევა-მანერებს, გარეგნობას, თვისებებს, ალერსს, მოფერებას, ვხვდებით კნინობით-ალერსობით სახელებსაც. ჩვენ წარმოვადგენთ მეტსახელებს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

ისტორიულ პირებთან მსგავსების გამომხატველი მეტსახელები:

გარინჩა - ბავშობაში დაურქმევია მეზობელს, სკოლაში მიმავალი ბავშვისათვის, რომელიც ზუსტად ისე დადიოდა, როგორც ცნობილი ფეხბურთელი გარინჩა. ამ მეტსახელით დღემდე მიმართავენ ამ ადამიანს, მას თავის ნამდვილ სახელს დღეს თითქმის აღარავინ ეძახის.

ობაზა - სიშავის გამო დაარქვეს თანაკლასელებმა და ამჟამადაც ამ სახელს ეძახიან.

პუტინი - რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან გარეგნული მსგავსების გამო. მეტსახელს თვითონ პიროვნებას ოჯახის წევრები არ ეძახიან. ამ სახელით უფრო თანასოფლელები მოიხსენიებენ.

სტალინი ვანო - შეურქმევიათ სტალინთან გარეგნული მსგავსების გამო.

შახი - დაურქმევიათ იმის გამო, რომ ბავშვობაში ფეხი გვიან აუდგამს და შაჰივით სულ ტახტზე მჯდარა. დღეს მას ამ მეტსახელით მოიხსენიებენ ოჯახის წევრებიც და თანასოფლელებიც.

ჰიტლერა - შეარქვეს ჰიტლერთან გარეგნული მსგავსების გამო.

ლიტერატურული გმირებისა და მხატვრული პერსონაჟების სახელები მეტსახელებში:

კალიქსტო - სერიალში ერთ-ერთ გმირს კალიქსტო რქმევია, სწორედ მასთან ფიზიკური მსგავსების გამო ეძახიან ამ მეტსახელს.

ნიკულინი - ერთ-ერთი კინოს პერსონაჟის როლის შემსრულებელ ნიკულინთან მსგავსების გამო დაარქვეს. მას დღეს ყველა ამ სახელს ეძახის და ნამდვილი სახელით თითქმის აღარავინ მიმართავს.

ჯაყო - კინოფილმის „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟ ჯაყოსთან მსგავსების გამო დაარქვეს.

გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები:

აყაყულიანთ ვალოდია - ამ მეტსახელს ეძახიან სიმაღლის გამო, მისი მამაც მაღალი ყოფილა და ამიტომ აყაყულიანთს ეძახიან მეტსახელად.

ბაცულა - ბავშვობაში მსუქანი ყოფილა და ბანცალით დადიოდა, ამიტომ მამიდას ბაცულა შეურქმევია. მას დღემდე ამ სახელით მოიხსენიებენ.

ბაწარა - სიმაღლისა და სიგამხდრის გამო დაარქვეს. -ა სუფიქსი ტოპონიმებში არის მაპოტოპონიმებელი, ა- სუფიქსი ამავე დროს არის მაკნინებელი. ამ შემთხვევაში გამოყენებულია, როგორც მაკნინებელი.

ბაჯი - სიდაბლისა და სიმსუქნის გამო დაარქვეს პატარა გოგოს თანაკლასელებმა და დღესაც ამ სახელით მიმართავენ მას თანაკლასელები. („ბაჯი“ აზერბაიჯანულად ქალია).

ბომბორა - ბავშვობაში მსუქანი ყოფილა და ამის გამო შეურქმევიათ. მას დღეს ყველა ამ სახელით იცნობს.

ბუწა - თმები სულ გაშლილი და გაბუწული ჰქონდა, ამიტომ დაერქვა.

დიდთავა - დიდი თავის გამო დაერქვა.

ზღარბი გია - მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის მეტსახელია. პიროვნებას ეს სახელი აბურმგნული თმის გამო დაარქვეს. მას ამ სახელით ხშირად მოიხსენიებენ, რადგან სოფელში რამდენიმე გია ცხოვრობს, სწორედ ამიტომ, მეტსახელით აკონკრეტებენ, რომელ გიაზეა საუბარი.

კვარკვარე - დიდი დაჭყეტილი შავი თვალების გამო შეერქვა ბავშვობაში. მოფერებით ამ მეტსახელს ეძახდნენ, თუმცა დღეს მას ამ სახელს აღარავინ ეძახის.

კოპწია - თავის მოვლა ზედმეტად ჰყვარებია და ამიტომ შეურქმევიათ ეს მეტსახელი. მას ამ სახელს არ ეძახიან, მაგრამ თანასოფლელები საუბრის დრო ამ სახელით იხსენიებენ.

კოტიტა - დაურქმევიათ სიდაბლის გამო.

კურკა - ბავშვობაში ძალიან პატარა, დაბალი ყოფილა და ამის გამო დაარქვეს.

კუს თავა - პატარა თავის გამო შეარქვეს თანატოლები დღეს ხშირად ამ მეტსახელს ეძახიან.

პაყარა - ცეცხლისფერი თმის გამო შეარქვეს.

პუდელი - შეარქვეს ხუჭუჭა თმის გამო.

სალამურა - მამამ დაარქვა სიგამხდრის გამო. ამ მეტსახელს მხოლოდ ოჯახის წევრები ეძახიან.

სპილო - სიმაღლისა და სიმსუქნის გამო დაარქვეს.

სუხო - სიმაღლისა და სიგამხდრის გამო შეურქმევიათ.

ტახუნა - ტახთან მსგავსებით მოფერებით შეარქვეს.

ტლაპო - ეს მეტსახელი სიშავის, კანის ფერის გამო შეარქვეს. დღეს მას ამ სახელით თანასოფლელები ერთმანეთთან საუბრისას იხსენიებენ, თუმცა პირადად მას ამ სახელით არავინ მიმართავს.

ყოყე - ძალიან მაღალია და ამის გამო, ხოლო მის შვილს კი ყოყეს ბიჭს ეძახიან.

ყოყოლო - სიმაღლის გამო დაარქვეს.

ყურშა - დიდი ყურების გამო ეძახიან.

შავი ვანო - კანის ფერის გამო ეძახდნენ.

შურუპა - სიგამხდრის გამო დაერქვა.

ჩიკორა - პატარაობაში ძალიან მოუსვენარი ყოფილა, ერთ ადგილზე ვერ აჩერებდნენ, სულ ჩიკორივით ბზრიალებდა და ამის გამო შეარქვეს მეტსახელად ჩიკორა. მეტსახელმა განდევნა ნამდვილი სახელი და მას სოფელში ყოველთვის ყველა ჩიკორას ეძახდა.

ჩულო - დაარქვეს ბავშვობაში, რადგან კარგად ვერ დადიოდა. ასე უთქვამთ ეს ბავშვი ჩვილი ხბოსავით დადისო და მას მერე ჩულოს ეძახიან.

წოპწოპა - წვეტიანი თავის გამო შეარქვეს.

ჭუტა - მოჭუტული თვალების გამო დაარქვეს.

ჯღუნა - ლაპარაკის დროს სახეს ჯღანავდა და ამის გამო დაერქვა ეს მეტსახელი.

წარმომავლობის გამომხატველი მეტსახელები:

ოსი გიო - დედა ოსი ყავს და ამიტომ ეძახიან.

სომეხი დალი - სომეხია და ამის გამო დაარქვეს.

ფიზიკური, გონებრივი და სხვა თვისებრივი ნაკლის გამომხატველი მეტსახელები:

აფერისტი - ხშირად იტყუებოდა და ამის გამო დაერქვა.

აღა - ბავშვობაში დაურქმევიათ, როცა ამინებდნენ არ იძინებდა და არ მეძინებას ვერ იძახდა და იძახდა აღა აღა მეძინებო, ამის გამო აღა დაარქვეს.

ბაბა - პურს ბაბას ეძახდა და ეს მეტსახელიც ამიტომ შეარქვეს. მას ხშირად ამ სახელით მოიხსენიებენ.

ბებერო - დაარქვეს იმის გამო, რომ ბავშვობიდანვე დიდი ადამიანის აზროვნება ჰქონდა.

გაბო - პატარაობაში ბაბოს გაბოს ეძახდა და ამის გამო დაერქვა, დღესაც ამ მეტსახელს ეძახიან.

დურაკი - უჭკუობის გამო დაარქვეს.

ზალა - პაპის სახელს ეძახიან შვილიშვილს მეტსახელად, რადგან პაპის ხასიათი აქვს, მასავით ნელი ადამიანია.

თარა - პაპის მეტსახელს შვილიშვილს ეძახიან. თურმე ჩქარას ვერ ამბობდა და იძახდა თარას სწორედ ამიტომ შეერქვა აღნიშნული მეტსახელი.

კაოჩე - საუბრის დროს ხშირად ხმარობს სიტყვას „კაოჩე“ და ამიტომ რუსული სიტყვა „капуче“-დან შეერქვა ეს სახელი.

კაპიკა - მაღაზიის მფლობელია, რომელიც თურმე კაპიკს არავის შეარჩენდა, სწორედ აქედან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობამ მას კაპიკა დაარქვა. თვითონ ამ მეტსახელის მატარებელს ეს სახელი არ მოსწონს და ყველას უკრძალავს ამ სახელის მისთვის დამახებას.

კისერა - მსხვილი და დიდი კისერის გამო დაარქვეს.

კიჭა - შეერქვა იმის გამო, რომ სულ რამდენიმე კბილია ჰქონდა, ამ მეტსახელით ოჯახის წევრების გარდა არავინ მოიხსენიებს.

კოტიტა - დაერქვა სიდაბლის გამო.

მუნჯი თემო - ყრუ-მუნჯია და ამის გამო ეძახიან.

ოციკა - დაურქმევიათ ბავშობაში. თურმე, როცა ეკითხებოდნენ: რამდენი კამფეტი გინდაო, ოც კამფეტს ვერ ამბობდა და ამბობდა ოციკა მინდაო. აქედან მოყოლებული ხან ოციკას ხან კი ოცეს ეძახიან. მას დღეს ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს. ხშირად მის ძმასაც ოციკას ეძახიან. თვითონ ამ მეტსახელის მატარებელი პიროვნება თავის შვილიშვილს, რომელიც მისი მოსახელეა, ეძახის მოფერებით ოციკას.

პაპი - ბავშობაში პაპის კალთას ყოფილა გამოკერებული, სულ პაპი, პაპის, იძახდა, ამიტომ დაერქვა.

პაჟარნიკი - ხანძარი გააჩინა და ამის გამო დაერქვა.

პრავა - ბავშობაში რომ ეკითხებოდნენ, რა უნდა გამოხვიდეთ ყველას პასუხობდა: პრავადნიკიო. ამიტომ მას მეტსახელად დღემდე პრავადნიკს, შემოკლებით კი პრავას ეძახიან. დღეს თითქმის მის ნამდვილ სახელს აღარავინ ხმარობს და ყველა მეტსახელით მოიხსენიებს.

სლოკინა - ხშირად ასლოკინებდა და ამის გამო დაარქვეს.

ტიტილა - ბავშობაში ვერ იძახდა წიწილას და იძახდა ტიტისას, ამიტომ შეერქვა ეს სახელი.

ტრუცუნა - ღორებს ბავშობაში ტრუცუნებს ეძახდა, ამიტომ ახლობლებმა ეს მეტსახელი შეარქვეს.

ტუტუნა - მეტყველების პრობლემა ჰქონდა და ამიტომ დაარქვეს.

ქაცო - კაცოს ვერ იძახდა და იძახდა ქაცოს და ამიტომ შეერქვა.

ქსიტია - ბავშობაში შეურქმევიათ, რადგან ჩიტის ვერ იძახდა და იძახდა სიტის და დაარქვეს სიტია, ამჟამად ქსიტას ეძახიან. დღეს სოფელში ყველა ამ სახელით მოიხსენიებს, თუმცა თავად მას ამ სახელით არ მიმართავენ..

ყრუ ნუფზარა - დაყრუვდა და ამის გამო დაარქვეს.

ჩიფჩიფა - ბავშობაში ენას უკიდებდა, ვერ მეტყველებდა გამართულად. ამ მეტსახელს პატარაობისას ეძახდნენ, მაგრამ ამჟამად ამ სახელით აღარავინ მიმართავს.

ჩოჩორა - ქოჩორა ქათამს ჩოჩორას ეძახდა და დაარქვეს ჩოჩორა.

ძუნძულა - მსუქანია და ძლივს დადის ძუნძულით, ამის გამო დაერქვა.

წივა - პატარაობაში წვრილი ხმა ჰქონდა და სულ წიოდა, ამიტომ შეარქვეს წივა. მისი ნამდვილი სახელი ზვიადია, თუმცა დღეს სოფელში ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახის. ყველა მეტსახელით მიმართავს. თვითონ თავის თავსაც წივას ეძახის.

წუტე - გრძელი და წვეტიანი ცხვირის გამო დაარქვეს და ყველა ამ მეტსახელით მოიხსენიებს.

ჭუჭული - იმიტომ შეარქვეს, რომ ბავშობაში ერთთავად წყალში მჯდარა.

ხაშური - ბავშობაში, რომ ეკითხებოდნენ, რა გვარი ხარო, ხაჩიურს ვერ ამბობდა და იძახდა: ხაშურიო, სწორედ, ამიტომ ხაშური დაერქვა და მას დღემდე ამ მეტსახელს ეძახიან.

ხეტი - ხეტური ლაპარაკის გამო დაარქვეს.

თვისების გამომხატველი მეტსახელები:

კუდა - ხასიათის სიემშაკის გამო დაარქვეს.

მწარე - მწარე ენის გამო დაარქვეს.

ნაპერწკალა - ძალიან სწრაფი და მოხერხებულია, ამიტომ დაერქვა ეს მეტსახელი.

ტოტო - ტოტო კუტუნის სიმღერებს მღეროდა და ამის გამო დაარქვეს. მას დღესაც კი ყველა ტოტოს ეძახის.

წინაპარი - დაარქვეს ნათესაებმა, სუფრაზე სადღეგრძელოს თქმის დროს დიდხანს ჩერდება წინაპრების სადღეგრძელოზე, ყოველთვის დიდი რუდუნებით იგონებს მათ. ამ სახელს მას ძირითადად ნათესაეები ეძახიან.

ჭიმი - ყოველთვის წელსა და მხრებში გაჭიმული დადიოდა და ამის გამო დაარქვეს.

ხორცა - ხორცის სიყვარულის გამო დაერქვა.

ცხოველების, ქვეწარმავლების და ფრინველთა მსგავსებით შერქმეული მეტსახელები:

ბაჭია - ბაჭიასავით დაცქვეტილი ყურების გამო დაარქვეს.

კაჭკაჭო - ბევრი ლაპარაკი უყვარდა ბავშვობისას, რასაც ეტყოდნენ ყველაფერს იმეორებდა, ამიტომ მეზობელმა კაჭკაჭო დაარქვა. მას დღემდე ყველა ამ მეტსახელს ეძახის.

წრუწი - პატარაობაში წრუწუნასავით პატარა იყო ამიტომ წრუწუნა დაარქვეს და დღეს კი წრუწის ეძახიან.

ჭოტი - ძილი არ ყვარებია და ჭოტი შეარქვეს.

მცენარეთა სახელები მეტსახელად:

ყვავილო - სინაზისა და სილამაზის გამო შეარქვეს ეს სახელი.

წიწაკა - საუბრის დროს ისეთ სიტყვას იტყვის, რომ ადამიანს გაამწარებს, ამიტომ წიწაკა დაარქვეს.

უცნობი სემანტიკის გამომხატველი მეტსახელები.

აჩიკა, ბარჯა, ბაქრა, ბუხარა, ბაშვირა, გეციო, დადუცი, დაფხოტა, დორება, ვაწა, იბდულიე, კაჩო, პაჭანა, სენტე, ფადილა, ფანჩუხა, ფაჩუნა, ყაზარა, ჩანახა, ჩიკრა, ცანცლი, ხაჩიკა, ხე ბოგირა.

ასევე გვხვდება ისეთი მეტსახელები, რომლებშიც უცნობია დარქმევის მოტივაცია: დამპალო, დრაბილკა, დოლა, ლოქო, მიკიტანი, მწვანე, ნაქუჩა, ფაჩუნა, ჩანახა, ჩვარი, ჩულჯი, ხე ბოგირა.

სამწუხაროდ, აღნიშნული მეტსახელების მატარებელმა პიროვნებებმა არ იციან, თუ რატომ დაერქვათ ეს სახელები.

კნინობით-მოფერებითი, ალერსის გამომხატველი მეტსახელები:

მოფერებით-კნინობითი ჰქვია ისეთ წარმოქმნილ სიტყვებს, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ. მათ საწარმოებლად იხმარება **-ილ, -იკ||-იკო, -უკ-ა, -უნ-ა, -ა**. სოფელში მრავლად ვხვდებით ასეთი ტიპის მეტსახელებს.

-იკ-ო სუფიქსი წარმოშობით წოდებით ბრუნვაში ყოფილა, მაგრამ ამჟამად მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაციული მაწარმოებელია საალერსო ფორმებისა. ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: თამარ-თამრიკო, გულო-გულიკო, შალვა-შალიკო, მარი-მარიკო, ნინი-ნინიკო..... **-უნ-ა** მოფერებით-დამცირებითს ფორმებს აწარმოებს სახელის გარკვეული ფუძისაგან. დათო-დათუნა, გოჩუნა.... ასეთი სახელები საკმაოდ ბევრია სოფელში.

ა დერივატი დამცირებით (კნინობით) ფორმებს აწარმოებს: **ა** დერივატით ნაწარმოები მეტსახელები მრავლადაა ქორდშიც. დავით-დავითა, ნიკოლოზი-ნიკოლოზა, ბაგრატი-ბაგრატა, თამარი-თამარა, გიული-გიულა....

ხშირ შემთხვევაში მეტსახელი იმდენად პოპულარული ხდება, რომ ამა თუ იმ პირს მეტსახელით უფრო იცნობენ, ხოლო მისი ოფიციალური სახელი ისეა მივიწყებული, რომ საჭიროების შემთხვევაშიც ვერ იხსენებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტსახელებს ძირითადად მამაკაცებს არქმევენ, ქალებს კი შედარებით იშვიათად.

ჩვენ შევეცადეთ, აღნიშნულ ნაშრომში ნაწილობრივ წარმოგვედგინა სოფელ ქორდში დაცული ანთროპონიმული მასალა, მოგვეხდინა მათი აღნუსხვა და დაჯგუფება. ჩვენ მიერ მოკვლეული მასალები, ცხადყოფენ, იმას, რომ სოფელი მდიდარია ანთროპონიმული მასალით. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული. ანთროპონიმული მასალის მხრივ ქორდში საკმაოდ მრავლადაა მეტსახელები. მათმა შესწავლამ ბევრი საინტერესო ენობრივი ერთეული გამოავლინა.

მიგვაჩნია, რომ ერთობ საინტერესო იქნება, პატარა ლიახვის ხეობაში შემავალი სოფლების ონომასტიკური მასალის აღნუსხვა, მათი ერთმანეთთან შედარება და შემდგომი კვლევა. ვფიქრობთ, კვლავაც გავაგრძელებთ კვლევას ამ მიმართულებით და შევძლებთ, არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის აღმოჩენასა და შემდეგ, უკვე მათ საფუძვლიან კვლევას.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.
2. ლლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.
3. ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.
4. ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, თბ., 2003.

Mariam Okropiridze
Gori State Teaching University
Supervisor: Vianor Akhalaia, Professor
ANTHROPONYMY (NICKNAMES) OF VILLAGE KORDA
SUMMARY

Confirmed nicknames in village Korda mainly depict features and appearance. There are cases when a surname or a personal name is used as a nickname. In this case, a close similarity according to some sign is taken as a motive.

ისრაელის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

შესავალი

ბუნებითი სამართალი არის რწმენა, რომელიც ყოველ ინდივიდს აძლიერებს, სიმყარე აზრების იმ დიდებულ ქმნილებათა შესახებ, რომელსაც ჰქვია მისწრაფება სახელმწიფოებრიობისა და მისი ჩამოყალიბება გაძლიერებისა. როგორც ნიცშე ამბობდა, „განათლება ეს არის უკეთილშობილეს სულთა უკვდავება“. უკვდავება და მარადისობა იმ ხალხისა და ერის ცოდნა, რომელმაც ყველაფერი ხრიოკიდან დაიწყო, და უდაბნო მისაბამ და სანატრელ ქვეყნად აქცია. მიწა, რომელზეც ვცხოვრობთ, ეს საკუთრებაა მომავალი თაობისა, ის ჩვენ არ გვეკუთვნის და ყოველი დაკარგული ან განადგურებული მტკაველი აუცილებლად ამოტივტივდება და ისტორია მას ჩაიწერს იუდა ისკარიოტელის გამცემლურ ოცდაათ ვერცხლზე. „და დღეიდან აღარ გერქვას იაკობ, რამეთუ ღმერთს შეებრძოლე და იწოდო ისრაელად“. დიდი დრო გავიდა ამ წარმოთქმული სიტყვებიდან, შეიქმნა ღმერთთან მებრძოლი ძლიერი და მეღანქოლით სავსე ოქროს ბარძიმი, ბარძიმი, რომელშიც სიწმინდესთან ერთად ბევრი ცოდვაა შეზავებული. მოსე წინასწარმეტყველი, მოსეს კანონებით სახელმწიფოს მართველობის წესები და ბევრი ძლიერი ნაბიჯი, რომელმაც დროისა და ჟამის სვლას მედგრად გაუძლო. რა არის მაშინ დავითი?, თუ არა ერის ხმა ამალღებული ღმერთამდე და მისი მაღლი გარდამოსული მიწაზე, იმ მიწაზე, რომელზეც სისხლის ღვრისა და წინასწარმეტყველების გარდა ბევრი სხვა რამ ნახეს, იხილეს ის, რომ ნიჰილიზმის დამარცხებას ბევრი რამ შეუძლია. ისრაელი სიბრძნის დეტონაციას ახორციელებდა და დღემდე ახორციელებს. აპათისტური მიდგომა გააჩნდა ყველაფრის მიმართ, ვინც მის კეთილდღეობას ეხებოდა. იაკობი აღმოჩნდა მეტროპატი, რომელიც იცვლის საქმროს ერის დიდებისათვის და სიძლიერისთვის. ის არა მარტო რეგიონის, არამედ მსოფლიოში ავანგარდული სულის შემძვრელი ბირთვული ობიექტია. ნოვატორი და რეტროსპექტული, დუღაბი კულტურისა და იუდაიზმისა, პოლიტიკისა და მეცნიერების დივერსიფიკატი. მრავალი ურჯულო გამოჩნდა, რათა იერუსალიმზე თავიანთი ახალი იერუსალიმი აეშენებინათ, ასეც ხდებოდა, მაგრამ ის ვერასდროს მიაღწევდა იმ მშვენიერ ოაზისურ სამყაროს, რომლის სახეც უდაბნოში აღმოცენებულ მარადმწვანე ყვავილს წაგავს. ყოველი დიდი მეფე დავითად იწოდებოდა, ყოველი გამორჩეული ხალხი ახალ ისრაელიანელად. სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან დღემდე ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა შორის მუდმივი დამაბული ვითარება სუფევს, შეიძლება ითქვას, ღმერთთან მებრძოლი ისრაელი მშვიდობამ დიდი ხნის წინ დატოვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც რჩება უდიდეს სამხედრო ფენომენად. ებრაელმა ერმა ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში, მაგრამ სიკვდილის ანგელოზი გააქვავეს ვასილისკოს მსგავსად. ისრაელი სახელმწიფოა, რომელმაც შეუძლებელი შეძლო. „ისრაელი არ შექმნილა იმისთვის, რომ ის აღიგაოს პირისაგან მიწისა“ (ჯონ ფიცჯერალდ კენედი) ამრიგად აღსანიშნავია ის, რომ ჩემი რეფერატი შეეხება ისრაელის ყოფა-არსებობას, მოყოლებული უძველესი დროიდან დღემდე, განვიხილავ მატერიკთა სახეცვლილებას და ებრაული კერის არსებობას, იაკობი დღეს, მის წინააღმდეგ წარმოქმნილ პრობლემებს, მეზობლებს ახლო აღმოსავლეთში და პოტენციურ საფრთხეებს, რომელსაც ირანი და მეტ წილად არაბული სამყარო წარმოადგენს. ისრაელი შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი და ერთადერთი ბირთვული სახელმწიფოა. თავისი მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელიც ისრაელის სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას უწყობს ხელს, საინტერესო მოვლენაა ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო ჰეგემონთა ჭიდილი, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან ირიბი თუ პირდაპირი სახით. მოყოლებული ანტიკური დროიდან იერუსალიმი ამ ორთაბრძოლის მსხვერპლი იყო. ბუნებრივი მოვლენაა სახელმწიფოებისთვის და, მით უმეტეს, იმპერიებისთვის ბრძოლა პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ზენიტის შენარჩუნებისთვის. მიუხედავად ყველაფრისა ისრაელი მყარად დგას და ინარჩუნებს პატარა, მაგრამ დიდებული დერჟავის სახეს.

სევდიანი და სისხლიანი გზა მოსედან ხაიმ ვაიცმანამდე

უდიდესი წინასწარმეტყველის წოდება ისრაელის ისტორიაში მოსე წინასწარმეტყველს ერგო. ის ებრაელი ერის არა მარტო ნაციის დამფუძნებელი, არამედ ერის წინამძღვარი და კანონმდებელია. მოსე ცნობილია თავისი ხალხის მხსნელად და უდიდეს მოციქულად. ძველი წელთაღრიცხვით მე-13 საუკუნეში მოსემ თავისი ხალხი ეგვიპტის და ფარაონის მონობიდან გამოიყვანა. გზა მართლაც სისხლიანი და საკმაოდ რთული გასავლელი აღმოჩნდა. წინასწარმეტყველი აარონთან ერთად წარდგა ფარაონის წინაშე და უფლის ნება აუწყა, მაგრამ უღმრთო ხელისუფალმა უარი განაცხადა ებრაელთა გაშვებაზე. ღმერთმა ათი სასჯელი დაატეხა თავს ეგვიპტეს: მოსეს სიტყვით, მდინარეებში, ტბებში და ჯურღმულებში წყალი სისხლად იქცა; სეტყვამ და კალიამ გაანადგურა ნათესები; სამდღიანი წყვდიადი ჩამოწვა ქვეყანაში... მაგრამ გაკერპებული ფარაონი მაინც თავის აზრზე იდგა. მეორედან დაწყებული, სასჯელად მოვლენილი ყოველი უბედურების ჟამს იგი პირობას დებდა, რომ გაათავისუფლებდა ისრაელებს, მაგრამ, როგორც კი სიმშვიდე დაისადგურებდა, კვლავ უკან მიჰქონდა თავისი სიტყვა. უსჯულომ მხოლოდ მაშინ შეასრულა უფლის ბრძანება, როცა, ღვთის ნებით, ანგელოზმა ეგვიპტელების ყველა პირველშობილი ძე დახოცა. ეგვიპტის მონობიდან ექვსი ათასამდე კაცი გამოვიდა ქალებისა და ბავშვების გარდა, მოსეს წინამძღვრობით გაუდგნენ გზას და მეწამულ ზღვას მიადგნენ, რომელიც წინასწარმეტყველმა კვერთხის დარტყმით განაპო და ებრაელები ეგვიპტის მონობიდან იხსნა. ფარაონის მიერ დადევნებული ლაშქარი კი მეწამულ ზღვას ემსხვერპლა. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ისრაელები სინას მთაზე დასახლდნენ, ორმოცი წლის განმავლობაში მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელი ერი უდაბნოში ატარა, რათა აღთქმულ ქვეყანაში მიეყვანა თავისი სამწყსო, აღასრულა ღმერთმა დანაპირები, მეორმოცე წელს მოსემ უფლის რჩეული ერი ქანაანის საზღვართან მიიყვანა, თვითონ კი შორიდან შეხედა აღთქმულ ქვეყანას და მიიცვალა.

ეგვიპტის ფარაონის გამტყუნება პოლიტიკური მორალიდან გამომდინარე ძნელია, რადგან ყოველი დიდი მეფე, იმპერატორი თუ სულთანი ყოველთვის იბრძვის თავისი იმპერიის სიმღიერისთვის და გაფართოებისთვის. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთერთმეტე მეთათე საუკუნეებში პალესტინის მიწაზე მდებარეობდა ისრაელის გაერთიანებული სამეფო, რომელიც შემდეგ ორად გაიყო. „ქვეყნის ჩრდილოეთში ისრაელის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 722 წლამდე იარსება, სამხრეთში კი იუდეის სამეფო. ეს უკანასკნელი საბოლოოდ ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში განადგურდა, თუმცა მანამდეც რამდენიმეჯერ შეწყვიტა არსებობა“. ქრისტეს შობიდან 63 წელს პომპეუსმა აიღო იერუსალიმი და ის რომის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, 66 წელს რომაელებს ისრაელში მცხოვრებნი აუჯანყდნენ და 70 წელს რომაელებმა აჯანყება სისხლისღვრით ჩაახშეს, მათ იერუსალიმი ხელახლა დაიპყრეს. ამით საბოლოოდ მოეღო ბოლო ანტიკური ხანის ებრაულ სახელმწიფოებრიობას. 132 წელს ბარ-კოხვას მეთაურობით ახალი ამბოხება დაიწყო და 136 წლამდე გაგრძელდა. ეს ამბოხებაც რომაელებმა ჩაახშვეს, რასაც ასიათასობით ებრაელი ემსხვერპლა; ამის შედეგად ებრაელი ერი უმცირესობად იქცა ისრაელის მიწაზე. მე-9 საუკუნემდე ქვეყანაში მაინც არსებობდა რამდენიმე ებრაული ქალაქი და სოფელი, შემდეგ კი ძალზე მცირერიცხოვანი თემებიცაა შემორჩა. მეოთხე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე ისრაელის მიწა მრავალმა განსხვავებული ეროვნების დამპყრობელმა და ურჯულომ დაიპყრო, შუა საუკუნეებიდან ებრაელები შეძლებისდაგვარად ჩადიოდნენ თავიანთ სამშობლოში და მათი რიცხვი ნელ-ნელა მატულობდა, მას შემდეგ, რაც სიონისტური მოძრაობა დაარსდა (მე-19 საუკუნე) ებრაულმა იმიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამრიგად ებრაელები ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ. სიონისტურმა მოძრაობამ თეოდორ ჰერცლის მეთაურობით დიდი წვლილი შეიტანა ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. მოსე წინასწარმეტყველის შემდეგ მრავალ არეულობას და პოლიტიკური დაძაბულობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ხალხის მონდომებამ შეძლო მოსეს ქვეყნის თავიდან აღდგენა და მასში პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება. 1948 წელს ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მისი პირველი პრემიერ-მინისტრი დავიდ გურიონი გახლდათ, ხოლო პრეზიდენტი ხაიმ ვაიცმანი. სწორედ ხაიმ ვაიცმანიდან იწყება ისრაელში პრეზიდენტის ინსტიტუტის დაარსება და დღემდე წარმატებით გრძელდება. ხაიმ ვაიცმანის პრეზიდენტობის დროს გაწევრიანდა ისრაელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მატერიკთა სახეცვლილება და ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბება

კაცობრიობის ისტორია ომისა და მშვიდობის თანაცხოვრების შეუდარებელი სახეა, ისტორიის მანძილზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ენაცვლებოდა ერთმანეთს მშვიდობა და ომი. ყოველი ეკონომიკური კრიზისის თანმყოფი მოვლენაა მატერიკთა სახე ცვლილება პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ ჭრილში. ომი, ბუნებრივია, ეკონომიკურ კრიზისს ბადებს, ხოლო ყოველი ლოკალური თუ დიდი ომის შემდეგ კონტინენტის ან მსოფლიოს პოლიტიკური რუკა იცვლება.

კაცობრიობას ახსოვს პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ნათელია ის ფაქტიც, რომ პირველ მსოფლიო ომს მაშინ ეწოდა პირველი, როდესაც მეორემ დაიწყო ხალხთა მასობრივი ჟლეტა. უამრავი ადამიანი ემსხვერპლა დიქტატორთა ინტერესების სამსახურს, და მათდამი მორჩილებას. მეორე მსოფლიო ომი, ისევე როგორც პირველი, აუცილებლად მოახდენდა გეოპოლიტიკურ ცვლილებებს, სახელმწიფოების შექმნასა და ქვეყნების გაქრობას საერთაშორისო არენიდან. დიდი დოიჩლანდის კანცლერი ადოლფ ჰიტლერი გახლდათ, რომლის დამსახურებითაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ექვსი მილიონი ებრაელი შეეწირა მის ანტისემიტურ დამოკიდებულებას და ვაგნერის იდეოლოგიის მიმდევრობას. ომის დამთავრების შემდეგ სულ რაღაც სამ წელიწადში ახლო აღმოსავლეთში ერთადერთი ებრაული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომელსაც მთელი არაბული სამყარო ეწინააღმდეგებოდა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის ეს მართლაც საოცარი მოვლენა გახლდათ, პალესტინაზე დასრულდა ბრიტანელების მანდატი და ისრაელის სახელმწიფოც შეიქმნა 1948 წელს. მოყოლებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან ისრაელი საომარ მდგომარეობაში იმყოფება დღემდე თავის მეზობელ ქვეყნებთან. შეიძლება ითქვას, რომ ის ცეცხლში და სისხლის ღვრაში წარმოიქმნა. სიონისტ ლიდერებს პრეტენზია ჰქონდათ მთელი პალესტინა ყოფილიყო ისრაელის ტერიტორია, მაგრამ გაეროს რეზოლუციას ისინი მაინც დათანხმდნენ, რადგან იმითაც კმაყოფილდებოდნენ. არაბები არ ემხრობოდნენ პალესტინის გაყოფის გეგმას, ისინი მას უსამართლოდ მიიჩნევდნენ, ამრიგად არაბულმა ლიგამ, რომელიც 1945 წელს დაარსდა, დაიწყო მოხალისეთა ფორმირება და მათი პალესტინაში შეგზავნა. არაბებსა და ებრაელებს შორის მოლაპარაკება და მშვიდად ცხოვრებას პირი არ უჩანდა. ორივე მხარე გამალებით იარაღდებოდა, იმაგრებდნენ სტრატეგიულ ადგილებს და მუდმივად საომარ მდგომარეობაში იყვნენ ერთმანეთთან. 1948 წლის 14 მაისს ებრაულმა სახელმწიფომ სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო ამავე წლის 15 მაისს არაბული ქვეყნების ლიგამ, რომელშიც შედიოდა: სირია, ლიბანი, ეგვიპტე, ერაყი და ტრანსიორდანი, ომი გამოუცხადა. ისრაელი სწრაფად ვითარდებოდა შეიარაღების კუთხით, იმავე წლის აპრილში ისრაელმა ეგვიპტის საჰაერო სივრცეს ხაზი გადაუსვა „მესერშიტის“ ტიპის თვითმფრინავებით. „სტალინის ნებართვით, ჩეხოსლოვაკიამ მიჰყიდა საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი ისრაელს, რამაც მას საბოლოოდ ომი მოაგებინა“ (გაჩეჩილაძე რ., „ახლო აღმოსავლეთი სივრცე ხალხი და პოლიტიკა“, გვ. 446) მოყოლებული 1948 წლიდან, ისრაელის ჩამოყალიბებიდან დღემდე, ბევრი ომი გადაიტანა ამ პატარა სახელმწიფომ თვითმყოფადობისათვის, მაგრამ მსგავს პრობლემებს ყოველი თუ არა ნაწილობრივ სხვა სახელმწიფოებიც აწყდებიან, მთავარი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში არის მოკავშირეთა გვერდში დგომა, სწორედ ძლიერმა მოკავშირეობამ ისრაელს შეაძლებინა ყველა იმ სტერეოტიპის დანგრევა, რასაც მეცნიერები ხშირად უწოდებენ, „პატარა სახელმწიფო განწირულია დაღუპვისთვის“.

ირანი, როგორც რეგიონისა და ისრაელის პოტენციური საფრთხე

ირანის სწორად დასახასიათებლად და სწორად შესაფასებლად უნდა დავიწყოთ მისი განხილვა თანამედროვე სამყაროში, მისი როლიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ირანის პოტენციალი და, თუნდაც მისი სამომავლო გეგმები, საჭიროა სწორად შევაფასოთ ირანის ეკონომიკა, საგარეო პოლიტიკა, სამხედრო ძალა და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთოთ ანალიზი თუ რამდენად არის საფრთხე რეგიონისათვის და ამ რეგიონში მყოფი ისრაელის სახელმწიფოსთვის.

1979 წელს ირანში მოვლენები დრამატულად განვითარდა. რევოლუციური გადატრიალების და პროდასავლური ორიენტაციის მქონე შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის გაქცევის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნდა რუჰოლა ჰომეინი და გამოცხადდა ირანი ისლამურ რესპუბლიკად, რელიგია კი შიიტური ისლამი გახდა. ცვლილებები აისახა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში. ანტიამერიკულმა განწყობამ გამოიწვია 1979 წლის ნოემბერში თეირანში ამერიკის საელჩოზე თავდასხმა და ორმოცდათორმეტი ამერიკელის ტყვედ აყვანა, პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციამ ირანის ქმედებებს ირანული ანგარიშების (12 მილიარდი დოლარი) გაყინვითა და ნავთობის იმპორტის შეწყვეტით უპასუხა. 1980 წლის აპრილში, ალჟირის შეთანხმებით, ირანულმა მხარემ გაანთავისუფლა მძევლები, ხოლო შეერთებულმა შტატებმა უზრუნველყო ნაწილი ირანულ ანგარიშებზე ხელმისაწვდომობა. გაყინული დარჩა შაჰის საბანკო ანგარიში. ვითარება საკუთრივ ახლო აღმოსავლეთშიც დაიძაბა. 1988 წლის 20 სექტემბერს დაიწყო ერაყ-ირანის ომი, რომელმაც 8 წელი გასტანა. ომი ერაყმა დაიწყო, თუმცა სადამ ჰუსეინის ძალადობრივ ამბიციებს დასავლეთმა და გაერომ არათუ ხელი შეუშალა, მწვანე შუქიც კი აუნთო, რამაც ქვეყნებს შორის ურთიერთობის დალაგება კვლავ გადაავადა. შემდგომ პერიოდში, კლინტონის ადმინისტრაციის მიერ ირანი აღიქმებოდა ქვეყანად, რომელიც აფინანსებდა ტერორიზმს და აწარმოებდა ბირთვულ პროგრამას, რომელიც არ ემსახურებოდა სამშვიდობო მიზნებს. ირანსა და ჰესბოლას შორის კავშირები 1980 წლიდან არსებობდა. ჰესბოლა - ექსტრემისტული მუსლიმური დაჯგუფება - 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა და განსაკუთრებულად აქტიური ლიბანში

იყო. 1983 წელს, ამერიკული საზღვაო ყაზარმების დაბომბვის შემდეგ, რომელიც განხორციელებულ იქნა ჰესბოლას წინამორბედების მიერ, ირანი დადანაშაულებული იქნა ტერორიზმის დაფინანსებაში. ჰესბოლას მიერ განხორციელებულმა შემდგომმა აქტებმა გამოიწვია ის, რომ 1995 წელს ირანი ოფიციალურად შეფასდა, როგორც ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფო. კლინტონის ადმინისტრაციამ ირანს ყოვლისმომცველი სავაჭრო და საინვესტიციო სანქციები დაუწესა. 2005 წელს ირანი სათავეში მოვიდა აჰმადინეჯადი, რომელიც მკვეთრი მტრული და ნაციონალისტური რიტორიკით გამოირჩეოდა. აჰმადინეჯადი ირანის ბირთვული პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი იყო და მისი აზრით, ეს მხოლოდ სამშვიდობო მიზნებს ემსახურებოდა. მიუხედავად უშიშროების საბჭოს ანგარიშებისა და ასევე გამკაცრებული სანქციებისა, ირანი მაინც აგრძელებდა ურანიუმით გამდიდრებას. 2008 წელს ნეჯადმა პირობა დადო რომ პროგრამა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. ვითარება გამწვავდა 2011 წელს, როდესაც ბირთვული ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ირანი ატომურ ბომბზე მუშაობდა. ამას მოჰყვა ეკონომიკური სანქციები და 2012 წლისთვის ირანს დაემუქრნენ, რომ დაიბლოკებოდა ჰორმუზის სრუტე, რომელიც ნავთობ გამტარია. 2012 წლიდან ამოქმედდა საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ირანულ ვალუტას. მისი ღირებულება აშშ დოლართან შედარებით 2011 წლის მონაცემების თავისივე ღირებულების 80%-ით დაეცა. მიუხედავად მკაცრი საერთაშორისო რეაგირებისა, ნათანზის სადგურში მაინც მიმდინარეობდა ურანიუმით გამდიდრება. 2013 წლის აპრილში კი, ირანი აკეთებს განცხადებას რომ მან დაიწყო ორ ბირთვულ ნადმსა და ურანის გადამამამუშავებელ ქარხანაზე მუშაობა, ირანის ასეთი ქმედებები საფრთხეს წარმოადგენდა ისრაელისთვის და მთლიანად რეგიონისთვის, სადაც ირანი ცდილობდა მოეპოვებინა გავლენები ბირთვული იარაღის საშუალებით. ისრაელი, როგორც მშვიდობის გარანტი, ახლო აღმოსავლეთში ცდილობს და მომავალშიც შეეცდებოდა ხელი შეუშალოს ირანის აღზევებას რეგიონში, ისრაელი იბრძვის იმისათვის, რომ რეგიონში სიტუაცია სტაბილური იყოს, ხოლო ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შეიძლება იყოს საფრთხე არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ირანი ნათლად გამოხატავს აგრესიას და თავის ანტისემიტურ დამოკიდებულებას, როგორც ისრაელის სახელმწიფოებრიობის, ასევე ებრაელი ხალხის მიმართ. ირანის აგრესია პირდაპირაა მიმართული ისრაელზე, როგორც მის უმთავრეს მოწინააღმდეგეზე, ისრაელის განადგურებით ირანს გზა ეხსნება ახლო აღმოსავლეთში სრული ჰეგემონობისკენ, ირანის უპირველეს მისიას წარმოადგენს ისრაელის პოლიტიკური რუკიდან გაქრობა. რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობას და სუვერენიტეტის განადგურებას ემსახურება, რაც საერთაშორისო სამართლის კანონმდებლობაზე ზურგის ქცევის ტოლფასია.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს არსებობენ მუსულმანი ადამიანები, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ისრაელს ეკუთვნის მისი მიწა, რომ ეს მიწა ღვთისგან აღთქმულია და მათ აქვთ უფლება ამ მიწაზე მშვიდი ცხოვრებისა. ერთ-ერთი მათგანია პროფესორი ჰალილ მოჰამედი, სან დიეგოს უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგე, რომელმაც ჟურნალ „frontpage“-თან ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა.

ბატონი მოჰამედის თქმით ის არის ისლამის მიმდევარი, რომელიც არ ასხვავებს ადამიანებს და პატივს სცემს ყველა სხვა ადამიანს და თავიანთ სარწმუნოებას, ის არის ზომიერი ისლამის მიმდევარი, მისი მიზანია დაუბრუნოს ისლამს ის სილამაზე, რომელიც მისთვის იყო დამახასიათებელი.

დასკვნა

სინგაპურის მართველს, ლი კვან იუს უთქვამს: „თუ სახელმწიფოს არასწორად მართავ, ყველა ჭკვიანი ადამიანი მას უბრალოდ დატოვებს.“ როგორც უკვე აღვნიშნე იმპერიები იქმნებოდნენ და დროთა განმავლობაში ისინი პირისაგან მიწისა აღიგვებოდნენ. ყოველი იმპერია არ იყო წარმონაქმნი ათწლეულებისა, მათ შექმნას საფუძველი ასეულობით წლების წინ ეყრებოდა და დროთა განმავლობაში ისინი მსოფლიო ლიდერებად ან საერთაშორისო არენაზე ზესახელმწიფოებად გვევლინებოდნენ. მატერიკთა შორის ფარული თუ ხილული ორთაბრძოლა ყოველთვის მიმდინარეობდა, ეს სამყაროს და ჰეგემონიის დაუწერელი კანონზომიერებაა.

მიწა, რომელიც ღმერთმა ებრაელ ერს უანდერბა, აღსანიშნავი ფაქტია, რომ ყოველი იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. მრავალი საუკუნის განმავლობაში პალესტინა შედიოდა სხვადასხვა მართველთა ინტერესებში. ისრაელის ჩამოყალიბებამდე ისრაელელები მრავალ ტანჯვას განიცდიდნენ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. როგორც აღვნიშნე, მოსედან მოყოლებული ვაიცმანამდე ბევრი სასტიკი გამოცდა მოუწყო განგებამ ღვთის რჩეულ ერს, მაგრამ ეს აღმოჩნდა საშუალება მიზნის მისაღწევად, როგორც პოლიტიკურ ასევე გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ჭრილში. იერუსალიმი სხვადასხვა მატერიკთა ორთაბრძოლის ველადაც იქცა, მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა. 1948 წელს ებრაული კერა შეიქმნა, და ისრაელი ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა

საერთაშორისო არენაზე. დროთა განმავლობაში მას სხვადასხვა მტრები და კონკურენტები ჰყავდა, ისტორიის სვლასთან ერთად კონკურენტები და პოზიციები იცვლება, საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები ძლიერდებიან ან კიდევ უკიდურესად სუსტდებიან. სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან ისრაელს მთელი არაბული სამყარო ეწინააღმდეგებოდა და არ სურდათ ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს შექმნა. იუდეური ფესვები განახლდა არაბულ ოკეანეში. მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა საერთაშორისო არენაზე არსებულმა დიდმა სახელმწიფოებმა და სიონისტურმა მოძრაობამ შეძლო სახელმწიფოებრიობის მოპოვება. ამ ეტაპისთვის ისრაელი ბირთვულ სახელმწიფოთა რიგებშია, ის ძლიერ და მყარ ნიადაგს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში. ირანი უპირველესი საფრთხეა რეგიონში არსებული პატარა ქვეყნისთვის, მაგრამ ამ ეტაპისთვის, ნატოს ბაზების მეშვეობით და ისრაელის უსაზღვრო სიძლიერის დახმარებით, ის იზოლირებულია. ისრაელის უპირველესი პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელთანაც ისრაელს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ამ პერიოდისთვის ისრაელს საკმაო ინოვაციური ეკონომიკური ბერკეტები გააჩნია, ყოველივე ამას სათავეში ძლიერი ნაციონალიზმი და სამშობლოს სიყვარული უდგას. პოლიტიკურად ისრაელი არის მისაზამდი მაგალითი იმისა თუ როგორ უნდა მოიპოვოს ქვეყანამ ძლიერი პარტნიორები და მოკავშირეები. „ამერიკას არ ჰყოლია ისრაელის მსგავსი ერთგული პარტნიორი, და არც ისრაელს ჰყავს ამერიკაზე ძლიერი მოკავშირე“ (ბინიამინ ნეთანიაჰუ)

ლიტერატურა:

- 1) Gachechiladze Revaz., „Georgia in the context of the World”
- 2) Simon Sebag Montefiore Jerusalem,, "
- 3) jentlesoni American foreign policy "
- 4) Abraham Rabinovitch Kippur War "
- 5) Batoshvili Abrek., the Jewish people's history "
- 6) Chitadze Nicka., geopolitics "
- 7) Zbigniew Brzezinski „The Grand chessboard "
- 8) Davitashvili Zurab., „Nationalism and globalization "
- 9) Rtskhiladze Hamlet „United States foreign policy in the fundamentals of American and European authors "
- 10) <http://www.orthodoxy.ge/tveni/seqtemberi/04-mose.htm>
- 11) <http://icej.ge/?p=11308>
- <http://fortuna.ge/arabebis-mamebi-palestinis-mkhares-iomeben-israelis-dadzabuli-simshvide/>
- 12) <http://fortuna.ge/ratom-eqmnebat-saqartvelos-moqalaeqebis-israelis-sabadjoze-problemebi/>
- <http://ghn.ge/com/news/view/150835>
- 13) <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

Davit Jincharadze
Tbilisi Open Teaching University
Supervisor: Maia Amirgulashvili, Professor
ISRAEL’S FOREIGN POLICY IN THE MIDDLE EAST
SUMMARY

Napoleon said: “Each State chooses its foreign course based on its geographic location”. When it comes to Israel’s foreign policy, we have to look for its allies in the Middle East area. Regardless of the phrase, which belongs to the great military leader, has been transformed and modernized with time as a lot of geopolitical and political issues. Geopolitics is the definition of policy in which it is possible to identify the interests of each country. Every war, be it local or great war, changes the reality and the result is disappearance or creation of a new state. Mainland modification is a difficult but interesting process in international relations. The issue, which I worked on refers to Israel’s foreign policy in the Middle East and the above-mentioned problems. Jewish nationalism and patriotism are clearly visible. Jerusalem was part of almost all world power. The city which is often considered to be the book of homeland. It was quite difficult and bloody way from Moses till Waitsman, from Egypt slavery to establishment of the state and great economic innovation. Modified district, which is a deadly enemy of Jewish priority in the Islamic World.

Iran is considered to be the leader of the Arab world, to Israel, whose main objective is the disappearance of the political map of Jacob (Israel's old name, which can be found in the Old Testament, “and from today on, you will be called Israel, because you contended God”). Despite the problem, Israel stays the warrior with God and Providence. Israel is not created in order to become a victim of any country!

პროგრამირება, როგორც ხელოვნება, პროფესია და მეცნიერება

კომპიუტერი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები თავისი შესაძლებლობებით, დადებითი და უარყოფითი მხარეებითა და სარგებლიანობით ფართოდ შეიჭრა ადამიანის ცხოვრებაში, მისი მოღვაწეობისა და საქმიანობის ყველა სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდან შეიქმნა მხოლოდ, როგორც გამომთვლელი მოწყობილობა სამეცნიერო და სამხედრო მიზნებისთვის.

თანამედროვე კომპიუტერებმა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებმა და ტექნოლოგიებმა შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, აზროვნება და ურთიერთობის სტილი, რაც ჯაჭვურად აისახა ყველაფერში, რასაც კი ადამიანი ეხება. ის, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო ფანტასტიკის სფერო, დღეს რეალობაა და ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ვხედავთ, თუ როგორ და რა ტემპებით ვითარდება მაღალი ტექნოლოგიები და ეს ყველაფერი ხდება ჩვენს თვალებში და წარმოადგენენ სრულიად გამჭვირვალე პროცესებს.

დიდი ხანია გაბათილდა სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც კომპიუტერი, სახელიდან გამომდინარე (Computer-გამომთვლელი), წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ გამომთვლელ მანქანას და იარაღს სხვადასხვა სამეცნიერო თუ საყოფაცხოვრებო დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის და, მიუხედავად ყველაფრისა, დღეისათვის საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მაინც უცნობია, რომ კომპიუტერის ფუნქციონალური სისტემები და მასთან ურთიერთობის მქონე ადამიანები იყოფიან სხვადასხვა ჯგუფებად.

კომპიუტერთან ურთიერთობის ხასიათის მიხედვით ადამიანები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: პროგრამისტები, ადმინისტრატორები და მომხმარებლები.

თავდაპირველად კომპიუტერთან ურთიერთობას ითავსებდნენ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები: ერთი ადამიანი, პროგრამისტი, იყო სპეციალისტიც და მომხმარებელიც, კომპიუტერის მოხმარება იცოდა მხოლოდ იმან, ვინც აპროგრამებდა მას.

თანდათანობით გაიზარდა კომპიუტერების გამოყენების სფერო, შესაბამისად გამოიკვეთა, გაიმიჯნა მომხმარებელი პროგრამისტისაგან (50-იანი წლები) და ფუნქციები გადანაწილდა. პროგრამისტები მუშაობდნენ მომხმარებლებისათვის.

ბოლო ათწლეულებში კი თავად პროგრამირების სამყაროც დაიხვეწა, განვითარდა და მეცნიერებად, ხელოვნებად (გრაფიკა, მუსიკა), გამოყენებით ტექნოლოგიურ მიმართულებებად, დაცვა-ჰაკინგად (Hack), ქსელებად და სხვა ასეთი სახის მიმართულებებად დანაწევრება დღემდე გრძელდება.

1. პროგრამისტი (Programmers) არის პიროვნება რომელიც ქმნის კომპიუტერის Software (პროგრამული) ნაწილს. ზოგადად მას შეუძლია კოდების შეყვანის საფუძველზე კომპიუტერს, როგორც მხოლოდ ელექტრულ-ციფრულ მოწყობილობას მისცეს ფუნქცია - აქციოს იგი მაღალი ტექნოლოგიის ნაწილად. პროგრამისტი ქმნის პროგრამებს და პროგრამისტივე ქმნის იმ პროგრამულ გარემოს, რაშიც უნდა შეიქმნას ეს პროგრამები. პროგრამისტი ქმნის ე.წ. ოპერაციულ სისტემებსაც (Operating System - OS) და აპლიკაციებსაც (Application - სამომხმარებლო პროგრამა, დანართი ოპერაციული სისტემისათვის) ამ სისტემებისათვის.

სწორედ ამ ყველაფრის განსახორციელებლად პროგრამისტს გარკვეულ წილად უწევს შეხება ისეთ ფუნდამენტალურ მეცნიერებებთან, როგორცაა მათემატიკა და ფიზიკა. თავისი პრაქტიკის განმავლობაში იგი მოტივირებულია შეიმუშაოს საკუთარი მეთოდები და კონკრეტული ტექნიკური მიდგომები, რათა მიაღწიოს დასახულ მიზნებს. პროგრამისტი თავისი ცხოვრების პროფესიულ ნაწილში იქმნის თავისებური ფორმის მიკრო სამყაროს, რომელშიც რეალურად არსებობს ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა.

დღეისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და მოხმარებაზე გაზრდილმა მოთხოვნებმა გამოიწვია პროგრამისტის სტატუსის დანაწევრება და შედეგად მივიღეთ სპეციალიზაციები: პროგრამისტი-დეველოპერი, პროგრამისტი-ინჟინერი და პროგრამისტი-არქიტექტორი.

— პროგრამისტი-დეველოპერი პროგრამისტია, რომელიც აწვითარებს მოცემულ პროგრამულ გარემოს, IDE (Integrated Development Environment - განვითარების ინტეგრირებული გარემო) სისტემის საფუძველზე, ქმნის რა სამომხმარებლო, სამეცნიერო ან გასართობი ტიპის აპლიკაციებს. დეველოპერი - ფაქტიურად არის პროგრამისტის საქმიანობის მახასიათებელი, ზოგადი ტერმინი.

— პროგრამისტი-ინჟინერი პროგრამისტია, რომელიც აპროექტებს და ქმნის ე.წ. Framework (გარსი, კარკასი, ღერძი)-ებს, წინასწარ გამზადებული პროგრამული მოდულების ნაკრებს, ანუ მზა ბიბლიოთეკებს, რაც უადვილებს სხვა პროგრამისტებს შესაბამისი ტიპის პროექტებზე მუშაობას (მაგალითად: ალექსი სტეფანოვი - STL (Standart Template Library - სტანდარტული შაბლონების ბიბლიოთეკა)-ს ავტორი).

— პროგრამისტი-არქიტექტორი პროგრამისტია, რომელიც ქმნის ახალი პროგრამირების ენებს, ახალ კონცეფციებს პროგრამირების სამყაროში და, საერთოდ, საფუძველს უყრის საბაზისო იდეებს პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების სფეროში (მაგალითად ანდერს ჰეილსბერგი (Anders Hejlsberg) წამყვანი პროგრამისტი-არქიტექტორი კომპანია მაიკროსოფტში, Turbo PAscal, Delphi და C#-ის ავტორი).

როგორც წესი, პროგრამისტს თავის პრაქტიკის განმავლობაში მეტნაკლებად უხდება ყველა ამ ეტაპების გავლა, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ძირითადად დროს ახმარს მის საკუთარ მიმართულებას. მაგალითად, თუ პროგრამისტი-დეველოპერი ქმნის პროექტს, რომელიც განკუთვნილია საბანკო გათვლებისათვის, მას ასევე უწევს გარკვეული რაოდენობის მცირე მოცულობის Framework-ების შექმნა, რომლებიც, რა თქმა უნდა, ორიენტირებულია ამ პროექტზე და აადვილებს მასზე მუშაობას.

2. ადმინისტრატორი (Administrators) არის პიროვნება, რომელსაც ძირითადად შეეხება აქვს უკვე არსებულ პროგრამულ სისტემებთან, იცის მათი ავ-კარგი, მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, შეუძლია რამდენიმე ალტერნატივიდან საუკეთესოს ამორჩევა, შეუძლია არსებული სისტემების თვისებათა კარგად ცოდნის ბაზაზე მათი გამართვა, გარკვეულ დონეზე გადაკეთება, ამ სისტემების კომბინირებით ახლის აწყობა. ადმინისტრატორისავე პრეროგატივაა სისტემების ურთიერთშეთავსება, რათა ისინი გამართულად მუშაობდნენ მოცემულ გარემოში, მოცემული ამოცანებისათვის. მას ევალება ასევე სისტემის ხარვეზების გამოვლენა, აღმოფხვრა და მათი სასარგებლოდ გამოყენება, აქედან გამომდინარე პროგრამული სისტემების შეფასება.

რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ადმინისტრატორის ფუნქციები, რადგან იზრდება პროგრამულ პროდუქტთა რაოდენობა და მათი დანიშნულება. ეს უკვე არის დამოუკიდებელი სფერო. ამ თვალსაზრისით პროგრამისტი შეგვიძლია შევადაროთ წიგნის ავტორს, ხოლო ადმინისტრატორი კი ბიბლიოთეკის მფლობელს, ანალიტიკოსს, რომელმაც გაცილებით მეტი იცის ზოგადად წიგნების შესახებ, ვიდრე ცალკეულმა ავტორმა.

3. მომხმარებელი (Users) პიროვნებაა, რომლისთვისაც მზადდება ესა თუ ის პროგრამული პროდუქტი, ესაა პიროვნება, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ პროგრამული სისტემის სახეს და რომელიც განსაზღვრავს ასევე ამ სისტემების პროგრესსაც.

ამრიგად, თავისთავად ხდება ისე, რომ კომპიუტერთან ურთიერთობის მქონე პირების ასეთი ჯგუფების არსებობის არცოდნა ადამიანებში იწვევს სხვადასხვა სახის წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ბოლოს კი იქმნება ამ წარმოდგენათა მახინჯი ფორმები და შესაბამისად მცდარი დამოკიდებულება პროგრამირების, როგორც ერთდროულად ხელოვნების, ხელობისა და მეცნიერების დარგის მიმართ, რაც თავის მხრივ ჯაჭვურად აისახება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე.

კომპიუტერული პროგრამირება ის იშვიათი შემთხვევაა, როცა იგი ერთდროულად გვევლინება როგორც ხელობის (პროფესიის), ასევე ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

განვიხილოთ პროგრამირება როგორც ხელოვნება: მე ვუყურებ და-ვინჩის „ჯოკონდა“-ს და ვცდილობ დავინახო მასში რაღაც განსაკუთრებული, ამოუცნობი ან უბრალოდ საინტერესო. ის არის ხელოვნების ნიმუში, რომელიც განკუთვნილია ჩემთვის - ერთ-ერთი რიგითი ადამიანისათვის. რა აზრიც არ უნდა იყოს ჩადებული მასში, დამთავალიერებელს მოსწონს იგი, ან არ მოსწონს, აფასებს მას, არ აინტერესებს ან, უბრალოდ, თავისი ინტელექტუალური პოტენციალიდან და მიმართულებიდან გამომდინარე, უკეთებს შესაბამის ანალიზს და მას, როგორც ამოცანას, უძებნის რაიმე ახსნას. ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება გარესამყაროს მიმართ ყოველთვის ასოცირდება ფარდობითობის ფენომენთან და, საერთოდ, ფარდობითი აზროვნების საწყისებთან...

ასე რომ, უნდა გამოვკვეთოთ ორი პიროვნება: ნახატის ავტორი და ნახატის დამთავალიერებელი. ნახატის ავტორი არის პროდუქციის მწარმოებელი, ნახატი პროდუქციაა, ხოლო ჩვენ კი ვართ

პროდუქციის მომხმარებლები. ასე რომ, საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ პიროვნებასთან, ერთი, რომელიც ქმნის ხელოვნების ნიმუშს და, მეორე, რომელიც იყენებს, მოიხმარს მას. ერთი არის შემოქმედი, ხელოვანი ამ დარგში, იმიტომ რომ მისმა შედეგმა დაიმსახურა მოხმარება ანუ ამ შემთხვევაში შეფასება, ხოლო მეორე კი არის მომხმარებელი, რომელიც უყურებს ნახატს და აფასებს შეძლებისდაგვარად.

სწორედ ასევე პროგრამული პროდუქტი არის ხელოვნების ნიმუში. ის შეიძლება იყოს ცუდიც, საშუალოც, კარგიც და შედეგრიც. მას ჰყავს ავტორი, შემოქმედი და ხელოვანი, და მას ჰყავს მომხმარებელი. ის რასაც ვუყურებთ დღეს კომპიუტერებში ასე ერთი ხელის მოსმით და თავისით არ შექმნილა და მის ამ სახემდე მიყვანას პროგრამისტის მთელი ინტელექტუალური რესურსი და შემოქმედებითი უნარი დასჭირდა.

კომპიუტერი ერთი მხრივ არის ტექნიკურ ელემენტთა ერთობლიობა, ხოლო მეორე მხრივ კი ელექტრული დენის გარდაქმნილი სახე, ასე რომ, ის თავისით არც არაფერს მოიგონებს და მასში არც არაფერი დევს უპირობოდ, თუ ეს არ გააკეთა ადამიანმა-შემოქმედმა, პროგრამისტმა.

და მაინც, რატომ არის პროგრამული პროდუქტი ხელოვნების ნიმუში? ჯერ ერთი, საქმე გვაქვს ფერებთან, რომელიც აისახება კომპიუტერის ეკრანზე და თანაც ეს ფერები იმდენია, რომ რამოდენიმე უახლოეს ფერს შორის განსხვავებას ძნელად თუ არჩევს ადამიანის თვალი. ლაპარაკია მილიონებზე. ეს რიცხვი ჩვეულებრივ გამოთვლილია და წარმოადგენს 16777216-ს, ფერთა აგების ადიტიური მოდელის - RGB (RedGreenBlue) მოდელის მიხედვით ფერთა სპექტრი იცვლება (0,0,0)-დან (255,255,255)-მდე ანუ ფერთა გამა RGB მოდელში მოიცავს $256*256*256 = 16777216$ ფერს. დამეთანხმებით, რომ იქ სადაც არჩევანი უზარმაზარია, უკვე მუშაობს არამარტო ადამიანის ლოგიკა, არამედ ისეთი უნივერსალური ადამიანური ფენომენი, როგორცაა: ფანტაზია, წარმოსახვა, შემოქმედებითობა და, ბოლოს, ადამიანის ნიჭი ხელოვნებაში.

ისევე როგორც ხელოვნების ნიმუშში - ნახატში ჩანს ავტორის შინაგანი სამყარო, მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ინტელექტი და მენტალიტეტი, ზუსტად ასევე კომპიუტერულ პროგრამასთან ურთიერთობისას საქმე გვაქვს ამ პროგრამის ავტორის ან ავტორების შინაგან სამყაროსთან, მის ისეთ თვისებებთან, როგორცაა: ნებისყოფა, გემოვნება, ხელოვნების სიყვარული და მისი ცოდნის დონე, პუნქტუალობა, მოწესრიგებულობა, მომხმარებლისა და საკუთარი თავის პატივისცემა...

მეორე, რაც ხელოვნებასთან აახლოვებს პროგრამირებას, არის მისი ტექნიკური კოდური ნაწილი, რომელიც თავის მხრივ, ასევე მრავალფეროვანია. ისეთი სახის პროგრამირება, როგორც დღეს გვაქვს, სათავეებს იღებს გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან. 50-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე დაიწყო ადამიანის მიერ პროგრამირების, როგორც დამოუკიდებელი, სრულფასოვანი, საქმიანი სფეროს ჩამოყალიბება და უამრავი სამეცნიერო ნაშრომი თუ გამოკვლევა მიეძღვნა მას, რაც, რა თქმა უნდა, დღემდე გრძელდება და ვითარდება.

მათ შორის, გამორჩეულია სტანფორდის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) პროფესორის დონალდ ერვინ კნუტის (Dr. Donald Ervin Knuth) შვიდტომეული, სახელწოდებით „კომპიუტერული პროგრამირების ხელოვნება“. ამ შვიდი ტომიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია პირველი სამი, სადაც ძირითადად განხილულია ალგორითმები, მათი ანალიზი და სხვა საჭირობოროტო ალგორითმული საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული სამყარო ასე სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლება, ეს წიგნები მაინც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. მათში ლაპარაკია პროგრამირებაზე, როგორც ხელოვნებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათემატიკურ აზროვნებასთან და თავის თავში აერთიანებს ალგორითმულ აზროვნებასაც.

პირველი ნაბიჯები პროგრამირების სამყაროში საკმაოდ ფრთხილად იდგმებოდა, პროგრამების ზომები გაცილებით მცირე იყო დღევანდელთან შედარებით და ასეთი სახის ლიტერატურა უშუალოდ წარმოადგენდა კომპიუტერული პროგრამების დამუშავების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს. სერიოზული პროგრამების შედგენამდე ხდებოდა ალგორითმების აგება და მათი მათემატიკური ანალიზი, მათივე ოპტიმიზაციის მიზნით (მეხსიერების დაზოგვის ან სისწრაფის გაზრდისთვის), რაც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, მოითხოვდა მათემატიკის კარგ ცოდნას. დღეს სიტუაცია შეიცვალა, პროგრამისტის მფლობელობაშია მზა პროგრამული პროდუქტის ბიბლიოთეკები, უამრავი მზა ალგორითმები (STI Standart Template Library - სტანდარტული შაბლონების ბიბლიოთეკა, რიცხვითი მეთოდების ბიბლიოთეკები) რიცხვითი მეთოდებისა და სხვა საბაზისო პროგრამული სისტემებისათვის.

დონალდ კნუტი ახდენს პროგრამირების ხელოვნების ინტერპრეტირებას თავისი დროის და მდგომარეობის შესაბამისად და, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნებამ პროგრამირებაში ახლა უკვე სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლა (თუ გავითვალისწინებთ გრაფიკის გიგანტებსაც Descreet, Adobe და სხვა), მისი შეფასებები დარჩა მაინც უცვლელი და ფასეული. დღეისათვის ძირითადად ფიგურირებს ლოკალური და ვებ-საინტერნეტო ტიპის აპლიკაციები, ასევე აქტუალურია აპლიკაციები მინიკომპიუტერისა და

მობილური სისტემებისათვის. დიზაინის თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანია ვებ-აპლიკაციები. მრავალფეროვნებიდან გამომდინარე სწორედ ამ საქმეში ჩაერთვნენ ფერწერული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები.

მაგალითისათვის განვიხილოთ პროგრამის გარე ინტერფეისის აწყობის მეთოდები. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ორი მნიშვნელოვანი წესი:

1. გარე ინტერფეისი უნდა იყოს ინტუიციური, ანუ "მომხმარებელი არასოდეს კითხულობს ინსტრუქციას";

2. სამომხმარებლო ინტერფეისი არ უნდა ჰგავდეს პროგრამულ კოდს;

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ყოველი პუნქტი უნდა იყოს მიზანმიმართული, რაც შეიძლება ცალსახა, მარტივი და გასაგები და, რა თქმა უნდა, ხარვეზებისაგან (Bugs) თავისუფალი. კომპიუტერული პროგრამირება ხელოვნებაა არა მარტო მომხმარებლის, არამედ თვით პროგრამისტის თვალთახედვითაც: ხელოვნების კანონები მოქმედებს როგორც პროგრამის გარე ანუ დანახვად ნაწილში, ასევე მომხმარებლისათვის უხილავ შიდა ნაწილშიც, რასაც ჰქვია პროგრამული კოდი. აქ უკვე პროგრამას, როგორც ხელოვნების ნიმუშს აფასებს არა უბრალოდ მომხმარებელი, არამედ თვითონ პროგრამის ავტორი ან სხვა, მისი შემოქმედებით დაინტერესებული პროგრამისტი.

პროგრამირება როგორც პროფესია: პროგრამირება პროფესიაა, თანაც დღეისათვის ყველაზე მოთხოვნადი, საჭირო და მაღალანაზღაურებადი პროფესია.

რა არის ხელობის, როგორც ფენომენის დამახასიათებელი თვისებები?

1. პროფესიონალიზმი - საკუთარი საქმის უკეთ ცოდნა;
2. კონკურენტუნარიანობა;
3. ბრძოლისუნარიანობა;
4. გამოცდილება.

როდესაც პროგრამისტი პირველ ნაბიჯს დგამს თავის საქმეში, მას რაღაც მომენტში უწევს ჩვეული აზროვნების სტილის შეცვლა და გადაყვანა სულ სხვა კალაპოტში.

სიცხადისათვის განვიხილოთ ერთი ცნობილი ამოცანა: ჩამოწერეთ პუნქტების სახით ჩაიდნის საშუალებით წყლის სამჯერ ადუღების თანმიმდევრობა.

დაახლოებით ათიდან ცხრა შემთხვევაში არაპროგრამისტი დაწერს შემდეგს:

1. ჩაასხით წყალი ჩაიდანში.
2. დადგით გაზქურაზე.
3. აადუღეთ.
4. ჩაასხი წყალი ჩაიდანში.
5. დადგი გაზქურაზე.
6. აადუღეთ.
7. ჩაასხი წყალი ჩაიდანში.
8. დადგი გაზქურაზე.
9. აადუღე.

დაახლოებით ათიდან ცხრა შემთხვევაში კი პროგრამისტი დაწერს შემდეგს:

1. ჩაასხი წყალი ჩაიდანში.
2. დადგით გაზქურაზე.
3. აადუღეთ.

4. სამი ასანთის ღერი გაქვს? თუ კი, მაშინ დაამთავრე, თუ არა, მაშინ გადადი პირველ პუნქტზე.

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ პროგრამისტს პროფესიული პრაქტიკის დასაწყისიდან იმ დრომდე, სანამ ის პროფესიულ საქმიანობას ეწევა, გამუდმებით უწევს აზროვნების მკვეთრი ცვლა, რაც აუცილებელი მომენტია პროექტის წინსვლისათვის.

პროგრამირება როგორც მეცნიერება: პროგრამირება მეცნიერებაა, ახალი, განვითარებადი, აქტუალური. კომპიუტერი ყველაფერთან ერთად ექსპერიმენტალური დანადგარიცაა, იგი აადვილებს ნააზრევის ექსპერიმენტად განხორციელების პროცესს, რაც პატარ-პატარა აღმოჩენების გაკეთებასთან ასოცირდება. ის, რისგანაც შედგება ნებისმიერი პროგრამა, ჩვეულებრივი მატერიალური და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეულ პირობებში გრძნობადი ნივთია - ლაპარაკი მაქვს ელექტრულ ველზე. კომპიუტერი ერთდროულად არის კვლევის იარაღიც და კვლევის ობიექტიც.

როგორ განიმარტება მეცნიერება? ცნობილია მისი ასეთი განმარტება: მეცნიერება არის ის დარგი, რომელსაც;

1. აქვს კვლევის საგანი;
2. აქვს კვლევის მეთოდები.

ფიზიკა, მეცნიერებაა, რომლის კვლევის საგანია - სამყარო, კვლევის მეთოდები - მათემატიკური და ემპირიული;

ქიმია, მეცნიერებაა, რომლის კვლევის საგანია - ატომები, მოლეკულები, კვლევის მეთოდები - მათემატიკური და ემპირიული;

მათემატიკა, მეცნიერებაა, რომლის კვლევის საგანია - რიცხვითი სიმრავლეები, კვლევის მეთოდები - ოპერაციები რიცხვით სიმრავლეებზე და ა.შ.;

პროგრამირებისთვის კი კვლევის საგანია - ყველაფერი, ყველა საგანი, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს პროგრამისტმა, კვლევის მეთოდებია - ყველა მეთოდი, რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს პროგრამისტმა.

მართალია, კომპიუტერი ჩაკეტილი სისტემაა, ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკია მისი მეხსიერების სასრულ სიდიდეებზე, რიცხვების სასრულ წარმოდგენაზე, მონიტორის სასრულ ზომებზე, ფერების სასრულ რაოდენობაზე და, შესაბამისად, ამ ყველაფრის სასრულ კომბინაციაზე, ხშირ შემთხვევაში ამან შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. მობეზრების სინდრომის წარმოშობა კომპიუტერის მომხმარებელში: ჩნდება შეგრძნება, რომ კომპიუტერში ყველაფერი უაზროდ მეორდება და მასში ახალს და საინტერესოს ვერაფერს იპოვის კაცი. ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ მიუხედავად ამ სასრულობისა, კომპიუტერის ზემოთ ჩამოთვლილ მდგომარეობათა კომბინაცია იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მათი ყველა გამოვლინება ოდესმე ამოწეროს ადამიანი, წინ კიდევ ბევრი საინტერესო და საჭირო აღმოჩენა, მიგნება და გამოგონება გველოდება.

ლიტერატურა:

1. გ. ბაწაშვილი, კომპიუტერული პროგრამირების სამყარო, თბ., 2006.
2. Introduction to information systems.—16th ed., George Marakas, James O'Brien, McGraw-Hill, 2013.
3. შ. მაკაროვი, ი. ნაცვლიშვილი, მცირე ბიზნესის მართვის ავტომატიზებული სისტემები, თბ., 2014.
4. გ. სურგულაძე, ბ. ურუშაძე. საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT), თბ., 2014.

Tinatin Poladashvili

Gori State Teaching University

Supervisor: Tamar Makasarashvili, Professor

PROGRAMMING AS A PROFESSION, ART AND SCIENCE SUMMARY

The article reviews one of the most important profession – computer programming, also modern computers and technologies, which have changed the rule of our life. Something which was impossible, fiction a few decade ago, nowadays, in the 21st century is reality. Because high technology is developing in front of us, and we can see these transparent process well.

According to the character of the relationship with computer, people are divided into three groups: programmers, administrators and users.

In addition programmers are divided into three groups too: programmer-developer, programmer-engineer and programmer-architect.

It should be noted that, we can imagine computer programming as an art, profession and science.

Computer programming is an art not only user, but for programmers too.

The rules of art act about the outer part of programs and also about the inner part of programs.

On the other hand programming is a profession, which is nowadays very demanded, useful and well-paid profession.

Above all, we can review programming as a science. It is new, developing and actually, which has its own subject of research – every subject which programmer can imagine. Also it has research methods – every method which programmer can imagine.

So there will be a lot of interesting and necessary discoveries for future.